


80  
1941 / 3

საქართველოს  
საბჭოთავო  
საგარეო  
კულტურის  
მინისტროს  
ბიბლიოთეკა



70 180/3

ს ა ბ შ რ ტ ა № 3  
ს ე რ კ ვ ე ბ ა 1941

# ს ა ბ ჟ რ თ ა ხ ე ღ რ ვ ნ ე ბ ა



საქ. სსრ სახკომსაბოტოსთან არსებული ხელმოწერის  
სამართა სამმართველოს ყოველთვიური ორგანო

5649



№ 3  
1941

## ახალი გაბარჯვებებისაკენ!

უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით იხეიმა ქართველმა ხალხმა თავისი სახელოვანი დღესასწაული—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავი. ქართველ ხალხთან ერთად ეს ღირსშესანიშნავი თარიღი აღნიშნეს დიადი საბჭოთა კავშირის ხალხებმაც, რომელთა ძმურ ოჯახშიაც ორდენროსან საქართველოს მშრომლებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცი წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით თავიანთი ქვეყანა სამეურნეო და კულტურულ აყვავებამდე მიიყვანეს. მეფის რუსეთის ყოფილი კოლონია—საქართველო გადაიქცა მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მსხვილი მრეწველობა და აყვავებულ სოფლის მეურნეობა.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მიღწეულმა წარმატებებმა უზრუნველყოვეს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდა. უმაგალითო ტემპებით აყვავდა ქართველი ხალხის კულტურა. აღიზარდნენ საბჭოთა ნაციონალური ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ ზრდას.

სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში ეს უდიდესი მიღწევები ქართველი ხალხის მიერ მოპოვებულია ხალხთა ბელადის საყვარელი სტალინის შეუწყლებელი მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის თანმიმდევრობით განხორციელების შედეგად. ეს გამარჯვებები შედეგია აგრეთვე სტალინის სახელოვანი თანამებრძოლების, მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურის ან. ვ. მოლოტოვისა და ქართველი ხალხის საამაყო შვილის ან. ლავრენტი ბერიას ყურადღებისა და დახმარებისა.

საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავის იუბილე ნამდვილ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად, ხალხთა დიადი მეგობრობისა და ძმობის შესანიშნავ დემონსტრაციად გადაიქცა. ქართველი ხალხის ზეიმს დაესწრნენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და ყველა მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლები. ისინი გარემოცული იყვნენ საქართველოს მშრომელთა უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით. მათ ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ. ისინიც გულწრფელად შეჰხაროდნენ ჩვენს მიღწევებს.

საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავის ზეიმზე მიღებული შთაბეჭდილებანი საუკეთესოდ გამოხატეს თავიანთ წერილში უკრაინის მშრომელთა დელეგაციის წევრებმა. „ჩვენს მეხსიერებაში, — სწერენ ისინი, — სამუდამოდ დაუეწიარო იქნება ის უდიდესი სიხარული, რომელიც განვიცადეთ 16 მოკავშირე რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად, საბჭოთა საქართველოს XX წლისთავის დიადი სა-

ყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღეებში... ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ნამდვილი ძმობისა და შემოქმედებითი ერთიანობის გამოხატულებას. ჩვენს გულში სამუდამოდ დარჩება ხსოვნა იმ საუტსხო დღეებზე, რომლებიც გავატარეთ აყვავებულ საქართველოში, ჩვენს მშობლიურ ქართველ ხალხში“.

საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველყო ქართველი ხალხის სოციალისტური კულტურის ყოველმხრივი, თავისუფალი განვითარება. საქართველოში მეცნიერებისა და ხელოვნების ყოველმხრივ განვითარების, ნაციონალური ინტელიგენციის კადრების ზრდის მკაფიო მაჩვენებელს წარმოადგენს საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შექმნა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე საქართველოში შეიქმნა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ფართო ქსელი და მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა მალაკვალიფიკაციური კადრები. გაითვალისწინა რა საქართველოში სამეცნიერო-საკვლევო საქმის შემდგომი განვითარების ინტერესები და რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ხელმძღვანელების ერთ ხელმძღვანელ ცენტრად გაერთიანების საჭიროება, საქართველოს სსრ მთავრობამ გადასწყვიტა დააარსოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ამ ფაქტს უდიდესი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობა აქვს. ეს კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებისა, თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორ ზრუნავენ პარტია და მთავრობა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე.

მეცნიერებათა აკადემიის გახსნით ახალი გაქანება მიეცემა რესპუბლიკის ყველა სამეცნიერო დაწესებულების მოღვაწეობას; აკადემია გააერთიანებს მთელ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას და ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის კულტურის შემდგომ აყვავებას.

ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ქართული საბჭოთა ხელოვნება განვილი 20 წლის მანძილზე ბრწყინვალედ განვითარდა. ათასობით აღიზარდნენ ახალი კადრები, რომლებიც ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან მშობლიური ხელოვნების სარბიელზე. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოცი წლის იუბილესთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხელოვნების განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებით დააჯილდოვა ქართული ხელოვნების მოწინავე ადამიანები, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მრავალ მოწინავე მუშაკს მიანიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის სახელწოდება. ამასთან ხელოვნების მრავალი მუშაკი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საბჭოთა მთავრობა ყველა პირობას ჰქმნის ხელოვნების აყვავებისათვის. ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელები ამ საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ეს ერთხელ კიდევ თვალნათლივ დამტკიცდა სტალინური პრემიების განაწილებისას. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დაღ-

გენილებამ ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მიკუთვნების შესახებ სიხარულით აღფრთოვანება გამოიწვია მთელ საბჭოთა ინტელიგენციაში, მთელ ხალხში. ქართული ხელოვნების მუშაკებს დაჯილდოებულთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ. ა. ხორავა, მ. ჭიაურელი, ნიკ. შენგელია, მ. გელოვანი, ნატო ვაჩნაძე, გრ. კილაძე, ირ. თოიძე, სილ. კაკაბაძე, არ. ქურდიანი, ს. ბალაშვილი, ლეო ქიაჩელი, გ. ლეონიძე — ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის წამყვანი მუშაკებია. ხალხი იცნობს და აფასებს მათ. მათი კეთილშობილი შრომა, მათი გაბედული სწრაფვა ახალი მწვერვალების დაპყრობისაკენ ხელოვნებაში მაგალითის მიმცემია მთელი ჩვენი კულტურული ფრონტისათვის.

სტალინური პრემიები შემდგომი, კიდევ უფრო ნაყოფიერი მუშაობის სტიმულია. სტალინური პრემიები წარმოადგენენ წამაქმნებელ ძალას კიდევ უფრო ღრმა, კიდევ უფრო სრულფასოვან ნაწარმოებთა შექმნისათვის მუსიკის, თეატრის, კინოს, ფერწერის, ლიტერატურის დარგში. ამ პრემიების მიკუთვნება ამიერიდან ყოველ წელს ხდება, და ხელოვნების ყველა მუშაკი უნდა ემზადოს, რომ სულ უფრო და უფრო გააუმჯობესოს თავისი შრომის მაჩვენებლები. უნდა გაიშალოს შემოქმედებითი შეჯიბრება, რომელშიაც საპატიო სახელწოდების მოსაპოვებლად სტალინური პრემიების ლაურეატთა გვერდით უნდა ჩაებან ახალი ძალები. ასეთი შეჯიბრება გაამდიდრებს ჩვენს ხელოვნებას.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთათვის სტალინური პრემიების მიკუთვნების შესახებ ახალ სტიმულს იძლევა ნიჭიერი ძალების გამოვლინებისა და ზრდისათვის. ეს დადგენილება მოწმობს საბჭოთა მთავრობის ღრმა ყურადღებას ხელოვნების ოსტატებისადმი. ეს გვავალებს კიდევ უფრო ნაყოფიერად და მძლავრად გავშალოთ ჩვენი შემოქმედებითი ძალები, კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშაოთ ჩვენი დიადი სამშობლოს სადიდებლად.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო თავის მისაღმებელ საბჭოთა საქართველოს 20 წლისათვის გამო რწმენას გამოსთქვამენ, რომ „საქართველოს სსრეს პარტიის მშრომელები მომავალშიც ბოლშევიკური შეუპოვრობითა და ენერგიით დაუღალავად იბრძობებენ ლენინ-სტალინის პარტიის დროშით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღმავლობისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ქართველი ხალხის სოციალისტური კულტურის შემდგომი აყვავებისათვის“.

ექვს გარეშეა, რომ საქართველოს მშრომელები, შეიარაღებულნი საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებებით, გამართლებენ პარტიისა და მთავრობის ამ რწმენას და ახალ სახელოვან წარმატებებს მოიპოვებენ სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

# საქართველოს კ.კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისარიატს საბჭოს

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისარიატის საბჭო მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს სს რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლის-თავთან დაკავშირებით.

ოცი წლის წინათ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაამხეს საქართველოს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება შეიქმნა და განმტკიცდა ქართველ მუშათა და გლეხთა გააფთრებულ ბრძოლაში ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების — მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს ევროპის იმპერიალიზმის კოლონიად და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დასაყრდენად ხდიდნენ, ხოლო ქართველ ხალხს იმპერიალისტთა კაბალაში აქცევდნენ. ქართველ მენშევიკთა ბატონობის შედეგად საქართველო დაღუპვის პირას იყო მიყვანილი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცი წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელებმა, ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით, თავიანთი ქვეყანა სამეურნეო და კულტურულ აყვავებამდე მიიყვანეს. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგად საქართველო, წინათ ნახევრადკოლონიური ქვეყანა, დიადი სსრ კავშირის ერთერთ მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში შექმნილია მანქანათმშენებელი, იშვიათი ლითონების მომპოვებელი, საფეიქრო, კვებისა და სხვა დარგები სოციალისტური ინდუსტრიისა, რეკონსტრუირებულია ნავთის გადამამუშავებელი, მარგანცისა და ქვანახშირის მრეწველობა. აშენდა ასობით სამრეწველო საწარმოები: ფეროშენადნობთა ქარხანა, ავტოსარემონტო და ნავთსახდელი ქარხნები, ტრიკოტაჟის კომბინატი, ფეხსაცმლის ფაბრიკა, აბრეშუმის კომბინატი, მაულის ფაბრიკა, ქაღალდის კომბინატი და სხვა საწარმოები. მსხვილი მრეწველობის პროდუქტთა 1913 წელთან შედარებით 26-ჯერ გაიზარდა. აშენდა პიღროელექტროსადგურები — ზაქესი, რიონჰესი, აჭესი, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელსადგური. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში აშენებული ელექტროსადგურები 37,5-ჯერ მეტ ელექტროენერგიას იძლევიან, ვიდრე 1913 წელს.

ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს მშრომელებმა სოფლის მეურნეობაში. ყველა გლეხურ კომლთა 94 პროცენტი გაერთიანებული კოლმეურნეობებში. განსაკუთრებით დიდია საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებანი ძვირფასი სპეციალური ტექნიკური კულტურების, ჩაის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, თამბაქოს, ყურძნის მოყვანის საქმეში. ჩაის პლანტაციების ფართობი, 1913 წელთან შედარებით, 55-ჯერ გადიდა, ხოლო ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი 94-ჯერ გაიზარდა. ციტრუსოვანთა ნარგავების საერთო ფართობი, რაც რევოლუციამდე 500 ჰექტარს არ აღემატებოდა, ამჟამად 25 ათასამდე ჰექტარს უდრის. 1940 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ჩვენს ქვეყანას მისცეს 400 მილიონზე მეტი ცალი მანდარინი, ფორთოხა-ლბ, ლიმონი. მნიშვნელოვნად განვითარდა მევენახეობა და მეღვინეობა. საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩატარებულ საირიგაციო-მელიორატიულ ღონისძიებათა შედეგად თითქმის ერთი-სამად გადიდა საქართველოს საჩყავი მიწების ფართობი, ფართოდ გაიშალა კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები. რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება საკოლმეურნეო მეცხოველეობა.

საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველყო ქართველი ხალხის სოციალისტური კულტურის ყოველმხრივი, თავისუფალი განვითარება. საქართველოს სს რესპუბლიკა კულტურისა და განათლების მხრივ მოწინავე რესპუბლიკას წარმოადგენს. რევოლუციამდე საქართველოში არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არა ყოფილა. ახლა საქართველოს სს რესპუბლიკაში არის 21 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის 21 ათასზე მეტი შვილი სწავლობს. აღიზარდნენ ქართველი სახალხო ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელები მომავალშიც ბოლშევიკური შეუპოვრობითა და ენერგიით დაუღალავად იბრძოლებენ ლენინ-სტალინის პარტიის დროში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღმავლობისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ქართველი ხალხის სოციალისტური კულტურის შემდგომი აყვავებისათვის.

**საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური  
კომიტეტი**

**სსრ კავშირის სახალხო  
კომისართა საბჭო**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ულოცავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციასა და ყველა მშრომელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავს.

ოცი წლის წინათ, კომუნისტური პარტიისა და მისი სახელოვანი შვილების — ამხანაგ ორჯონიკიძის და კიროვის ხელმძღვანელობით, საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, წითელი არმიის დახმარებით, დაამხეს გამყიდველ მენშევიკთა კონტრევოლუციური მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება იმის მტკიცე საფუძველი გახდა, რომ შექმნილიყო ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელმაც უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა ამიერ-კავკასიის ხალხთა ურთიერთნდობისა და ძმური თანამშრომლობის შექმნაში ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო და სამხედრო ღონისძიებათა გასაერთიანებლად.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად გატარების მეოხებით, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში, საქართველოს მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილია მრეწველობის ისეთი დარგები, როგორც არის მანქანათმშენებლობის, ნავთის, მეტალურგიული, ქვანახშირის მრეწველობა. ახალი ტექნიკის ბაზაზე ფართო მასშტაბით ხდება დამუშავება ჭიათურის მარგანეცის საბადოებისა, რომლებიც უმდიდრესია მსოფლიოში და რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობისათვის. ფართოდ განვითარდა კვებისა და მსუბუქი მრეწველობა.

დიდი მიღწევებით აღინიშნა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარება. უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით შეიარაღებულმა საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ფართოდ განავითარეს ჩაის, ციტრუსოვანი და ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები. წარმატებით ვითარდება მევენახეობა, მეაბრეშუმეობა და მეთამბაქოობა. კოლხიდის დაბლობის ამოშრობა საქართველოს სოფლის მეურნეობას უქმნის ფართო შესაძლებლობას ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების შემდგომი განვითარებისათვის, რომლებსაც დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს.

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მიღწეულმა წარმატებებმა უზრუნველპყვეს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდა. საქართველოში მეცნიერებისა და ხელოვნების ყოველმხრივ განვითარების, ნაციონალური ინტელიგენციის კადრების ზრდის მკაფიო მაჩვენებელს წარმოადგენს საქართველოს სსრ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შექმნა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სრულ რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს მშრომელნი მომავალშიაც ასეთივე წარმატებით იბრძობებენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის, თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების ამოცანების შესასრულებლად და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად კომუნისტური პარტიისა და ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გასწევენ წინ კომუნიზმის გზით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**



# საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს



რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მივსალმება ორდენოსანი საქართველოს სს რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის დღეს.

ოცი წლის წინათ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გმირული წითელი არმიის დახმარებით განდევნეს მენშევიკები და ინტერვენტები და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს.

საქართველოს მუშათა კლასმა, რომელსაც რევოლუციური მოძრაობის ჩასახვის პირველი დღეებიდანვე ხელმძღვანელობდნენ ქართველი ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის მეთაურობით, სახელოვანი ფურცლები ჩასწერა პროლეტარული რევოლუციის ისტორიაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცი წლის მანძილზე საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით სავსებით შეუცვალეს სახე თავიანთ ქვეყანას. დიდი ბუნებრივი სიმდიდრენი სამუდამოდ ხალხის კუთვნილება გახდა. მეფის რუსეთის ყოფილი კოლონია—საქართველო გადაიქცა მოწინავე სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მსხვილი მრეწველობა და აყვავებული სოფლის მეურნეობა.

საბჭოთა ხელისუფლების ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველყო მშრომელთა მასების მატერიალური დონის ამაღლება, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ყოველმხრივ განვითარება. ქართველმა ხალხმა შექმნა თავისი ნაციონალური კადრები, მან თავისი წრიდან წამოაყენა შესანიშნავი ორგანიზატორები სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

სტალინური კონსტიტუციის კაშკაშა მზის ქვეშ ცხოვრობენ ახლა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები ბედნიერი და საამური ცხოვრებით.

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გამოსთქვამს რწმენას, რომ ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ძმური თანამეგობრობით, ბოლშევიკთა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის—დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მომავალშიც ბოლშევიკური შეუპოვრობით იბრძოლებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობასათვის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალისტური კულტურის ახალი აყვავებისათვის, სსრ კავშირში კომუნისმის სრული გამარჯვებისათვის.

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ა. ბადაშვი.**

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **პ. ბახმუროვი.**



რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მსურვალედ ულოცავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლის იუბილეს დღეს.

20 წლის წინათ საქართველოს მშრომელებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაამხეს მენშევიკების — ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების საზიზღარი ბატონობა და ააფრიალეს საბჭოების წითელი დროშა.

განვლილი 20 წლის მანძილზე ჩვენი სამშობლოს ხალხთა ერთსულოვანს ძმურ სტალინურ ოჯახში საქართველო მოწინავე ორდენოსან სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა.

სტალინური ხეთწლედების მანძილზე საქართველოს სს რესპუბლიკაში შექმნილია მრეწველობის ახალი დარგები, აგებულია მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი ათობით დიდი საწარმო.

საქართველოს მშრომელებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს სოფლის მეურნეობის დარგში, განსაკუთრებით სუბტროპიკული კულტურების, ხეხილის, ვენახებისა და ტექნიკური კულტურების განვითარების საქმეში.

უმავალითო ტემპებით აყვავდა ქართველი ხალხის კულტურა. აღიზარდნენ საბჭოთა ნაციონალური ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ ზრდას.

სოციალისტური შენეზლობის ყველა დარგში ეს უდიდესი მიღწევები ქართველი ხალხის მიერ მოპოვებულია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის თანმიმდევრობით განხორციელების შედეგად. ხალხის ყველა მტერთან შეუბრძოლდნენ ბრძოლაში.

ქართველი ხალხი ბედნიერია იმით, რომ ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა მთელი ისტორია, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა, ამ მოძრაობის ჩასახვის პირველი დღეებიდანვე, განუყრელად არის დაკავშირებული ხალხთა დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის მუშაობასა და სახელთან.

რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭო რწმენას გამოსთქვამს, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელები ბოლშევიკების პარტიისა და ხალხთა ბელადის — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მომავალშიც ბოლშევიკური სიმტკიცით იმუშავენ კომუნისმისაკენ ძლევამოსილად მიმავალი დიადი საბჭოთა კავშირის თავდაცვითი და სამეურნეო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს ყველა ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურ საყვარელ სტალინს!

რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭო

კ. ნ. ჩაჩუანი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური  
კომიტეტის მდივანი

## ქართველი ხალხის ღმრთიანი

სტატია დაგეგმილია „კავშირის“ 25 თებერვლის ნომერში

1941 წლის 25 თებერვალი ქართველი ხალხის სასიხარულო ღმრთიანი წაუღია. ამ ღმრთის სრულდება 20 წელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან.

შესანიშნავი შედეგებით ხედებიან საქართველოს მშრომელები სახელოვან იუბილუს. მოკლე ისტორიული ვადის განმავლობაში მიღწეულია ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების ნამდვილი აყვავება, მისი მეურნეობისა და კულტურის ყოველმხრივი აღმავლობა.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, ხალხთა ბელადისა და მეგობრის — ამხანაგ სტალინის ყურადღებითა და მზრუნველობით გარემოცულმა საქართველომ მტკიცედ დაიკავა ადგილი საბჭოთა კავშირის — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს — მოწინავე რესპუბლიკებს შორის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ მძიმე შემკვიდრება მიიღო. თავისი ბატონობის 3 წლის განმავლობაში ქართველმა მენშევიკებმა — ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ლაქებმა და მსახურებმა — მოასწრეს ქვეყნის ნიჟყანა დანგრევამდე, ისედაც ღარიბმა მრეწველობამ მენშევიკების ბატონობის წლებში თითქმის მთლიანად შესწყვიტა მუშაობა. მიწათმოქმედება მთლად დაეცა და სოფლად შიმშილი და სიღატაკე იყო გამეფებული.

თვით მენშევიკ მმართველებსაც არ შეეძლოთ დაეფარათ ეკონომიური კატასტროფა, რომელიც გამოწვეული იყო მათი გამცემლური პოლიტიკით. ქართველი ხალხის უბოროტესმა მტერმა, მენშევიკური მთავრობის მეთაურმა ნ. ჟორდანიამ 1920 წლის ოქტომბერში განაცხადა: „რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურად ჩვენ სწრაფი ნაბიჯით მივდივართ კატასტროფისაკენ. ახლა ყოველივე ეს გამართლდა. ახლა ყოველი ჩვენთაგანი მთელი სიმწვავეთ განიცდის თავის თავზე მწარე სინამდვილეს: ჩვენ უკვე მივდივართ კატასტროფამდე“.

ხელმძღვანელობდნენ რა დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის მითითებებით, ქართველმა კომუნისტებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველივე დღეებიდან ხელი მოჰკიდეს მეურნეობის აღდგენას.

სტალინური ხუთწლეულების წლები აღინიშნა სოციალისტური მრეწველობის სწრაფი ზრდით. საემარისია აღვნიშნით, რომ ამ პერიოდში საქართველოს მსხვილი მრეწველობის ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება 22,4-ჯერ გაიზარდა.

კაპიტალური დაბანდებები მსხვილ მრეწველობაში 1923 წლიდან 1939 წლამდე ჩათვლით შეადგენდა დაახლოებით 1.800 მილიონ მანეთს.

ამ სახსრებით აშენდა სამ ათეულამდე მსხვილი ქარხანა და ფაბრიკა და

მრავალი საშუალო, აგრეთვე გატარდა ყველა ძველი საწარმოს სრული რეკონსტრუქცია.

წინათ საქართველოში მრეწველობის ერთადერთი მნიშვნელოვანი კერა იყო ქ. ჭიათურის რაიონი. ჭიათურის მარგანეცი მუშავდებოდა წარსული საუკუნის 80-იანი წლებიდან. რევოლუციამდე მარგანეცის მრეწველობის მეპატრონეები ძირითადად უცხოელი კაპიტალისტები იყვნენ.

მსოფლიოში უმდიდრესი საბადო კაპიტალისტებს მილიონიან მოგებას აძლევდა. ისინი მის ექსპლოატაციას ეწეოდნენ მტაცებლურად, სრულებით არ ზრუნავდნენ მოწყობილობით შახტების რამდენადმე დამაკმაყოფილებელი აღჭურვისათვის. 1913 წელს ჭიათურის მადნის ამოღებამ მიადწია 950 ათას ტონას.

ომის დროს მარგანეცის მრეწველობა დაეცა, ხოლო მენშევიკების ბატონობის წლებში თითქმის მთლიანად შეჩერდა. 1920 წელს ამოღებულ იქნა სულ 125 ათასი ტონა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, პირველი ხუთწლედის დასაწყისში, ფართოდ გაიშალა მუშაობა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის რეკონსტრუქციისათვის. მდარობებმა მიიღეს თანამედროვე მექანიზაცია. იქ ამუშავდნენ ელექტრომაგლები, რომლებმაც ხელით გამოგორება შესცვალეს. გაჩნდნენ საყელავი მანქანები, ამასთან ერთად წლითიწლობით მატულობდა მდარაობებში მომუშავე მუშათა რაოდენობა.

1932 წელს მადნის მოპოვებამ მიადწია 400 ათას ტონამდე, ხოლო 1940 წელს სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს.

მარგანეცის მრეწველობის წინაშე გადაშლილია განვითარების ფართო პერსპექტივები. საბჭოთა კავშირის მზარდი მეტალურგია ჭიათურის მარგანეცს უფროდაუფრო მეტი რაოდენობით მოითხოვს. ჭიათურის მდარაობლთა მოვალეობაა ყოველწლივით გაადიდონ ამოღება და გააუმჯობესონ სასაქონლო მადნის ხარისხი.

საქართველოში პირველი მსხვილი მეტალურგიული საწარმო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა იყო, რომელიც საბჭოთა-კავშირის მანქანათმშენებელ ქარხნებს სპეციალური შენადნობებით ამარაგებს, მაგრამ შავი მეტალურგია ამჟამად მეტად ფართოდ ვითარდება. ამხანაგ სტალინის წინადადებით უახლოესი 4 წლის განმავლობაში აშენებულ უნდა იქნას ამიერ-კავკასიის მეტალურგიული კომბინატი მეტალურგიული წარმოების სრული ციკლით. კომბინატის მშენებლობისათვის ადგილი ამორჩეულია საქართველოში. მშენებლობა უკვე დაწყებულია, და საქართველოს მშრომელთა ღირებების საქმეა მისი დროზე დამთავრება.

მეტალურგიული კომბინატი შენდება ტყიბულისა და ტყვარჩელის საცოქსავი ქვანახშირისა და დამქესანის რკინის მადნის (აზერბაიჯანის სსრ) ბაზაზე.

მეტალურგიული კომბინატის მშენებლობასთან დაკავშირებით რესპუბლიკის წინაშე დგება ქვანახშირის ამოღების ფართოდ განვითარების ამოცანა.

1940 წელს საქართველოში ქვანახშირის ამოღება გაიზარდა 7-ჯერ და უფრო მეტად 1928 წელთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ქვანახშირის მრეწველობის პროდუქცია ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს საქარ-



თველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მეტალურგიული კომბინატის ექსპლოატაციის დაწყების შემდეგ მილიონობით ტონა ქვანახშირი იქნება საჭირო. მეტალურგიული წარმოების ქვანახშირით უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე სათბობის მხრივ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მთელი მოთხოვნილების უზრუნველყოფისათვის საჭიროა მოკლე ხნის განმავლობაში ავაშენოთ რამდენიმე მძლავრი შახტი. შახტების მშენებლობა დაწყებულ უნდა იქნას არა მარტო ტყიბულსა და ტყვარჩელში, არამედ ძირითადად ქვანახშირის ახლად აღმოჩენილ საბადოებში. ასეთი საბადოები ჩვენში რამდენიმეა.

საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ უკვე დამტკიცებულია საქართველოში ახალი შახტების მშენებლობა, და ამ საქმისათვის გამოყოფილია საჭირო სახსრები, მექანიზმები, მოწყობილობა და მასალები. შექმნილია სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სპეციალური სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც ადგილებზე უკვე შეუდგა მუშაობას.

საქართველოს ბევრ რაიონში დიდხინიდან იყო ცნობილი ნავთის არსებობა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ნავთის მრეწველობის ორგანიზაციისათვის სერიოზულად არავის მოუკიდნია ხელი. საბჭოთა გეოლოგების მიერ ჩატარებულმა საძიებელმა სამუშაოებმა შესაძლებლობა მოგვცეს გამოგვეჩვენა, რომ საქართველოს ნავთის მნიშვნელოვანი მარაგი გააჩნია. დაასლოებით ათი წლის წინათ საფუძველი დაედო ნავთის მოძიებებელ მრეწველობას.

ამჟამად ჭაბურღილების დანახვა შეიძლება საქართველოს მრავალ კუთხეში. ისინი განსაკუთრებით ბევრია წითელწყაროს რაიონში, სადაც მიიღინარე წლის იანვარში გამოიყო პირველი საექსპლოატაციო სარეწი, რომელიც მხოლოდდამხოლოდ საექსპლოატაციო ბურღვასა და ამოღებაზე იმუშავებს. დღემდე „საქნავთის“ ყველა სარეწი საძიებელი იყო.

ნავთის ამოღება სწრაფად იზრდება. 3 წლის განმავლობაში მთელ ტრესტში იგი თითქმის ერთისამად გადიდდა.

რესპუბლიკაში ნავთის მრეწველობის არსებობის განმავლობაში გაიზარდნენ ნავთის მუშაკთა — მუშათა, გეოლოგთა, ინჟინერთა კვალიფიციური კადრები. ბევრი მათგანი იძლევა მაღალ მაჩვენებლებს მუშაობაში.

საქართველოს ნავთის ახალგაზრდა მრეწველობის ამოცანაა უფრო უკეთესად მოაწყოს ნავთის რაიონების გეოლოგიური შესწავლა და ძიება. ამასთან ერთად უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს არსებული ჭაბურღილების გამოყენებას და ამოღების გადიდებას. ერთი-ორი წლის შემდეგ საქართველოს ნავთის მრეწველობამ უნდა მოგვცეს იმდენი ნავთი, რამდენიც საჭიროა თუნდაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ამ ამოცანის გადასაჭრელად ყველა საჭირო წინაპირობა გვაქვს.

ამჟამად საქართველოში შენდება მთელი რიგი მსხვილი მანქანათმშენებელი ქარხნები. მანქანათმშენებლობა და დაზგათმშენებლობა მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგი ხდება. მათ განვითარებასთან ერთად ინერგება ახალი ტექნიკა, იზრდება კადრები, რომლებიც წარმოების მაღალ კულტურას ეუფლებიან.

დიდი ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან საქართველოს კომუნისტებს მიუთითებდა ელექტროფიკაციის ფართოდ განვითარების აუცილებლობაზე. და მართლაც, სახალხო მეურნეობაში პირველი დიდი სამუშაო იყო მუშაობა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დარგში. ზემოაეჭალის ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური ერთი პირველი ჰიდროელექტროსადგურთაგანია საბჭოთა კავშირში. შემდეგში აშენდა მძლავრი ჰიდროსადგური მდინარე რიონზე, აგრეთვე აბაშის ჰიდროელექტროსადგური, აჭარისწყალის ჰიდროელექტროსადგური. ამუშავდნენ ტყვარჩელისა და თბილისის თბოცენტრალები.

გარდა ამისა, აშენებულ იქნა ათეულობით საშუალო და წვრილი ელექტროსადგურები ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და სოფლებისათვის მომსახურების გასაწევად.

ელექტროენერჯის გამომუშავებამ 1940 წელს 37-ჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

მიუხედავად ამისა, ელექტროენერჯის გამომუშავების ზრდა ვერ ეწევა მოხმარების ზრდას. დანაკლისის დასაფარავად საჭიროა რაც შეიძლება მოკლე ვადაში დევამთავროთ და ავამუშავოთ კიდევ ორი ჰიდროსადგური, რომლებიც შენდება. ამასთან ერთად საჭიროა შევედღეთ ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას. საქართველოს მშფოთვარე მდინარეები ენერჯის უღვევლ მარაგს შეიცავენ. ჩვენ მოვალენი ვართ სულ უფროდაუფრო ფართო მასშტაბით გამოვიყენოთ ბუნების ეს საჩუქარი.

საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქცია ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებისათვის. ეს არის — სურნელოვანი ქართული ჩაი, ხილის კონსერვები, საუკეთესო სუფრის ღვინოები, კონიაკი, საუკეთესო თამბაქო და სხვა მაღალხარისხოვანი პროდუქტები.

საქართველოს რაიონებში აშენებულია 35 ჩაის მძლავრი ფაბრიკა, რომლებმაც 1940 წელს გადაამუშავეს 52 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ორ დიდ საკონსერვო ქარხანაში სწარმოებს სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება.

მეღვინეობის მთელი მრეწველობა რეკონსტრუირებულია. აშენებულია აგრეთვე ახალი ქარხნები და მარნები.

5-6 წლის წინათ სამრეწველო მასშტაბით პირველად იქნა მოწყობილი შამპანური ღვინოების წარმოება. 1936 წელს გამოშვებულ იქნა 130 ათასი ბოთლი შამპანური, ხოლო 1939 წელს შამპანურის ტირაჟი უდრიდა 1.320 ათას ბოთლს.

შამპანურის გამოსამუშავებლად თბილისში შენდება სპეციალური კომბინატი, რომლის დიდი ნაწილიც უკვე ამუშავდა.

საქართველოს კვების მრეწველობა სუფრის საუკეთესო ღვინოებთან ერთად ყოველ წელიწადს სულ უფროდაუფრო მეტი რაოდენობით გამოუშვებს მაღალხარისხოვან შამპანურს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებანი ფართოდ არის ცნობილი. საკოლმეურნეო წყობილებამ ქართველ გლეხობას შეძლებული ცხოვრება მოუტანა. მეურნეობის კოლექტიურმა სისტემამ პირობები შექმნა მიწათმოქმედების ახალი დარგების დანერგვისათვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის სახეს ამჟამად განსაზღვრავს სუბტროპიკული კულტურების,

მევენახეობის, მეხილეობის, მეთამბაქოების მაღალი განვითარება. ფართოდ გავრცელდა აგრეთვე გერანი და სხვა ეთერ-ზეთოვანი კულტურები.

საქართველოს კოლმეურნეობებმა მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების კარგ მაჩვენებლებს.

„კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების მომენტიდან, წლინახევრის განმავლობაში, საკოლმეურნეო ჯოგის სულადობა გაიზარდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 29,9 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 50,6 პროცენტით, ღორისა — 42,2 პროცენტით.

მაღალ დონეს მიაღწია სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ. რესპუბლიკაში არსებობს 58 მტს-ი სამიათასზე მეტი ტრაქტორისა და 500-ზე მეტი კომბაინის პარკით. ამ მძლავრმა მანქანებმა შესცვალეს მამაპაპური კავი და ხის გუთანა.

გასულ წელს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ორი დადგენილება, რომლებშიც გამოხატულება ჰპოვა პარტიისა და მთავრობის დიდმა მზრუნველობამ საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის. ეს დადგენილებანი წარმოადგენენ მუშაობის პროგრამას კოლმეურნე გლეხობისა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი წყალთა-სამეურნეო მშენებლობის ფართოდ გაშლის საქიროებას. მორწყვას, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოსათვის, გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუმცა სარწყავი მიწების ფართობი 1914 წელთან შედარებით თითქმის ორთისამაღ გადიდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სრულებითაც არ არის საკმარისი. წყალთა-სამეურნეო მშენებლობის დარგში დასახული სამუშაოები გააორკეცებენ სარწყავი ფართობის ოდენობას. მარტო ქართლის რაიონებში, რომელთა შესახებაც მიღებულია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილება, სარწყავ სისტემათა მშენებლობაზე 5 წლიწადში 60 მილიონამდე მანეთი დაიხარჯება, აქედან კოლმეურნეობათა შრომითი მონაწილეობა შეადგენს არანაკლებ 25 მილიონისა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლხიდის ჭაობების ამოშრობას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, მხოლოდ ბოლშევიკებს შეეძლოთ შესდგომოდნენ ისეთი რთული და გაბედული პრობლემის გადაწყვეტას, როგორც არის საუკუნოვანი ჭაობების ლიკვიდაცია და ათეულ ათასობით ჰექტარი უნოყიერესი მიწის განთავისუფლება ციტრუსოვანი ბაღებისათვის გამოსაყენებლად. ყოფილი ჭაობების პირველ 8 ათას ჰექტარს უკვე ამუშავებენ კოლმეურნეობანი, ხოლო ამოშრობით განთავისუფლებული 4 ათასი ჰექტარი ფართობის მიღება ახლა ხდება და იგი მალე კოლმეურნეობებს გადაეცემა.

საქართველოს გლეხურ მეურნეობათა 94 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობათა შემოსავალი წლითწლობით მატულობს. საქართველოს კოლმეურნე გლეხობა უადრესად მადლობელია პარტიისა და დიდი სტალინისა შეძლებული ცხოვრებისათვის, ყურადღებისა და მზრუნველობისათვის.

საესეებით იცვალეს სახე საქართველოს ქალაქებმა. ისინი დამშვენდნენ ახალი შენობებით, გაუმჯობესებული ქუჩებით, მოედნებით და პარკებით.

მშობელთა ცხოვრების მატერიალური დონის სწრაფ ზრდას თან სდევს მათი კულტურის ამაღლება. მიღწეულია წერა-კითხვის საყოველთაო მცოდნეობა. რუსულბლიკაში განათლების დონის დამახასიათებლად საკმარისია მოიყვანოთ რამდენიმე ციფრი. საქართველოში, სადაც მოსახლეობა 3,5 მილიონ კაცს შეადგენს, საყოველთაო განათლების 4.429 სკოლაა. მათი რიცხვი 1915 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გადიდა. ამ რაოდენობიდან არის 627 საშუალო სკოლა და 1.145 არასრული საშუალო. გარდა ამისა, ითვლება 197 ტექნიკუმი და 287 საშუალო და არასრული საშუალო სკოლა მოზრდილთათვის.

დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში და ტექნიკუმებში 780 ათასი მოსწავლე ირიცხება.

საქართველოს 21 უმაღლეს სასწავლებელში 21 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე მოდის 113 კაცი საშუალო განათლებით და 11 კაცი უმაღლესი განათლებით. ასეთია საქართველოში განათლების დონე, რომელიც მიღწეულია საბჭოთა ხელისუფლების დონისძიებათა მეოხებით.

სისხლისმღვრელ დამპყრობელებთან მკაცრი ბრძოლის საუკუნეებზე გამოატარა ქართველმა ხალხმა თავისი ძველი მაღალი კულტურა. ამ კულტურას სასტიკად სდევნიდა მეფის თვითმპყრობელობა, მაგრამ მას ყველაზე მეტად ამცირებდნენ მენშევიკი მმართველები თავისი ბატონობის დროს.

აი დამახასიათებელი ფაქტი. ყოველგვარ დახმარებას მოკლებულმა თბილისის საოპერო თეატრმა 1919 წლის სექტემბერში მიმართა ინგლისის მისიას და სთხოვა მას მასალა დეკორაციებისათვის, როგორც მოწყალემა. „გამოთქვამ რა ღრმა მოწიწებას პატივცემულ მისიისადმი — ამთავრებდა წერილს ინგლისის მისიისადმი თეატრის დირექტორი, — მიინდა მოვავლო მას, რომ ჩვენი თეატრი ყოველთვის ცდილობდა რაც შეიძლება კარგად მომზადებულად და მხატვრულად დაედგა ოპერები, რათა ცოტაოდენი ესთეტიური კმაყოფილება მაინც მიენიჭებინა ჩვენი ძვირფასი სტუმრებისათვის“.

ეს დოკუმენტი შესანიშნავი სისწორით გადმოსცემს დროის სტილს, ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონების წინაშე, ინგლისელი ინჰერიალისტების წინაშე მენშევიკების პირმოთნობისა და მლიქვნელობის სტილს. ამასთან ერთად ის ცხადმყოფს ხელოვნების უზადარუკ მდგომარეობას მენშევიკების დროს.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა პირობა შექმნა ქართული კულტურის აღორძინებისა და აყვავებისათვის. მარტო თბილისში ახლა 12 სახელმწიფო თეატრი მუშაობს. ისეთი თეატრები, როგორც რუსთაველის სახელობის და მარჩანიშვილის სახელობის თეატრები, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, თავისი მიღწევებით ცნობილი არიან არა მარტო საქართველოში, არამედ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების მშრომელთათვისაც. საქართველოში არის კიდევ 7 საოლქო და 27 რაიონული სტაციონარული თეატრი.

ქართული საბჭოთა ფერწერა და მუსიკა საყოველთაოდ ცნობილი არიან საბჭოთა ხალხში და სარგებლობენ მისი სიყვარულით.



საქართველოს მწერლები ჰქმნიან მაღალმატრულ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახვენი საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და ბრძოლას. ქართული ლიტერატურის ნაწარმოებები ითარგმნება და იცემა მოძმე ხალხთა ენებზე.

ქართული კლასიკური ლიტერატურის დიადი მემკვიდრეობა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთა კუთვნილება გახდა. მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედეგრი — შოთა რუსთაველის გენიალური პოემა, რომელიც დაწერილია XII საუკუნეში, ათობით ენებზე აქედრდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის გამოვიდა ამ პოემის მეოთხე, ყველაზე სრულყოფილი თარგმანი რუსულ ენაზე.

ქართული საბჭოთა მეცნიერების სიმწიფეს მოწმობს ის, რომ სსრ კავშირის მთავრობამ ნება დაგვრთო შეიქმნას საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელიც მოწოდებულია გახდეს რესპუბლიკაში მეცნიერული აზროვნების ხელმძღვანელი ცენტრი.

ყველაზე ძვირფას მღწევად, რომლითაც ხვდება საბჭოთა საქართველო თავის ოცი წლისთავს, უნდა ჩაითვალოს მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრების შექმნა და აღზრდა. მარტო საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა 20 წლის განმავლობაში 30 ათასამდე სპეციალისტი გამოუშვეს. საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები გვიჩვენებენ საბჭოთა სამშობლოს ძაღებისა და სიმდიდრის გადიდებისათვის, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის მაღალ ნიმუშებს.

სსრ

ყველა მღწევა საბჭოთა საქართველოს მშენებლობაში, მეურნეობასა და კულტურაში შედეგია ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის განუხრელი დტარებისა. ეს მღწევები შედეგია ს.ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების, ამხანაგ სტალინის დირექტივების განხორციელებისათვის, ლენინური იდეების სიწმინდისათვის ქართველი ბოლშევიკების შეუზოვარი ბრძოლისა აშხ. ლავრენტი ბერიას მეთაურობით სოციალისტური მშენებლობის ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში.

ქართველ ხალხს კარგად ესმის, რომ თავის წარმატებებს იგი უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ თანამეგობრობას, და იგი დრმად აფასებს დიდი რუსი ხალხის დახმარებას, რომელსაც ყოველდღიურად გძრნობს.

სახელოვანი დღესასწაულის დღეს ქართველი ხალხი — დიდით პატარამდე — მადლობითა და მხურვალე სიყვარულით მიაპყრობს თვალს დიდ სტალინს, რომლის გენიალური წინამძღოლობით საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად იგი განაგრძობს თავის ძღვეამოსილ გზას კომუნისმისაკენ.





ნ. ჩხვიძე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

**ზარვის წითელი**

1. ანთაძე ისაკ კონსტანტინეს-ძე—  
ქუთაისის შესხიშვილის სახელობის თეატ-




გ. ჩხრჭიანი

პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხელოვნების განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნენ:

**დროვის ორდენით**

რის დირექტორი.

2. ვეფხვაძე ივანე ალექსის-ძე—



ი. ვეფხვაძე



ა. ანთაძე



ვ. სიღამონ-ერისთავი მხატვარი, საქართველოს სს რესპუბლიკის საბჭოთა მხატვრების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი.

3. ლამბაშიძე შალვა კსენოფონტეს-ძე — მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

შ. ლამაზიძე 4. სიღამონ — ერისთავი ვალერიან ვლადიმერის-ძე — საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

5. ჩხეიძე ნინო პლატონის ასული — თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენისანი სახელმწიფო თეატრის მსახიობი.




ა. იმედაშვილი

ა. სმირანიძე



ლ. ოკუნეგიი (გრუბლეცკაია)




ბ. კანდელაკი

**„საპატიო ნიშნის“ ორდენით**

1. აბარიანი ალექსანდრე ავაქის-ძე —თბილისის სომხური დრამის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.
2. ანდრიაშვილი აკაკი კირილეს-ძე—კომპოზიტორი.
3. ბაქრაძე თამარ ივანეს-ასული—თბილისის რუსთაველის სახელობის

- ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობი.
4. ბალანჩივაძე ანდრია მელიტონის-ძე — კომპოზიტორი.
5. ბერიძე რუსუდან ალექსანდრეს-ასული —თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწი-



ს. კაკაბაძე



ა. თაკაიშვილი



ნ. მაისურაძე

ფო თეატრის მსახიობი.

6. ბეროიანი მარიამ გიორგის-ასული — თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

7. გალაგვი ბორის ალექსანდრეს-ძე — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.



მ. ბეროიანი

8. გასტენინა ელისაბედ ანდრის-ასული — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

9. გოძიაშვილი ვასილ დავითის-ძე — თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი.



ა. აბარიანი



უ. ჯაფარიძე



თ. ბაჭრაძე

10. გოგუა ბენიამინ ვასილის-ძე—  
საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არ-  
სებული ხელოვნების საქმეთა სამმართვე-  
ლოს უფროსი.

11. გოკიელი ივანე რაფიელის-ძე—  
კომპოზიტორი.

12. გრიგორაშვილი გრიგოლ მაქ-  
სიმეს-ძე — თბილისის ზ. ფალიაშვილის

ა. ბალანჩივაძე

სახელობის ლენინის ორდენისანი ოპე-  
რისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის  
მსახიობი.

13. ჯაფარიძე უჩა მალაქიას-ძე—  
საქართველოს სამხატვრო აკადემიის დო-  
ცენტი.

14. იმედაშვილი ალექსანდრე სო-  
ლომონის-ძე—ქუთაისის მესხიშვილის სა-



კ. მერაბიშვილი

ი. გოკიელი



ა. ანდრიაშვილი

ხელობის თეატრის მსახიობი.

15. კავსაძე დავით ალექსანდრეს-ძე  
—საქართველოს სიმღერისა და ცეკვის  
სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელის  
მოადგილე.

16. კაკაბაძე სილოვან ივკიმეს-ძე—  
საქართველოს სამხატვრო აკადემიის და-  
რექტორი.

გ. გასტენინა

17. კანდელაკი პავლე მამარტის-ძე  
—საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან  
არსებული ხელოვნების საქმეთა სამმარ-  
თველოს უფროსის მოადგილე.

18. კობახიძე პეტრე კალისტრა-  
ტეს-ძე—თბილისის მარჯანიშვილის სა-  
ხელობის თეატრის მსახიობი.

19. კეკელიძე გრიგოლ ირაკლის-ძე



ბ. კაკელაძე

გ. თოფურიძე




რ. ბერიძე

—საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

20. ქუთათელაძე აპოლონ ყარამანის-ძე—მხატვარი.

21. ლიტვინენკო ვასილ კონსტანტინეს-ძე—ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტ-მეისტერი.



მ. ჩიხლაძე

22. მაისურაძე ნიკოლოზ ილიას-ძე—თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი.

23. მერაბიშვილი კონსტანტინე მიხეილის-ძე—საქართველოს სამხატვრო

ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტ-მეისტერი.



ვ. გომიაშვილი



პ. კობახიძე





აბ. ჭუთათელაძე

გ. გრიგორაშვილი

აკადემიის დოცენტი.


26. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ალექსანდრე  
ალექსანდრეს-ძე — მოზარდ მაცურებელ-  
თა ქართული თეატრის სამხატვრო ხელ-  
მძღვანელი და მთავარი რეჟისორი.

24. ო კ უ ნ ე ე ი ჩ ი (ვრუბლევსკაია)  
ლიუდმილა ალექსანდრეს-ასული — თბი-  
ლისის გრიბოედოვის სახელობის სახელ-  
მწიფო თეატრის მსახიობი.

27. თ ო ფ უ რ ი ძ ე ვალენტინ ბაგრა-  
ტის-ძე — საქართველოს სამხატვრო აკადე-  
მიის დოცენტი.


25. ს მ ი რ ა ნ ი ნ ი ანატოლი დიმიტ-  
რის-ძე — თბილისის გრიბოედოვის სახე-  
ლობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

28. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ელისაბედ



ვ. ლიტვინენკო

დ. კავსაძე



კ. შაბ-აზიშვილი

ალექსანდრეს-ასული — თბილისის მარჯა-  
ნიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი.

29. ჩიხლაძე მიხეილ სერაფიონის-ძე  
— თბილისის რუსთაველის სახელობის  
ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თე-

**მედალით „ზრომითი მამაცობისათვის“**

1. გომელაური შაქრო ნიკოლო-  
ზის-ძე — თბილისის მარჯანიშვილის სახე-



მ. გომელაური

ატრის მსახიობი.

30. შახაზიშვილი კონსტანტინე  
იაზონის-ძე — თბილისის გრიბოედო-  
ვის სახელობის თეატრის დირექტორი და  
სამხატვრო ხელმძღვანელი.

ლობის თეატრის მსახიობი.

2. შაქარიაძე სერგო ალექსან-



ბ. გალავი



დ. ზუციშვილი



ს. ზაქარიაძე



ა. კვანტალიანი

დრეს-ძე—თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი.


3. კვანტალიანი აკაკი ლუქას-ძე—თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი.

4. ხუციშვილი დავით სამსონის-ძე—თბილისის რუსთაველის სახელობის

ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

**მედალით „ზრომითი წარჩინებისათვის“**

1. მაკაევი ალიხან ტიმოთეს-ძე—ქალ. სტალინის ხეთაფუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი.



ა. მაკაევი

# საქართველოს სსრ კულტურული მშენებლობის მონინავეთა ლაჯიღლოება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის XX წლის იუბი-  
ლესთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის  
ბრძანებულებით კულტურული მშენებლობის დარგში მიღწეული წარმატე-  
ბისათვის მიენიჭათ:

## 1. საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება:

1. ალიხანიანს, ისაკ სიმონის-ძეს, თბილისის სახელმწიფო სომ-  
ხური დრამატიული თეატრის მსახიობს.

2. ანდდულაძეს, დავით იასონის-ძეს, ორდენოსანს, თბილისის  
ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სა-  
ხელმწიფო თეატრის მსახიობს.

3. ბეროიანს, არტემ კონოს-ძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ  
არტისტს, თბილისის სახელმწიფო სომხური დრამატიული თეატრის  
მსახიობს.

4. გვარამაძეს, ელენე ლევანის-ასულს, ორდენოსანს, რესპუბ-  
ლიკის დამსახურებულ არტისტს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპე-  
რისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

5. ვაჩნაძეს, ნატალია გიორგის-ასულს, ორდენოსანს, კინომსა-  
ხიობს.

6. ვრონსკის, ეგვენი ალექსის-ძეს, თბილისის სახელმწიფო კონ-  
სერვატორიის პროფესორს.

7. თაყაიშვილს, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს, რესპუბლიკის  
დამსახურებულ არტისტს, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის  
სამხატვრო ხელმძღვანელს.

8. ინაშვილს, ალექსანდრე იობის-ძეს, ორდენოსანს, რესპუბლი-  
კის დამსახურებულ არტისტს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა  
და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

9. მუავიას, დიმიტრი გრიგოლის-ძეს, ორდენოსანს, რესპუბლი-  
კის დამსახურებულ არტისტს, რუსთაველის სახ. ლენინის ორდენის სა-  
ხელმწიფო თეატრის მსახიობს.

10. ნინიძეს, ვიქტორ ათანასეს-ძეს, თბილისის საქალაქო საბჭოს  
ადმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების  
სანიტარული კულტურის თეატრის დირექტორს და სამხატვრო ხელ-  
მძღვანელს.

11. სოხაძეს, ეკატერინე ტარასის-ასულს, ორდენოსანს, რესპუბ-  
ლიკის დამსახურებულ არტისტს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპე-  
რისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.



12. ფრანგიშვილს, პავლე იაკობის-ძეს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, გორის სახელმწიფო თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელს.

13. ქუშიაშვილს, ნიკოლოზ გიორგის-ძეს, ორდენოსანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

14. შულგინას, ოლღა ალექსანდრეს-ასულს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს.

15. ჭავჭავიძეშვილს, ნატალია გრიგოლის-ასულს, ორდენოსანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, რუსთაველის სახ. ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

**2. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება:**

1. აბაკელიას, თამარ გრიგოლის-ასულს, მხატვარს, საქართველოს სამხატვრო აკადემიის მასწავლებელს.

2. აშმაიფარაშვილს, შალვა ილიას-ძეს, კომპოზიტორს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის დირიჟორს.

3. ბალანჩივაძეს, ანდრია მელიტონის-ძეს, კომპოზიტორს, მუსიკალური სასწავლებლების მასწავლებელს.

4. გველესიანს, ალექსანდრე იოსების-ძეს, თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს.

5. გოკიელს, ივანე რაფიელის-ძეს, კომპოზიტორს.

6. გოძიაშვილს, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს, ფოთის თეატრის დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელს.

7. გუდიაშვილს, ვლადიმერ დავითის-ძეს, მხატვარს.

8. დოლიძეს, სიმონ ბესარიონის-ძეს, კინორეჟისორს.

9. ვაისერმანს, კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს, თბილისის მოზარდ მკურნებელთა რუსული თეატრის დირექტორის მოადგილეს.

10. ვეფხვაძეს, ივანე ალექსის-ძეს, მხატვარს.

11. ვირსალაძეს, ანასტასია დავითის-ასულს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის გამგეს.

12. თაქთაქიშვილს, შალვა მიხეილის-ძეს, კომპოზიტორს.

13. თოიძეს, მოსე ივანეს-ძეს, მხატვარს, ორდენოსანს.

14. თულაშვილს, ანა ივანეს-ასულს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს.

15. კავსაძეს, მიხეილ ლონგინოზის-ძეს, ქართლ-კახური გუნდის ხელმძღვანელს.

16. კაკაბაძეს, სილოვან იაკიმეს-ძეს, დოცენტს, საქართველოს სამხატვრო აკადემიის დირექტორისა და მასწავლებელს.

17. კ ა პ ა ნ ა კ ი ა ნ ს, სტეფანე გრიგოლის-ძეს, თბილისის მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრის მთავარ რეჟისორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.

18. კ ი ლ ა ძ ე ს, გრიგოლ ბართლომეს-ძეს, ორდენოსანს, კომპოზიტორს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორსა და მასწავლებელს.

19. ყ უ შ ი ტ ა შ ვ ი ლ ს, ვასილ პავლეს-ძეს, მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის რეჟისორ-დამდგმელს.

20. ლ ა დ ი ძ ე ს, გრიგოლ მიხეილის-ძეს, ლანჩხუთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს.

21. მ ი ქ ე ლ ა ძ ე ს, გიორგი ილიას-ძეს, თოჯინებისა და ლანდების ქართული თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.

22. მ შ ვ ე ლ ი ძ ე ს, შალვა მიხეილის-ძეს, კომპოზიტორს.

23. რ ა დ ო ლ ი ნ ს, თევდორე ვასილის-ძეს, გრიბოედოვის სახ. თეატრის მსახიობს.

24. რ ო ს ე ბ ა ს, (ბედაღოშვილს), გიორგი როსების-ძეს, თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს.

25. რ უ ს ლ ა ნ ო ვ ს, მიხეილ რომანოზის-ძეს, თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის დირექტორსა და მსახიობს.

26. ტ ა დ ე ს, მიხეილ ივანეს-ძეს, თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორის მოადგილეს.

27. ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ს, პოლიკარპე პეტრეს-ძეს, თბილისის ზ. ფაღიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის გუნდის ხელმძღვანელს.

28. ფ ა რ ც ხ ა ლ ა ძ ე ს, ალექსი ალექსის-ძეს, ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორს.

29. ფ ო ც ხ ე რ ა შ ვ ი ლ ს, ალექსანდრა მელიტონის-ასულს, მეჩონგურეთა სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელს.

### 8. საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება:

1. ა ლ ე ქ ს ი - მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ს, ნინო სარდიონის-ასულს, რუსთაველის სახ. ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

2. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ს, პეტრე ვარლამის-ძეს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფაღიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

3. ბ ა რ ხ უ დ ა რ ო ვ ს, გრიგოლ ვასილის-ძეს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფაღიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

4. ბ ა უ ე რ ს, მარიამ ბენიამინეს-ასულს, თბილისის ზ. ფაღიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

5. ბ ო გ ო ლ ე პ ო ვ ა ს, ელენე ლეონიდეს-ასულს, თბილისის ზ. ფა-



ლიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

6. გ ა მ რ ე კ ე ლ ს, დავით ალექსანდრეს-ძეს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

7. გ ო ს ტ ე ნ ი ნ ა ს, ელისაბედ ანდრეას-ასულს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

8. ე ლ ი ო ზ ი შ ვ ი ლ ს, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

9. ვ ე ნ ა ძ ე ს, გრიგოლ იობის-ძეს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

10. თ ა გ ი ე ვ ა ს, რეიხან ლამპარის-ასულს, თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული დრამატიული თეატრის მსახიობს.

11. თ ვ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ს, თამარ ნიკოლოზის-ასულს, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობს.

12. თ თ შ ი შ ვ ი ლ ს, თამარ იავორის-ასულს, ორდენოსანს, რუსთაველის სახ. ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

13. ი ვ ე რ ი ე ლ - მ ა ტ ა რ ა ძ ე ს, ალექსანდრა ფილიპეს-ასულს, გორის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

14. კ ა ს ლ ა ნ ძ ი ა ს, ლევარსან შარდინის-ძეს, აფხაზეთის სახელმწიფო დრამის მსახიობს.

15. კ უ ბ რ ა შ ვ ი ლ ს, ნინო ნიკოლოზის-ასულს, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობს.

16. ლ ი ტ ვ ი ნ ე ნ კ ო ს, ვასილ კონსტანტინეს-ძეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

17. ლ ო ლ უ ა ს, არეტა ალექსის-ასულს, ლანჩხუთის თეატრის მსახიობს.

18. მ ო ჭ ო რ ი ა ნ ს, მარიამ პეტრეს-ასულს, თბილისის სახელმწიფო სომხური დრამატიული თეატრის მსახიობს.

19. ნ ა კ ა შ ი ძ ე ს, მერი ნაზარის-ასულს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

20. ს ა რ ჩ ი მ ე ლ ი ძ ე ს, გიორგი ესტატეს-ძეს, რუსთაველის სახ. ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

21. ქ ი ლ ა რ ჯ ი შ ვ ი ლ ს, მარგარიტა მიხეილის-ასულს, ბათუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

22. ქ უ რ ხ უ ლ ს, გიორგი ალექსის-ძეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობსა და რეჟისორს.

23. ყ ვ ა რ ე ლ ა შ ვ ი ლ ს, მიხეილ დავითის-ძეს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

24. შარატა-დოლიძეს, თაის დემიანუს-ასულს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

25. შარაშიძეს, ვასილ ვგნატეს-ძეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

26. ჩიხლაძეს, მიხეილ სერაფიონის-ძეს, რუსთაველის სახ. ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

27. ცომაიას, ნადეჟდა ათანასეს-ასულს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

28. ხარაძეს, ნადეჟდა ვასილის-ასულს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

29. ხურციძეს, სამსონ იასეს-ძეს, მახარაძის თეატრის მსახიობს.

30. ქიქოძეს, ელენე გრიგოლის-ასულს, თბილისის 1-ლი მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.

31. ციმაკურიძეს, ალექსანდრე გრიგოლის-ძეს, მხატვარს.

32. ჭელიძეს, სერგი ფილიპეს-ძეს, აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.

33. ჭიაურელს, მიხეილ ედიშერის-ძეს, კინორეჟისორს, ორდენოსანს.



## ქართული ხალხის ხელოვნება

ქართველი ხალხის კულტურასა და ხელოვნებას მრავალსაუკუნეანი ისტორია აქვს. შენახულა პირველი საუკუნის ჩვენს ერამდე მატერიალურა კულტურის უმდიდრესი ძეგლები, მცხეთა-არმაზის ნეკროპოლის გათხრების დროს ნაპოვნი.

არაერთხელ უცხოელ დამპყრობელთა შემოსევა გვიქადდა თითქოს მოეპოვო ქართველი ხალხის არსებობის კვალიც კი. მაგრამ, ზღაპრული ფენიქსის მსგავსად, ნაცარსა და ნანგრევთაგან კვლავ ცოცხლდებოდა ქართული კულტურა, უხვად და უფრო ბრწყინვალედ იფურჩქნებოდა ხელოვნება.

ქართული პოეტური ფოლკლორი, სიმღერა, ცეკვა, ფერწერა, ხალხური ხანახაობანი, არქიტექტურა, მუსიკა აღბეჭდილ არიან მატერიალური კულტურის უძველეს ძეგლებში.

ქართული ლიტერატურის ოქროს ხანას ამშვენებენ პოეტების შთავლი-სა და ჩახრუხაძის სახელები, რომელთა ქმნილებანიც განსხვავდებიან სრულყოფილი მხატვრული ოსტატობით.

დიდებულმა პოეტმა და მოაზროვნემ შოთა რუსთაველმა, რომელმაც თავის გენიალურ პოემაში განასახიერა ხალხთა ძმობის იდეა, ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერების უფლება, უდიდესი გავლენა იქონია მთლად ქართული პოეზიის განვითარებაზე.

ქართველი ხალხის წრიდან გამოვიდნენ ისეთი გამოჩენილი პოეტები და მწერლები, როგორც საბა-სულხან ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ჭონქაძე, ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგი, ბარათაშვილი, ნინოშვილი, კლდიაშვილი და სხვა.

ყოველთვის ესმომაბა ქართველ ხალხს რევოლუციამდელი ქართული თეატრის გამორჩენილი მოღვაწენი — შესანიშნავი აქტიორები: ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, გ. იშხნელი, კ. მესხი.

მძიმე მდგომარეობაში იყო ქართული თეატრი მენშევიელების ბატონობის დროს. 1920 წელს ლატაკურ ქოხში გარდაიცვალა ქართული სცენის კორიფეი ლ. მესხიშვილი, ხოლო „დემოკრატიული მთავრობა“ ამ დროს იმაზე ლაყბობდა — დაერქვათ თუ არა ქართულ თეატრს სახელმწიფო თეატრი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დაიწყო ნაციონალური ხელოვნების გაფურჩქნვა-აყვავება. საბჭოთა თეატრის მშენებლობაში სცენის ბრწყინვალე ოსტატთა ჩაბმამ, აქტიორებისა, რეჟისორებისა, დრამატურგებისა, კომპოზიტორების აღზრდისათვის გაწეულმა დიდმა მუშაობამ, მაღალიდუერი რეპერტუარისა და ძალოვანი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნამ უზრუნველყო საქართველოს თეატრალური კულტურის ბრწყინვალე გამარჯვება.

საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავი — ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების სასიხარულო დღესასწაულია, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის დღესასწაულია, — ხალხთა, რომელნიც ბოლშევიეების პარტიის ხელმძღვანელობით აგებენ კომუნისტების დიდებულ შენობას.

მხრუნველობით იცავს რა კულტურის შესანიშნავ ძეგლებს, ქართველ ხალხს ჰქმნის ახალ, მშვენიერ ხელოვნებას.

თეატრალური ხელოვნებაც მართლაც ხალხის მასების ავლადიდებად გადაიქცა. საკმარისია ვთქვათ, რომ საქართველოს თეატრების წარმოდგენები 1939 წელს ნახა ორმა მილიონმა მაყურებელმა.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა მიერ კრემლში საქართველოს მშრომელთა დელეგაციის მიღების დროს სსრ კავშირის სახალხო არტისტის ამხ. ხორავას პირით ქართული თეატრის მთელმა შემოქმედმა კოლექტივმა განაცხადა: „70 წლის განმავლობაში ქართულმა თეატრმა გაიარა იგივე ეკლიანი გზა, როგორც გაიარა ქართულმა კულტურამ მეფის რუსეთის და თანამემამულე თავადაზნაურობის მძიმე უღლძს ქვეშ. 70 წლის მანძილზე ქართველი აქტიორი უპატრონო, მშვიერი და უუფლებო იყო. გიორგი ერისთავი, კ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ნ. გაბუნია, ვ. გუნია, ბ. ავალი-შვილი, ლადო მესხიშვილი და ქართული სცენის მთლად შემდგომი ბრწყინვალე პლეადე, ვისი ხელოვნებითაც შეიძლო ეამყნა მსოფლიო სცენას,—განადირსნი იყვნენ ეკლიანი გვირგვინისა თავიანთი თავდადებული უსასყიდლო მოღვაწეობისათვის მშობლიური თეატრის საკეთილდღეოდ? ვ. აბაშიძე — ეს უკვდავი ნიღაბი მშრომელი ხალხის ღიმილის და სიხარულისა — იძულებული იყო უტვირო თავადი მუხრანსკის წინაშე სამჯერ ჯამბაზივით შემხტარიყო, რათა თავისთავის დამცირებით მოპოებული 300 მან. მოეხმარებინა დ. ერისთავის პიესის „სამშობლოს“ დადგმისა და გაფორმებისათვის. ლადო მესხი-შვილი — ეს ქართული თეატრის პრომეთეოსი — ქართველმა თავადაზნაურობამ გაასამართლა რევოლუციამში მონაწილეობისათვის, როგორც სცენაზე, ისე ბარიკადებზე. ლადოს მგზნებარე მოკლე პასუხი თვით ქართული თეატრის დედაარსი იყო: „გამასამართლეთ, ხელოვნება ხალხს ეკუთვნის და მე მასთან ვარ“.

ოპერისა და დრამატული თეატრების რეპერტუარში ძირითადი ადგილი უჭირავთ ქართველი კომპოზიტორებისა და დრამატურგების ნაწარმოებებს. თეატრებმა შესძლეს ლენინისა და სტალინის დიდებულ სახეთა სცენოური განხორციელების პასუხსაგები ამოცანის სწორად გადაწყვეტა. შ. დიდიანის პიესის „ნაპერწყლიდან“ და ნ. პოგოდინის პიესების „თოფიანი კაცი-სა“ და „კრემლის კურანტებს“ დადგმები ქართული თეატრის საუკეთესო დადგმებს ეკუთვნის.

ნიჟიერი ახალგაზრდობა წარმატებით ეუფლება დრამატურგიული ხელოვნების მწვერვალებს.

ფართოდ იყენებს საბჭოთა თეატრი ქართული და რუსული ლიტერატურის კლასიკოსების პიესებს, დასავლეთ-ევროპის დრამატურგის საუკეთესო წარმომადგენლების ნაწარმოებთ. საქართველოს თეატრებში აღიზარდნენ სცენის ოსტატთა შესანიშნავი კადრები.

ქართული მუსიკის რევოლუციამდელი წარსული დამაღონებელი იყო. პირველი ქართველი კომპოზიტორების მ. ბალანჩივაძის, დ. ანაყიშვილისა და ზ. ფალიაშვილის ნაწარმოებთ ახლოს არ იკარებდნენ არც ოპერის სცენაზე, არც დიდ საკონცერტო ესტრადაზე. მენშევიკების ბატონობის დროს ნიადგიც კი არ იყო ხელოვნების განვითარებისათვის. ჩუხჩუხა წყაროსავით აჩქედდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოს მუსიკალური ცხოვრება. რამდენიმე წლის განმავლობაში რესპუბლიკა დაიქსელა მუსიკალური სასწავლებლებით. შეიქმნა კონსერვატორიები. ოპერის

თეატრის სცენაზე დაიდგა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“  
„დაისი“, „ლატავრა“, მ. ბალანჩივადის „დარეჯან ცბიერი“, ვ. დროსტოვის  
„ქეთო და კოტე“ და სხვ. დაიწყო ფართო პროპაგანდა ნაციონალური მუ-  
სიკალური ხელოვნებისა ოპერის თეატრის სცენიდან, საკონცერტო ესტრა-  
დიდან, კლუბებში და კულტურის სახლებში, სოფლად. საქართველოს ქალა-  
ქებსა და სოფლებში გაისმის ახალი სიმღერები, რომლებშიაც ყლერს სოცია-  
ლიზმის ქვეყნის დიდ ცხარევებათა სიხარული. ათასობით ხალხური სიმღე-  
რები ასახავენ ახალ ცხოვრებას, აღიდეგენ ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ  
სტალინს, მის უახლოეს თანამოსაგრეთ, ძღვეამოსილ წითელ არმიას, საკოლ-  
მეურნეო წყობილებას. რესპუბლიკის ყველა კუთხეში შეიქმნენ მრავალრიც-  
ხოვანი ხალხური გუნდები. ხალხური ცეკვის ანსამბლები არ ჩამოუვარდე-  
ბიან შესრულების ხარისხით თეატრალურ ქორეოგრაფიულ კოლექტივებს.

ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნება ვითარდება კლასიკუ-  
რი მემკვიდრეობისა და ხალხური სასიმღერო შემოქმედების ათვისების სა-  
ფუძველზე. წინ წამოდგენ მთელი რიგი ნიჭიერი კომპოზიტორები, რომელ-  
თაც უკანასკნელ წლებში შექმნეს თვალსაჩინო სიმფონიური და კამერული  
ნაწარმოებანი.

მოსკოვში მოწყობილი ქართული ხელოვნების დეკადის შემდეგ ქართუ-  
ლი საოპერო ხელოვნების კლასიკური ნაწარმოებნი „აბესალომ და ეთერი“,  
„დაისი“ და კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“ შეტანილ იქნენ მოძმე რეს-  
პუბლიკების ბევრი თეატრის რეპერტუარში.

ქართული მუსიკის უანრების მრავალფეროვანება და მაღალი ხარისხი,  
თეატრალური ხელოვნების წარმატებანი გამოხატავენ რესპუბლიკის საერთო  
კულტურულ და სამეურნეო აღმავლობას.

ამხ. ლ. პ. ბერიას წიგნით „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცი-  
ების ისტორიის საკითხისათვის“ შთაგონებულმა ქართველმა მხატვრებმა შე-  
ქმნეს სურათები, რომლებზედაც აღბეჭდეს თავიანთი ხალხის გმირული რე-  
ვოლუციური წარსული.

ქართული სახვითი ხელოვნება გადაჭრით დაადგა სოციალისტური  
რეალიზმის გზას. ინდუსტრიული საქართველო, მისი ციტრუსებისა და ჩაის  
გაშლილ-გაფურჩქნელი პლანტაციები, სოციალიზმის მშენებელთა სახეები—  
ყოველივე ეს ასახულია ფერწერითს ნაწარმოებებში.

მოქანდაკის ი. ნიკოლაძის შესანიშნავი გორელიეფები მარქს-ენგელს-  
ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ფორტონზე — „დიდი ბელადი“  
და „სტალინი — ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებელი ამიერკავკა-  
სიაში“ და თ. აბაკელიას ბარელიეფები მოგვიტხრობენ მუშათა კლასის საქ-  
მისათვის გმირული რევოლუციური ბრძოლის წლებზე, მშრომელთა ახალ  
ბედნიერ ცხოვრებაზე. დიდი სტალინის სახე განზორციელებულია მოქანდაკე  
ს. კაკაბაძისა, კ. მერაბიშვილისა და რ. თავაძის ნაწარმოებებში.

ქართულმა კინემატოგრაფიამ ოცი წლის განმავლობაში გამოუშვა  
150-ზე მეტი მხატვრული ფილმი. ბევრი ამ ფილმთაგანი — „უკანასკნელი  
მასკარადი“, „ნარინჯის ველი“, „დარიკო“, „დიადი განთიადი“ და სხვ. — შე-  
ვიდა საბჭოთა კინემატოგრაფიის ოქროს ფონდში და სამუდამოდ დარჩება  
ჩვენი ხელოვნების ისტორიაში.

რესპუბლიკის ოცი წლის თავი — ერთი შექმფენი საფეხურთაგანია იმ უდი-  
დესი გზისა, რომელიც გაიარეს საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა ურყევ  
ბრძოლაში ლენინურ-სტალინური მებრძოლი რევოლუციური ინტერნაციონა-  
ლიზმისათვის.

# სვადინური პრემიის დაუჩაევაბი

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში ლიტერატურის დარგში ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის სვადინური პრემიების მიკუთვნება საქართველოს სს რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებისათვის

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში უკანასკნელი 6-7 წლის პერიოდის ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის სვადინური პრემიების მიკუთვნების შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წ. 20 დეკემბრის და 1940 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით

ბათა შესასრულებლად, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: მიეკუთვნოთ სვადინური პრემიები ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის შემდეგ მუშაკებს:

## ა. მუსიკის დარგში

მეორე ხარისხის პრემია 50.000 მანეთის რაოდენობით

გრიგოლ ბართლომეს-ძე კილაძეს, სიმფონიური პოემისათვის „განდევილი“, რომელიც სრულდება 1936 წლიდან.

## ბ. ზეპირი დარგში

მეორე ხარისხის პრემია 50.000 მანეთის რაოდენობით

ირაკლი მოსეს-ძე თოიძეს—შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებისათვის, რაც მან 1937 წელს შეასრულა.



ა. შორავა



ს. კაკაბაძე



მ. კვიციანი



მ. გელოვანი

**ბ. ჰანდაკეზის დარბაზი**

მეორე ხარისხის პრემია 50.000 მანეთის  
რაოდენობით

სილოვან იოაკიმეს-ძე კაკაბაძეს—  
ამხანაგ სტალინის მონუმენტისათვის,  
რომელიც აგებულ იქნა ქ. თბილისში  
1939 წელს.



ლ. კიაჩელი


**დ. არქიტექტურის დარბაზი**

მეორე ხარისხის პრემია—50.000 მანეთის  
რაოდენობით

არჩილ გრიგოლის-ძე ქუ რ დ ი ა ნ ს—  
1939 წელს აგებული საქართველოს სსრ  
პავილიონის არქიტექტურული პროექტი-  
სათვის სრულიად-საკავშირო სასოფლო-  
სამეურნეო გამოფენაზე ქ. მოსკოვში.



ნ. ვაშაძე



გ. შენგელაია




გ. ლეონიძე




გ. კილაძე



ს. ბალაშვილი



ა. კერდიანი



ო. თოიძე

**ე. თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების დარგში**

პირველი ხარისხის პრემია 100.000 მანეთის რაოდენობით

აკაკი ალექსის-ძე სორავას—სსრკ ვიზირის სახალხო არტისტს, თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობს, ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების დარგში.

**თ. კინემატოგრაფიის დარგში**

პირველი ხარისხის პრემია 100.000 მანეთის რაოდენობით

მიხეილ ედიშერის-ძე ქიურელს, რეჟისორს, საქართველოს სსრესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მიხეილ გიორგის-ძე გელოვანს, არტისტს, და სპარტაკ ლევანის-ძე ბალაშვილს, არტისტს—კინოსურათებისათვის: „არსენა“, რომელიც 1937 წელს გამოვიდა და „ღიადი განთიადი“, რომელიც 1938 წელს გამოვიდა.

მეორე ხარისხის პრემია 50.000 მანეთის რაოდენობით

ნიკოლოზ მიხეილის-ძე შენგელიას, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, და ნატალია გიორგისასულ ვაჩნაძეს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს — კინოსურათებისათვის: „ელისო“, რომელიც 1936 წელს გამოვიდა, და „ნარინჯის ველი“, რომელიც 1937 წელს გამოვიდა.

**ი. მხატვრული პროზის დარგში**

მეორე ხარისხის პრემია 50.000 მანეთის რაოდენობით

ლევონ მიხეილის-ძე ქიჩელს—რომანისათვის „გვადი ბიგვა“, რომელიც გამოქვეყნდა ქართულ ენაზე 1938 წელს და რუსულ ენაზე 1939 წელს.

**კ. კოეზიის დარგში**

მეორე ხარისხის პრემია 50.000 მანეთის რაოდენობით

გიორგი ნიკოლოზის-ძე ლეონიძეს—პოემისათვის „ბელადის ყრობა“, რომელიც 1939 წელს გამოქვეყნდა.

მ. ალხაიციანი

## „დიდი მოუკავი“ გრიბოედოვის თეატრი

საქართველოში რუსულ თეატრს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს: ოფიციალურად იგი დაარსდა თბილისში 1846 წელს. ძველად რუსულ თეატრს საქართველოში გარკვეული მიზანი ჰქონდა: იგი იყო რუსული თვითმპყრობელური სისტემის განმტკიცების, პატარა ეროვნებათა გარუსების და მონარქიზმის იდეების გამტარებელი. მეფის ნაცვალი მ. ვორონცოვი სწერდა თავად პ. ვოლკონსკის 1849 წელს, რომ თბილისში რუსული თეატრის დაარსების ერთერთი მიზანია „მათი (ე. ი. ქართველების, შ. ა.) რუსებში თანდათანობით გათქვეფა“. ამის და მიხედვით რუსული თეატრის რეპერტუარი უხამსი ვოლდეილებისა და ურა-პატრიოტული პიესებისაგან იყო შემდგარი. რუსული კრიტიკული რეალიზმის ისეთი შედეგების ჩვენებაც კი, როგორც „ვაი ჭკუისაგან“ და „რევიზორია“, აკრძალული იყო, რადგან, გრაფ ვ. სოლოგუბის თქმით, ეს პიესები „აჩვენებენ მხოლოდ მწარე და ჭკვიანურ სიცილს ჩვენს თავზე“, მაშასადამე თვითმპყრობელური რეჟიმის საფუძვლების დისკრედიტაციას ახდენდნენ.

სულ სხვა სურათს ვხედავთ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. რუსული თეატრი საქართველოში, რომელიც უწინ ეროვნულ ჩაგვრის და შევიწროების იარაღი იყო, დღეს საბჭოთა დიდი კონსტიტუციის მზით გამთბარი, ინტერნაციონალური და პროგრესიული იდეების გამტარებელია. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა შესაძლებელი ქართული ორიგინალური დრამატურგიის ნიმუშებში ჩვენება რუსული თეატრის სცენაზე. და

ამაში უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრს, რომელმაც საქართველოში რუსული თეატრის არსებობის 93 წლის შემდეგ პირველად 1939 წელს განახორციელა შ. დადიანის ისტორიულ-რევოლუციური პიესის „ნაპერწყლიდან“ დადგმა.

გამხნეებულმა ამ პირველი დადგმის წარმატებით, ქართულ მასალაზე მუშაობის სათანადო გამოცდილების დაგროვების შემდეგ, გრიბოედოვის თეატრმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე ვეიჩვენა მეორე დადგმა, დრამატურგ იონა ვაკელის ისტორიული დრამა „დიდი მოუკავი“ („გიორგი სააკაძე“). თეატრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ დადგმამ დაგვარწმუნა, რომ თეატრს საკმაოდ



დრამატურგი ი. ვაკელი

შემოქმედებითი და ტექნიკური შესაძლებლობანი გააჩნია ქართული პეისის სრულფასოვანდ და სრულქმნილად ჩვენებისათვის. და თეატრმა უნდა განამტკიცოს და განაგრძოს შემდეგშიაც ეს კარგი წამოწყება.

გიორგი სააკაძის თემა ქართულ საბჭოთა ხელოვნების თითქმის ყველა დარგის საყვარელ თემად შეიქმნა. ლიტერატურა-სა და დრამატურგიაში, ქანდაკებასა და ფერწერაში გიორგი სააკაძე სათანადო ადგილს იკავებს. და ეს არც გასაკვირია. გიორგი სააკაძის ტრაგედია-ქართველი ხალხის ტრაგედია იყო. ცნობილია, რომ ყოველი ერის ისტორიაში არსებობდნენ ისეთი გადამწყვეტი მომენტები, როდესაც ამა თუ იმ ერძს ყოფნა არყოფნის საკითხი იდგა, როდესაც ხალხს პირდაპირ ფიზიკური განადგურება მოელოდა. და ასეთ მომენტებში ხალხის წიაღიდან გამოვიდოდა ისეთი პიროვნება, რომელიც გადაარჩენდა ხალხს განადგურებისაგან. ასეთი იყო შაგ. დიმიტრი დონსკოი რუსეთში, ასეთი იყო, სხვა ასპექტში, გიორგი სააკაძე საქართველოში.

დრ. ენგელსი გ. შტარკენბერგინაღმწერილში (1894 წ. 25/1), მართალია სხვა კონტექსტში, მაგრამ ისეთ აზრს გამოთქვამდა, რომელიც ჩვენს შემთხვევაშიც სავსებით გამოიყენება: „ნაპოლეონი რომ არ ყოფილიყო, მის როლს სხვა შეასრულებდა. ეს უეჭველია; რადგან ყოველთვის, როცა ასეთი ადამიანი საჭირო იყო, იგი მოინახებოდა: ცეზარი, ავგუსტი, კრომველი და ა. შ.“ XVII ს. დასაწყისში საქართველოს გადარჩენისათვის საჭირო იყო სააკაძის მსგავსი ადამიანი, და იგი მართლაც გამოჩნდა. მართალია, საქართველოს თავის მრავალსაუკუნოანი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ უნახავს უცხოელ ურდოების შემოსევა, მაგრამ ეს იყო უფრო მართვა-გამგებობის შეცვლა, შაბასმა კი მოისურვა მთლიანად ქართველი ხალხის აყრა თავის სამშობლოდან და ირანში გადასახლება. ამას ხელი შეუშალა გიორგი სააკაძემ და პირველყოვლისა სწორედ ამაში მდგომარეობს გიორგი სააკაძის უდიდესი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე და პროგრესული როლი მსოფლიო ისტორიაში.



რეჟისორი-დამდგმელი  
ა. რუბინი




მხატვარი ირ. შტენბერგი



იონა ვაქელის „გიორგი სააკაძე“ მეტად საყურადღებო დრამატიული ნაწარმოებია. ისტორიულ დრამატურგიის ხაზით „შამილის“ შემდეგ „გიორგი სააკაძე“ მისთვის უდავო ნაბიჯია წინ. პირველივე მოქმედებაში ავტორს მოხერხებულად აქვს მოცემული მთელი ნაწარმოების ექსპოზიცია. პიესის მთავარი ხაზები აქ ინახვება. კარგათ არის გამოყენებული სოციალური მოტივი ხოსიტას სცენაში, რომელიც სრულიად არ სტოვებს პიესის სოციალურად გამახვილებიანათვის ძალად ჩამატებულ ეპიზოდის შთაბეჭდილებას. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მთელ პიესაში სცენები და ეპიზოდები ლოგიკურად და დამაჯერებლად გამომდინარეობენ ერთი მეორისაგან, რაც უთუოდ მიღწევად უნდა ჩათვალოს ავტორს. დიდი სიყვარულით აქვს ავტორს დახატული ლუარსაბ მეფე, ზოგიერთ მომენტებში ავტორი ისეა გატაცებული ლუარსაბით, რომ ავიწყდება თვითონ გიორგი სააკაძეც კი. ამ მხრივ მეორე მოქმედების მეორე სურათი ძლიერად არის დაწერილი. იგივე ითქმის მესამე მოქმედების პირველი სურათის მეორე ნახევრის შესახებ. სამაგიეროდ მესამე მოქმედების მესამე სურათიდან დრამატიზმი ნელდება (მეტადრე 4 მოქმედების პირველ და მეორე სურათში) და მხოლოდ ფინალში ისევ აღწევს თავის სიმაღლეს, მაგრამ მაინც უფრო ნაკლებს, ვიდრე ეს იყო ლუარსაბ მეფის წამებისათვის მზადების დროს. შეიძლება ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ავტორს თეიმურაზ მეფისათვის აღარ ეყო მხატვრულად ისეთივე მაღალ ხარისხივანი მასალა, როგორც ლუარსაბ მეფის სცენებისათვის. ამიტომ არის, რომ თეიმურაზ მეფეც მკრთალი გამოვიდა და მის გარშემო მომხდარი ამბებიც ნაკლებ დრამატიული.

პიესის ტრაგიკული შინაარსის უფრო რელიეფურად გამოჩენისათვის, ავტორი მოხერხებულად იყენებს კომიკურ სცენებს, ალაგ-ალაგ დიალოგები სავსეა ენამახვილ გამოთქმებით და გააზრებულ აფორიზმებით, რაც უთუოდ პიესის შინა-



ა. სმირანიანი გიორგი სააკაძე

არსობრივი მასალის გაღრმავებას ხელსუწყობს. ავტორის მიერ შექმნილია ცოცხალი, ხორცშესხმული ტიპების მთელი გალერეია, მეტადრე ამქრების და ვაჭრების სცენაში (2 მოქმედების პირველი სურათი). იგივე ითქმის ზოგიერთ თავა-



ბ. ბოდროვი შაღინიანი



ლ. ვრუბლესკია

თავლე

დების (ქაიხოსრო ჯავახიშვილი, ზურაბ ერისთავი და სხვ.) და აზნაურების (პაპუნა, ელია) შესახებ. ნაკლების სიძლიერით არის მოხაზული ქალების ტიპები (ქეთევანი, თამარ).

„გიორგი სააკაძის“ დამდგმელმა ა. რუბინმა და რეჟისორმა ა. ავგუსტოვმა მთელი თავიანთი შემოქმედებითი უნარი გამოამჟღავნეს ამ სპექტაკლში. და სამართლიანად ეს სპექტაკლი სეზონის ერთ-

ერთ საუკეთესო დადგმად უნდა ჩაითვალოს. თეატრმა შესძლო ქართული ისტორიული კოლორიტის დაცვა კარგათ მოფიქრებულ და სიუჟეტურად გამართლებულ მიზანსწინებში, სპექტაკლის საერთო მონუმენტალურ მოხაზულობაში, თვითველ მომქმედ პირის და ტიპაჟის შინაგანი ბუნების გახსნაში. ამ მხრივ დამდგმელებს ძალიან დაეხმარა მხატვარი. შტენბერგის დეკორაციული გაფორმება. გიორგი სააკაძის ეზო ნოსტეში, ლუარსაბ მეფის სასახლე და სცენა მღვიმის მონასტერთან ირ. შტენბერგის მიერ შესანიშნავად არის გაფორმებული. აქ არის დაცული, როგორც ქართული არქიტექტურული სტილი, ისე მოცემულია საქართველოს ბუნება. გ. მეტონიქს დიდის გემოვნებით აქვს მოფიქრებული თვითველ მომქმედ პირის ისტორიული კოსტიუმები. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გარდა მხატვრულ-ესთეტიკური მნიშვნელობისა, სპექტაკლი არ არის მოკლებული აგრეთვე კულტურულ-შემეცნებითი მნიშვნელობას, რისთვისაც ეტყობა დიდი შრომა ჩაუტარებია დატემის კონსულტანტს პროფესორ ს. კაკაბაძეს.

გიორგი სააკაძის როლს ასრულებს ა. სმირანიანი. მსახიობს ყოველგვარი შესაძლებლობა გააჩნია, რომ მოგვეცეს გიორგი სააკაძის სრულყოფილი სახე: გარეგნობა,



ი. ვაკელის „დიდი მოურავი“ გრიბოედოვის თეატრში

I მოქ., I სურ.

ფიგურა, ტემპერამენტი, აქტიორული ტექნიკა—ყველაფერი ხელსუფყობს სმირა-ნინს პიქსის ცენტრალური პირის განსახიერებისათვის. მაგრამ გიორგი სააკაძე ჩვენ მაინც ვერ ვნახეთ წარმოდგენაში.. იყო მომენტები, როდესაც თვალწინ მართლაც გიორგი სააკაძე წარმოგვიდგებოდა, მსახიობი უახლოვდებოდა სააკაძის ნამდვილ სახის მოცემას (სცენა ამქრებთან, მღვიმის მონასტერთან, ფინალი), მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეული გავლევება იყო და ჩვენ წინ ისევ ის მსახიობი სმირანი იდგა, რომელმაც ასე მოგვჩიბლა მრავალ სხვა როლებში, როგორც მაგალ. სირანო-დე-ბერკეერაკი, ფილიპ ბრიდო, სერ ტობი და სხვ. სააკაძე დიალია მით, რომ ისტორიამ დააკისრა დიდი როლის შესრულება იმ ეპოქაში, მაგრამ ამავე დროს იგი უბრალოა, როგორც ხალხის ნამდვილი შვილი. ზედმეტი პათეტიურობა, ხელოვნურობა ექსტეზში და მოძრაობაში, საერთოდ მთელი როლის ამაღლებულ, მაღალფარდოვან ტონებში წაყვანა ვერ ქმნის სააკაძის ნამდვილ სახეს. მსახიობს კიდევ დიდი მუშაობის ჩატარება დასჭირდება, რომ შექმნას სრულიად დამოუკიდებელი, მის მიერ ნათამაშე სხვა როლებისაგან განსხვავებული, ორიგინალური სახე.

ცხადია, ამ გარემოებამ ბუნებრივად წინა პლანზე წამოსწია ლუარსაბის და შადიმან ბარათაშვილის ფიგურები. და




ვ. ბრაგინი

ლუარსაბ მეფე

მართლაც ვ. ბრაგინი (ლუარსაბ მეფე) და ი. ბოდროვი (შადიმანი) სპექტაკლში საუკეთესო სახეებს ქმნიან.

ვ. ბრაგინის მიერ განსახიერებულ ლუარსაბ მეფის როლი ამ მსახიობის ერთ-ერთ საუკეთესო როლად უნდა ჩათვალოს. მსახიობმა შესძლო გამოქმენა მრავალნაირი ფერები თავის აქტიორულ პალიტრაზე. ლუარსაბის ტრავედია პირველ მოქმედებაშივე ჩაისახება. მსახიობს მშვენიერად აქვს წარმოდგენილი თეკლესადმი სიყვარულის სცენები (მესამე სუ-



ი. ვაკელის „დიდი მოურავი“ გრიბოედოვის თეატრში

2 მოქ., 5 სურ.



კ. მიუფე

თეიმურაზ მეფე

რათი), აქ იგი აღწევს ლირიულობის სიმალემდე, რომ შემდეგ სცენაში შადიმან ბარათაშვილთან (2 მოქმედების მეორე სურათი) უდიდესი გაორება და ტანჯვა განიცადოს. მაგრამ უნებისყოფო ზვიად ფეოდალების მიმართ, ლუარსაბი შაპ-აბასთან სცენაში შეუდრეკელ და მამაც გმირად გვევლინება. მსახიობმა შესძლო ნამდვილ ტრაგედიის სიმალემდე

აუყვანა გამომშვიდობების სცენა. დანაშაულის წყარია ის მომენტი, როდესაც ლუარსაბ მეფე გაიძახის: „იყო ქვეყანა და აღარ არის, გყავდათ მეფე და აწ აღარ გვეყოლებათ“. ყრუანტელის მომგვრელია მომენტი, როდესაც სასიკვდილოთ განწირული მეფე ემშვიდობება თავის სამშობლოს: „მშვიდობით ქართლო, მშვიდობით დიდებულნო, აწ ვეღარ გნახავს თქვენი მეფე. მოიხსენიეთ ჩემი სული და ილოცეთ ჩემდა ცოდვების მოსატყვევებლად...“

ი. ბოდროვი ისეთის აქტიურული ოსტატობით ანსახიერებს შადიმან ბარათაშვილის როლს, რომ ზოგიერთ მომენტებში იგი ჩრდილავს კიდევაც ა. სმირანინის სააკაძეს. ი. ბოდროვის განსახიერებაში შადიმან ბარათაშვილი სრულიად არ არის მეფის სასახლის წვრილფეხა ინტრიგანი იაგოსავით ქსელს რომ ხლართავს სააკაძის ვარშემო, არა, იგი იმდროინდელი ეპოქის ძლიერი ძალაა, კონსერვატიული აზიური ფეოდალიზმის მეთაური და სულისჩამდგმელი, აღმოსავლური პოლიტიკის დიდი და ჭკვიანი დიპლომატი. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ შადიმანი უარყოფითი ტიპია, მაყურებელს იტაცებს ი. ბოდროვის თამაში თავისი რეალურობით, დამაჯერებლობით და ზორცშესხმუ-




ი. ვაკელის „დიდი მოურავი“ გრიბოედოვის თეატრში

3 მოქ., 7 სურ.

ლობით. ის ფერ ტანსაცმელში გამოწყობილი, მუდამ ქარვის კრიალოსნით ხელში, რომელსაც ასე მჭერმეტყველურად იყენებს, დიჩი და აულელებელი, იგი თავიდანვე იყრობს მაყურებლის ყურადღებას. პირველივე სცენა, როდესაც იგი თეკლეს ნაქსოვს გადუგდებს სარიდანს, უკვე ხსნის მისი სახის ერთერთ მხარეს. შესანიშნავად აქვს გაკეთებული მსახიობს პაპუნასთან გაშიირობის სცენა, მაგრამ აქტიორულ ოსტატობას აღწევს ი. ბოდროვი ლუარსაბ მეფის სასახლის სცენაში, როდესაც იგი დაეინებით მოითხოვს მეფისაგან სააკაძისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას: „ხელი, მეფეო, ჩქარა ამ დასტურს ხელი მოაწერე“—ჩასჩიჩინებს უნებისყოფო მეფეს შადიმანი და ეს რამდენჯერმე განმეორებული ფრაზა მაყურებლის მენსიერებაშიც სამუდამოდ ჩაიწვეთება. შესანიშნავია ი. ბოდროვი აგრეთვე 4 მოქმედების მეორე სურათში, შადიმანი რომ დასტორის ლუარსაბს, მეტადრე ის მომენტი როდესაც აღელებული ფეოდალები ხმლებს იძრობენ და შეეკითხებიან „ეინ არის იგი“ და შადიმანი სრულიად აულელებელივ ხელს გასწვდის სააკაძისკენ—„აი იგიო!“. აქ შადიმანი მაყურებლის ზიზღს და სამართლიან გულისწყრომას იწვევს, იმდენად ბუნებრივად და დამაჯერებლად მიჰყავს მსახიობს თავისი როლი.

ლ. ვრუბლევსკაიას მიერ განსახიერებული თეკლეს როლი გვიზღავს ღრმა ლირიულობით, სიყვარულის წმინდა გრძობის გამომეღვენებით და ქვეყნისათვის თავდადებით. ამ მხრივ დასამახსოვრებელია სიყვარულის სცენა ლუარსაბ მეფესთან (მესამე სურათი) და სააკაძისთან შეხვედრის სცენა მღვიმეს მონასტერთან. არა ნაკლებ ამაღლებელია ლ. ვრუბლევსკაია ლუარსაბის გამოტრეხების სცენაში, საერთოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად როლის სიძნელისა, მსახიობმა შესძლო ძირითადად მისი დაძლევა.



ა. ლომნიცი პაპუნა

თავადების როლის შემსრულებელთაგან აღსანიშნავი არიან მსახიობები კ. დობეინსკი ქაიხოსრო ჯავახიშვილის და ნ. პოზნუხოვი ზურაბ ერისთავის როლებში. აზნაურებიდან სიმპატიურ სახეს ქმნის მსახიობი ა. ლიპნიცი (პაპუნა), კარგია აგრეთვე ა. პროგორაევი აზნაურ ელიას როლში.



ი. ოშიოვი კაპლო

სამწუხაროდ კ. მიუფევე თეიმურაზ მეფის როლში ვერ იძლევა სათანადო სახეს. არც გარეგნულად, არც მოძრაობით და არც დიალოგის გაშლაში მსახიობი ვერ გვაჯერებს, რომ ჩვენს წინ თეიმურაზ მეფეა. შეიძლება ეს იმიტომაც ხდებოდეს, რომ როლი ერთფეროვანია და დრამატიზმს მოკლებული.


მიუხედავად იმისა, რომ შამ-აბაზის როლი ეპიზოდურია, მსახიობ ა. ზაგორსკიმ მაინც შესძლო აღმოსავლეთის დესპოტის და მტარვალის დამაჯერებელი სახის მოცემა.

დანარჩენ მსახიობებთან აღსანიშნავი არიან: პ. დოლჟანოვი მეფის იუზუბაშის ვახილოს როლში, თუმცა მის იუმორს რუსული იერი უფრო გადაჰკრავს, და ი. ოსიპოვი—კალოს როლში, აგრეთვე ს. ბარკაგანი—ხოსიტას, ბ. ვიზემსკი—შუხას და ა. ლლონტი—ყორჩინაი-ხანის როლში.

კომპოზიტორ კ. მეღვინეთ-უხუცესის მუსიკა დაწერილია სცენის პირობების

სრულ გათვალისწინებით, რეგ მოცემულია იმდენად, რამდენადაც საჭიროა მოქმედების მსვლელობისათვის. კარგი იქნება, რომ ზომიერების ასეთი ტაქტი სხვა კომპოზიტორებსაც გამოეჩინათ ჩვენს თეატრებში. შესანიშნავად არის მოცემული ლუარსაბ მეფის შეხვედრის მუსიკა, ქალების სიმღერა „ვარალაღ“ ნადიმის დროს, ლუარსაბის და თეკლეს გამიჯნურების მელოდია. აგრეთვე კარგათ არის გამოყენებული სიმღერა „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ მღვიმეს მონასტრის სურათის ბოლოში.

ი. ვაკელის „დიდი მოურავის“ დადგმით გრიბოედოვის თეატრმა კარგი საქმე გააკეთა ქართველი ხალხის ისტორიის ერთერთი ფურცლის ფართო რუსი საზოგადოებისათვის ჩვენების მხრივ. ამაში კი დიდი დამსახურება მიუძღვის, როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ანს. კ. შახ-აზიზოვს, აგრეთვე თეატრის მთელ შემოქმედებით და ტექნიკურ პერსონალს.



ი. ვაკელის „დიდი მოურავი“ გრიბოედოვის თეატრში

I მოქ., I სურ.

მ. ბაიჩია

## „ლადო კეცხოველი“

ოპერის შექმნისათვის საჭიროა სიუჟეტი, რომლის თემაც ავებული იქნება რაიმე მნიშვნელოვან, განსაკუთრებულ ამბავზე. ლადო კეცხოველის ხანმოკლე, მაგრამ ბრძოლითა და გმირული თავდადებით აღსავსე მოღვაწეობა სავსებით უპასუხებს ამ ამოცანას.

მართლაც და, რა წარმტაცია ამ ადამიანის ცხოვრება! „რევოლუციის კეთილშობილი რაინდი, იგი მთლად გამსჭვალული და მოცული იყო რევოლუციური აზრით, გრძნობით, მოქმედებით. მის გულში გიზგიზებდა რევოლუციისათვის ბრძოლის დაუქრობელი ცეცხლი, შთაგონებული, ღრმად—იდეური, იგი თავის ყოველ ნაბიჯს მიმართავდა რევოლუციური საქმის გამარჯვებისაკენ. ლადოს ბრძოლის ურყევ სულისკვეთებას, უდრეკ სიმტკიცეს, მის სიმამაცეს საფუძვლად ედო

უსაზღვრო ერთგულება რევოლუციის საქმისადმი, უდიდესი რწმენა მუშათა კლასის გამარჯვებისა, რომელიც არ სტოვებდა მას არც იატაკქვეშეთში, არც საპყრობილეს ჭურღმულებში“ (ლ. ბერია).

ამ შესანიშნავი რევოლუციონერ-ბოლშევიკის მომხიბლავი და მჩქეფარე ცხოვრება შთაგონების უღევი წყარო იქნება მუდამ შემოქმედებითი მუშაკებისათვის. მისი დიდი რევოლუციური მოღვაწეობის თემაზე უკვე რამდენიმე ნაწარმოებია შექმნილი პოეზიაში, მხატვრობაში, დრამატურგიაში. უკანასკნელად ლადო კეცხოველის მარადიული ჩაუქრობელი შუქით გაბრწყინებული სახე ამეტყველდა მუსიკაშიც. ამ თემისადმი არის მიძღვნილი კომპოზიტორ გ. კილაძის ოპერა „ლადო კეცხოველი“.

ოპერის ლიბრეტო დამუშავებულია შ.



დ. გამარკელი

ლადო კეცხოველი



ს. ამირანაშვილი

ლადო კეცხოველი



ს. ინაშვილი

ლადო კეცხოველი

დადიანისა და შ. აღსაბაძის მიერ. ლიბრეტისტების წინაშე რთული და პასუხსაგები ამოცანა იდგა. მათ უნდა შეექმნათ ისეთი ნაწარმოები, სადაც ლადო კეცხოველის ინდივიდუალობა გახსნილი იქნებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობის ფონზე, ქართველ ხალხთან, რუს ხალხთან ურთიერთობის საფუძველზე. მგზნებარე თემა ლადოს სახისადმი, სინამდვილისადმი მგზნებარე მიდგომას მოიხივდა. კეცხოველის უბრალო საყოფაცხოვრებო ფერებში მოცემა, მისი ყოველდღიური ცხოვრების გადმოცემა შეიძლება ბიოგრაფიულად უფრო სწორი ყოფილიყო, მაგრამ ეს ერთგვარად დადაბლებდა კეცხოველის გმირულ-რომანტიკული სახის ბგერადობას. საჭირო იყო ფართო განზოგადება, მონუმენტური ფორმების გამოხატვა, ისეთი ლიბრეტოს შექმნა, რომელიც ჩვენი თანამედროვეობის შესატყვისი იქნებოდა თავისი ფორმითაც, შინაარსითაც, იდეითაც, მოქმედებითაც.

შ. დადიანი და შ. აღსაბაძე სწორეთ ამ მონუმენტულობის გზით ცდილან აესახათ

ლადო კეცხოველის მიჩქვფარე მოღვაწეობა, ადამიანებისადმი მაღალი მიდგომით გადმოცემა მათი ზრახვები და მისწრაფებანი, მათი მოქმედება და ბრძოლა. „ლადო კეცხოველის“ ლიბრეტო ყურადღებას იპყრობს ერთიანი მხატვრული განზრახვით, ხალხურობით, ფოლკლორის მოხერხებული გამოყენებით. ლადო კეცხოველის რევოლუციური შეუთრეგბლობა, სიმამაცე, სიმტკიცე და უშიშრობა საკმარისად გამოსკვივის ლიბრეტოდან.

ამ ლირსებებთან ერთად ლიბრეტო მოკლებული არ არის ნაკლსაც, რომელთა შორის მთავარი და არსებითი ის არის, რომ კეცხოველი მოცემულია წერილი ამბების გარემოცვაში, ზოგჯერ გაუმართლებელ, დაუჯერებელ სიტუაციაში. მღვდელთან შეხვედრა, ხატის დამტყრევა, ვიღაც ოპორტუნისტ ფერშალ ლუასთან შეკამათებაც მცირე ამბავია ისეთი მასშტაბის რევოლუციური მოღვაწისათვის, როგორც ლადო კეცხოველი იყო; სრულიად გაუგებარია კეცხოველის გამოსვლა თავადების მეჭოლისზე ამილახვრის სახლში. ამ მტრულ გარემოცვაში არც კეცხოველი გასწირავდა ასე უაზროდ თავს და არც არავინ მისცემდა მას ნებას ამოდენა სიტყვა ეთქვა თვითმპყრობელობისა და თავდაზნაურობის წინააღმდეგ. ასეთი რეზონიორობა შეუფერებელია ლადო კეცხოველის სახისათვის.

„ლადო კეცხოველის“ მუსიკა თვალსაჩინო გაბათილებია იმ მანერ „თეორიებისა“, რომელთაც არც თუ ისე დიდები ხნის წინათ ვასელო ჰქონდა ზოგიერთ საბჭოთა სამხატვრო წრეებში. მაშინ ზოგი სრულიად უარყოფდა საბჭოთა ოპერის არსებობის შესაძლებლობას და ამ თავის შეხედულებას საოპერო ფორმის საეკლესიო და ფეოდალური „სოციალური წარმოშობით“ ასაბუთებდა. საოპერო ფორმა შეუთავსებელია საბჭოთა შინაარსთან. საბუთად იშველიებდნენ ოპერის უაღრესად პირობით ხასიათს, რაც, ვითომდა, ეწინააღმდეგება მხატვრული რეალიზმის პრინციპებს, აგრეთვე ოპერაში მოქმედე-



ბის განვითარების შენელებულ ტემპს, რაც „არ ეგუება“ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ტემპებს.

იყო მეორე „თეორიაც“. იგი არ უარყოფდა საბჭოთა ოპერას, მაგრამ ამბობდა, რომ იგი თავისი ხასიათით და განწყობილებით არ უნდა ჰგავდეს ძველ კლასიკურ ოპერას. მაგალითად, თუ აქ „გმირებია“, ჩვენს ოპერაში მთავარი მომქმედი პირი მასა უნდა იყოს; თუ იქ ოსტატურად შეკრული ინტრიგაა, საბჭოთა ოპერა უსიუვეტო უნდა იყოს.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც კომპოზიტორებისაგან მოითხოვდნენ, რომ მათ დაესურათებიანთ არა სახეები, არამედ „თავიანთი დამოკიდებულება მათდამი“.

გრ. კილაძის ოპერა „ლადო კეცხოველი“, ვიმეორებთ, თვალნათლივ აბათილებს ამ „თეორიებს“, თუმცა ერთერთ მათგანს კომპოზიტორი ჯერ კიდევ უხდის ხარკს. მაგრამ ამაზე ქვევით.

უწარბივად „ლადო კეცხოველი“ ოპტიმისტური ტრაგედიაა, რომელშიაც ავტორი თავისი მთავარი გმირის ხასიათს გადმოსაცემად გაშლილი სიმღერის ნაცვლად დრამატუზირებულ რეჩიტატივს მიმართავს. ამას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითი ის არის, რომ მხატვრული გამოსახვის ეს ხერხი უფრო ეგუება გმირულ-პათეტიური ოპერის ხასიათს, საშუალებას აძლევს კომპოზიტორს მეტი დინამიურობა შეიტანოს გმირის მოქმედებაში.

მაგრამ ოპერა უპირველეს ყოვლისა ვოკალური ნაწარმოებია და სიმღერას მასში უპირატესი ადგილი უნდა ეჭროს. „ლადო კეცხოველში“ კი კილაძე—ვოკალისტტი დაჩრდილა კილაძე—სიმფონისტმა. ოპერის სასიმღერო მხარე მის საორკესტრო ნაწილთან შედარებით უფრო მკრთალი გამოვიდა.

ეს სრულიადაც არ უკარგავს ღირსებას „ლადო კეცხოველს“, რომელიც მთლიანად აღებული უდაოდ ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს მუსიკალურ ფრონტზე. ოპერაში არ არის



ე. სოხაძე

ლელი

ფორმალისტური ჩხირკედლეობა, სიყალბე, იგი ორგანიულად დაკავშირებულია ხალხურ შემოქმედებასთან, რომელსაც კომპოზიტორი მოხერხებულად იყენებს. შესანიშნავად ბგერს გუნდი. საგუნდო ნაწილი დიდი ხელოვნებით აქვს დამუშავებული კომპოზიტორს, თუმცა მუსიკალური გამოსახვის ხერხები აქ გარეგნულად რთული არ არის.

გრ. კილაძეს უყვარს ხალხური სიმღერა და მისი გავლენით შემუშავდა „ლადო კეცხოველის“ მუსიკალური ენაც. მთელი ოპერა ხალხური სიმღერის ხასიათით არის გამსჭვალული, თუმცა ნამდვილი სიმღერები ძალიან ცოტაა ადებული ოპერის ამათუბი ნაწყვეტის საფუძვლად. ხალხური „გაფრინდი შავო მერცხალო“ ისეთ სიტუაციაშია გამოყენებული, რომ იგი ორგანიულად ექსოვება ოპერის მუსიკალურ ქარგას.

გრ. კილაძე ორკესტრობის დახელოვნებული ოსტატია. „კეცხოველის“ პარტიტურაც მაღალ დონეზე დგას. მშვენივრად ბგერს ორკესტრში „კატორღელთა ცეკვა“ („ხორუმის“ თემა). თავისებურად



ბი გაისმის მეოთხე აქტის მეორე სეკენდში  
 თის ორკესტრშიც და გუნდშიც.

არის გაჭიანურებული ადგილებიც. მხატვრული ზომიერების თვალსაზრისით შემცირებას მოითხოვს კეცხოველის დაწყების სცენა, ლეკური და „კატორღელთა ცეკვა“. მათი ემფციური ზეგავლენის ძალა ამით უფრო გაიზრდება.

კომპოზიტორი ყველგან არ მისდევს მოქმედების განვითარების რეალისტურ ხაზს. მუსიკაში არის გაუბრალოების ნიმუშები. ავილით თუ გინდ ოფიცერ გივი ამილახვარის პარტია მეორე მოქმედებაში. კომპოზიტორი ამ მოქმედების ამღერებს რესტორანის კილოთი („სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნად: ღვინო, ღუღუკი, ქალები, ღვინოს ვსვამ, ღუღუკს დავმღერი და ქალებს ვენაცვალები“) და აკომპანიმენტად ასევე ნაკლებ ხარისხიდან საორკესტრო ფონს აძლევს. ეს უკვე რეალისტური სახე კი არ გამოდის, არამედ კომპოზიტორის აბსტრაქტული „დამოკიდებულება მისდამი“.

იგივე ითქმის ვალსის შესახებაც. ესეც უფრო ყბადღებული „დამოკიდებულებაა“, ვიდრე ნამდვილი ვალსი.

ყველა ეს ნაკლი გასაგები და ბუნებრივია, ამავე დროს უდავოა „ლადო კეცხოველის“ ავტორის დიდი ნიჭი, უდავო და აშკარაა მის მიერ შექმნილი პარტიტურის მაღალი მხატვრული ხარისხი.

თუ ვილაპარაკებთ „ლადო კეცხოველის“ დადგმის წარმატებაზე ზ. ფალიაშვილის სახ. თეატრში—წარმატება კი ყოველგვარ ეჭვს გარეშე—უპირველეს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ ღირიფორ შ. აზმაიფარაშვილის და საოპერო თეატრის ორკესტრის მუშაობა. ამოდენა მუსიკალური ფაქტურის ასეთ სარეკორდო მცირე ვადაში ათვისება გონებრივ და ფიზიკურ ძალთა დიდ დაჭიმვას მოითხოვდა. ეფექტი ჭერჯერობით შეიძლება არ იყოს ბრწყინვალე, მაგრამ რაც მთავარია—ნაწარმოები სწორად არის გაგებული და შემდგომში საორკესტრო და

მ. ყვარელაშვილი ლექსო

სანტერესოა ლეკური, თუმცა მისი რიტმიული მოხაზულობა ყოველთვის ხელსაყრელი არ არის მოცეკვავეთათვის.

„ლადო კეცხოველში“ მოქმედებენ რიგობრივ ინდივიდუალური გმირები, ისე მასა. ოპერაში ორგანიულად გადახლართულია მოქმედების ეს ორი ხაზი. გმირული და ლირიკული მოტივები მოხერხებულად სცელიან ერთმანეთს. ლამაზია ფანდურის თემაზე გაშლილი ლექსოს და ლელოს სატრფიალო დუეტი პირველი მოქმედების ფინალში.

სამწუხაროდ, გრ. კილაძის მუსიკა თანაბრად ძლიერი არ არის ყველა ნაწილში. აქა-იქ იგრძნობა ორკესტრის გადატვირთვა სპილენძის საკრავებით, მოტივების ერთგვარ ერთფეროვნებასაც აქვს ადგილი. საკმაოდ იჩენს თავს ქართველ და ევროპელ კლასიკოსთა გავლენა. ლუას არია „უნდა შემზადდეს ჯერ ნიადაგი“ ძალიან მოგვაგონებს გოჩას არიას „დარეჯან ცბიერიდან“; „აიდას“ აკორდ-

სცენიური შესრულების მთლიანობის მიღწევა ძნელი აღარ იქნება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ორკესტრის ზედმეტად გადატვირთვა ბგერადობით, რაც ხელს უშლის მომღერლებს მეტი მრავალფეროვანება მოგვცენ სიმღერაში.

სპექტაკლის დამდგმელმა შ. აღსაბაძემ სწორად გაითვალისწინა, რომ „ლადო კეცხოველის“ მუსიკა სცილდება ლიბრეტოს სქემატიურ ფარგლებს. სახეების გახსნაზე მუშაობისას მან მიზნად დაისახა მიეღწია თვითუღმურში მხატვრული სიმართლისათვის და ლადო კეცხოველის ტრაგედია ეჩვენებინა სოციალურ შეჯახებათა ფონზე.


ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს კეცხოველის სიკვდილი. აქ დაცულია როგორც ისტორიული, ისე მხატვრული სიმართლე:

ლადო ციხეში კვდებოდა  
მკერღზე ეკიდა ალი,  
ცა ბინდებოდა, ცხრებოდა,  
ეხუჭებოდა თვალი...  
და მკერღზე გადაჰფენოდა  
ლენინის „ნაპერწყალი“.

მიფიქრება თუ არა თვალს მეტეხის ციხის საკანი, სადაც ლადოს სპეტაი სისხლი დაიღვარა, დაეშვება ფარდა, რომელზედაც რსდმპ თბილისის კომიტეტის მიერ კეცხოველის ვერაგულად მოკვლის გამო გამოშვებული ერთერთი პროკლამაცია გამოხატული:

„ამხანაგებო,—ამბობდა მაშინ ეს პროკლამაცია, — სიჭაბუკიდან უკანასკნელ ამოკენისამდე იგი დაულალავად იცავდა ადამიანის წმინდა უფლებებს და პროტესტს აცხადებდა ყოველგვარ თვითნებობის და ძალადობის წინააღმდეგ. ვერც ციხის კედლებმა, ვერც კარცერმა ვერ შეასუსტეს მისი ენერგია: ყოველდღე გაისმოდა საპყრობილეში მისი ხმა-მალაღლი ძახილი: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს რესპუბლიკას და სოციალიზმს!“.

საინტერესოდ არის მოფიქრებული



გ. გრიგორაშვილი

გაბო

ობერის შესავალი. უვერტურის დაწყებამდე ეშვება ტიულის ფარდა, რომელი ზედაც „ბრძოლა“ და „სკრა“ დახატული. ქვევით მოსჩანს თბილისი მეტეხის ციხით. ამით რეჟისორ-დამდგმელს მაყურებელი შეჰყავს ისტორიაში, დღევანდელიდან 900-იან წლებში გადაჰყავს იგი და უჩვენებს, თუ საიდან დაიწყო ყველაფერი ის, რაც სცენაზე უნდა გადაიშალოს. ეს ხერხი უთუოდ აღწევს მიზანს. სპექტაკლის ემოციური ზეგავლენა დიდია.

კარგია „ლადო კეცხოველის“ გარეგნული გაფორმება. მიუხედავად ერთგვარი სპეციფიური საოპერო ხელოვნურობისა, დეკორაციები ლამაზად, გემოვნებით არის შესრულებული ირ. გამრეკელის მიერ.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებენ: ლადო კეცხოველი—დ. გამრეკელი, პ. ამირანაშვილი, ს. ინაშვილი; ლელო — ე. სოხაძე და ქ. შათირიშვილი; ლექსო — ნ. ბელაქელი და მ. ყვარულაშვილი; გაბო — გ. გრიგორაშვილი; კურნატოვსკი—ა. ჩაკალიძე და შ. ქუთათე-



ლაძე; ამილახვარი—ვ. ხამაშურიძე და ს. კუხიანიძე; გივი ამილახვარი—ა. ბუთხუზი; რუნიჩი—შ. ცირილაძე და პ. ჩახუნაშვილი; ლუა—ვ. ჭუმბურიძე; მოურავი—ზ. სვანიძე და ა. მაჩაბელი; შღვდელი—მ. ცაგურია.

საინტერესოა კეცხოველის როლის სამივე შემსრულებელი. სიმღერაც და სცენიური გადმოცემაც მაღალ დონეზე დგას. მსახიობებმა მონახეს ძლიერი, დრამატიული საღებავები ლადოს ხასიათის გადმოსაცემად.

შშვენიცრად არის დადგმული „კატორელთა ცეკვა“ დ. ჯავრიშვილის მიერ. ცეკვის დედააზრი—ძალა ერთობაშია—

კარგი შესრულების მეოხებით აღწევს მაყურებლამდე.

„ლადო კეცხოველის“ სპექტაკლი ზ. ფალიაშვილის სახ. თეატრში თვალსაჩინო მუსიკალური ძეგლია იმ ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე მშრომელთა განთავისუფლების საქმეს შესწირა. მისი სახელი უკვდავია მშრომელთა გულში.

თავგანწირულო შევარდენო, გეხსოვხარ დღემდე!

თვითონ ბელადი ვით ღირსეულ გმირს მოგიგონებს

და შენ გიძღვნიან პოეტები ლექსთა სტრიქონებს.



„ლადო კეცხოველი“

1 მოქმედება, 2 სურათი

ა. თბილელი

# „როზ-მაკი“ მუსიკალური კომპილის თეატრი

თბილისის მუსიკალური კომპილის თეატრმა განვიტარებდა საინტერესო გზა განვლო. თხუთმეტობიდე წლის წინათ დაარსდა თვითმომქმედი თეატრალური წრე, რომელიც მ. ჭიათურელისა და დ. ძნელაძის ხელმძღვანელობით ანხორციელებდა მცირე ფორმის დადგმებს. პირველ ხანებში დრამატიკულ, რომლის წევრები წარმოება—დაწესებულებების მუშა—მოსამსახურენი იყვნენ, „ლურჯხალათიანების“ პროგრამით გამოდიოდა. შემდეგ წრე თანდათანობით გაიზარდა, გაფართოვდა, გაპროფესიონალდა და გადაიქცა მცირე ფორმების თეატრად. მცირე ფორმებიდან თეატრი გადავიდა სატირულ, ანტირელიგიურ კომედიებზე. ამ პერიოდის დადგმები „თავი სიზმარში მგონია“, „ხაიქოს“ (ორივე სიკო ფაშალიშვილისა) ახლაც ახლავს მუსიკომედიის თეატრის მაყურებელს. თეატრის ყოველი ახალი დადგმა ძიება იყო თეატრი ეძებდა თავის ენარს. ეს ძიება ახლა დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. მუსიკომედიის თეატრი გადაიქცა ოპერეტის ქართულ თეატრად.

თეატრის ეს გადაწყვეტილებები სავსებით მოსაწონია. ქართული ოპერეტის თეატრი ჩვენ ჯერ არ გვქონია. წარსულში ჩვენი სცენის თვალსაჩინო წარმომადგენლები დგამდნენ ქართულად ოპერეტებს, უმეტესად აღმოსავლურს, მაგრამ ეს იყო ცალკეული ცდები. ოპერეტის პროფესიული ქართული თეატრი მხოლოდ ახლა იქმნება. ეს გასაგებია. ამ ენარის თეატრის შექმნა ქველმოქმედების საფუძველზე შეუძლებელია. თეატრი მოითხოვს დიდ თანხებს, დიდ შესაძლებლობას. ეს

კი ქართულმა თეატრმა მიიღო მხოლოდ საბჭოთა წესწყობილების დროს. მხოლოდ საბჭოთა მთავრობამ შეუქმნა ჩვენს თეატრებს შემოქმედებითი გაქანების უმაღალითო პირობები.

ოპერეტის დადგმის ცდებს უკვე რამდენიმე წელია აწარმოებს მუსიკომედიის თეატრი. იგი იღებდა ჩვეულებრივ კომედიებს და მუსიკალური, ვოკალური—საცეკვაო ნომრების ჩართვით ოპერეტებად სპექტაკლს. ეს იყო გარდამავალი პერიოდი. ამ მუშაობაზე თეატრი ეჩვეოდა ახალ ენარს, კოლექტივი იწვრთნებოდა სიმღერა—ცეკვაში. გაბედული ნაბიჯი იყო „ნატურის თვალისა“ და „ხაჯარათის“ დადგმა. ამ მოსამზადებელი მუშაობის შემ-



რეჟისორი ა. ჩხარტიშვილი



თ. როდეჩიჯავაძე

როზ-მარი

მ. გუგუნავა

ჯიმი

დევ თეატრს უკვე შეეძლო ნამდვილი ოპერეტის განსახიერება.

ეს ცლა მოახდინა თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ (დირექტორი ამხ. ვ. ნოღია, სამხატვრო ხელმძღვანელი ამხ. ა. ჩხარტიშვილი, დირიჟორი ამხ. კ. მაჩა-

**მეგობრული შარვი**



მ. გუგუნავა—ჯიმი  
ნახ. გ. ბაყურაძისა

ბელი). ამ ცდის შედეგია ფრიმლისა და შტუტჰარტის ცნობილი ოპერეტის „როზ-მარის“ დადგმა.

„როზ-მარი“ ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში. იგი ოპერეტის ყველა თეატრის რეპერტუარშია. ეს აიხსნება იმით, რომ ოპერეტა საინტერესოდ არის გაკეთებული. მასში ოპერეტული ენარის ხერხებით მკვეთრად არის მოცემული სოციალური მოტივები—სიმდიდრისა და სიღარიბის შეჯახება, წითელკანიანთა და თეთრკანიანთა დამოკიდებულება, მაღალი საზოგადოების გარყვნილება, სიყვარულით ვაჭრობა, დაბალი წრის ადამიანურობა და გულწრფელი სიყვარული. ოპერეტას აქვს მაგარი სიუჟეტი და საინტერესო ფაბულა. ამივე დროს ოპერეტა მუსიკალურად საინტერესო, მაგრამ ერთომ რთულია. მუსკომედიის თეატრისათვის „როზ-მარის“ დადგმა, მისი მუსიკის დაძლევა ნამდვილი გამოცდა იყო.

შეიძლება ვსთქვათ, რომ მუსკომედიის თეატრმა გამოცდა დამაკმაყოფილებლად დაიჭირა: „როზ-მარი“ საინტერესოდ არის დადგმული. როცა ამ საექტაკლს უსმენთ, თვალში გეცემათ მისი ორიგინალურ

გნდაჭრა. სპექტაკლის პეტორებმა გვერ-  
დი აუარეს შაბლონს. მთლიანად სპექტა-  
კლი რეალისტურად არის დადგმული და  
ცოცხალი ტემპით, დამაჯერებლობით,  
სიმახვილით, სიმღერების და ცეკვების  
გემოვნებით გამოყენების საშუალებით  
მაყურებელზე დადებით შთაბეჭდილებას  
ახდენს. რეჟისორმა ა. ჩხარტიშვილმა და  
ქორეოგრაფმა დ. მაჭავარიანმა ამ დად-  
გმით დაგვიმტკიცეს, რომ ქართულ თეატრს  
შესწევს ნამდვილი ოპერეტული სპექ-  
ტაკლების დადგმის უნარი.

სპექტაკლის მხატვრული გაფორმება  
ეკუთვნის ირ. შტენბერგს. კმაყოფილებით  
ავლინშნავთ, რომ ირ. შტენბერგმა, რო-  
გორც მთელი რიგი სხვა სპექტაკლების,  
ისე ამ ოპერეტის გაფორმებით გვიჩვენა  
კარგი გემოვნება. მუსკომედის თეატრი  
ყოველ ზაფხულს რაიონებში დადის გას-  
ტროლებზე. ამიტომ მისი სპექტაკლების  
გაფორმებას სპეციფიური ხასიათი ეძლე-  
ვა. დეკორაციები პორტატიული უნდა  
იყოს, ძირითადად მხატვარმა ფარდები  
უნდა გამოიყენოს. მიუხედავად ამ შეზ-  
ღუდვისა, სპექტაკლის გაფორმება კარ-  
გად არის შესრულებული. განსაკუთრე-  
ბით გამოირჩევა ყაეხანის, ზღვის პირის,  
სამკერვალო სახელოსნოს და ინდიელთა  
ბანაკის სცენები. შედარებით უფრო სუს-  
ტია უკანასკნელი სცენის უკანა ფარდა  
(გაყინული მინები) და მეტად პირობითია  
სპექტაკლის საერთო ფარდა (კოვბოი და  
ვარდი).

დიდი მუშაობა ჩაუტარებია დირიჟორს  
კ. მაჩაბელს. ოპერეტის რთული მუსიკა  
და ვოკალურ—საცეკვაო ნომრები მუსი-  
კალურად დამაკმაყოფილებლად სრულ-  
დება.

ამ ოპერეტისათვის თეატრმა შეავსო  
და გააძლიერა დასი ახალი მომღერლე-  
ბით, როზ-მარის როლს ასრულებს თ.  
როდე-ჩიჯავაძე, რომელსაც საკმაოდ ძლიე-  
რი სასიამოვნო ხმა აქვს. სახე სწორად  
აქვს გაგებული მსახიობს, შესრულება  
დამაკმაყოფილებელია. ყურადღება უნდა



ნ. თულაშვილი ვანა

მიექცეს მეტყველებას. ამ მხრით მსა-  
ხიობმა უნდა იმუშაოს თავის თავზე.  
ოპერეტის მეორე გმირს ჯიმ კენიონს



გ. იანვარაშვილი ქანა



ბ. ჩიგელაშვილი

მალონ

ე. გუგუნაევა ასრულებს. მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიუქციოს მეტყველებას. ოპერეტაში საკმარისი არ არის სიმღერა. აქ პროზაც ბლომათ არის და



ე. ციმაკურიძე

ეტილი

მსახიობმა უნდა იმუშაოს თავის თავზე, რომ ისე ლაპარაკობდეს, როგორც დრამის მსახიობი. მან უნდა დასძლიოს აგრეთვე ფიზიკური დაძაბულობაც. მეტი გაბედულება, სცენაზე თავის უფრო თავისუფლად დაჭერა საჭირო.

სრული გამარჯვება ამ სპექტაკლში ნ. თულაშვილმა მოიპოვა. მისი ვანდა დიანას "შემდეგ („ძალი თივაზე“) დიდი წინსვლაა. ამ როლში იგი გვევლინება, როგორც ნამდვილი ოპერეტული მსახიობი. მისი ოსტატური ცეკვა (უნდა გამოიყვანოს მხოლოდ ერთი ულამაზო მოძრაობა უკანასკნელ სურათში) ორგანიზულად არის ჩაქოვილი მოქმედებაში, დრამატიზირებულია. ამაში დამსახურება მიუძღვის რეჟისორსა და ქორეოგრაფს.

თანას როლიც რთულია. ვ. იანვარაშვილი დიდი მონდომებით ასრულებს ამ როლს და წარმატებასაც აღწევს. ენაგერმანის დუეტს ხშირად, სავსებით დამსახურებულად, ამეორებიანებს მაცურებელი.

გერმანი საინტერესო როლია. მკერავი გერმანი ბედმა ოქროს მამიებელთა შორის მოაქცია. ბუნებით მშობარაა გერმანი



გ. სალარიძე

გერმანი





საკმაოდ დამაჯერებლად გააკეთა. ამ როლში აგრეთვე ნ. მოსეშვილი. ორივე მსახიობს ახასიათებს სიმკვირცხლე, დაუძაბველობა.

ელ. ციმაკურიძე ეტელის როლში დასამახსოვრებელ სახეს ჰქმნის. კომიკურ ცეკვას ზშირად ამეორებინებენ. ეს უკვე გამარჯვებაა.

პოლიციის სერჟანტის, მალონის როლში ბ. ჩეჩელაშვილი სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. კარგია აგრეთვე ა. ყიფიანი და ბ. კობერიძე შავი არწივის როლში, ა. მეწულიშვილი ავლეის როლში.

ბ. ოსეფაშვილი ნიკ კარტერის ეპიზოდურ როლში გამოდის და ამ პატარა როლისადმი სერიოზული მოპყრობით გვიჩვენებს, რომ კარგ მსახიობს პატარა როლის კარგათ ვაჯეთებაც შეუძლია.

ა. მეწულიშვილი ავლეი

მეგობრული შარეი

და რომ დაფაროს ეს, თავი დაიცვას, მრისხანეს ირქმევს. ეს სახე ვ. სალარიძემ

მეგობრული შარეი



ბ. ჩეჩელაშვილი—მალონი  
ნაზ. გ. ბაკურაძისა

ელ. ციმაკურიძე—ეტელი  
ნაზ. გ. ბაკურაძისა




5. მოსეშვილი

გერმანი

საერთოდ უნდა ავლნიშნოთ ერთი დადგენილი მოვლენა. მასობრივ სცენებში გამოდრან მსახიობები ინგილო, ჯორჯაძე, მოსეშვილი, ჯალიაშვილი, ბაკაყური, ჩერპელაშვილი და სხვები. ისინი არ თაკილობენ, როგორც ეს სამწუხაროდ ხშირად ხდება თეატრებში, უსიტყვო როლებში, ან მასობრივ სცენებში გამოსვლას. პირიქით: მასობრივი სცენების მონაწილენი მონდომებული მუშაობით აღწევენ ძლიერი ანსამბლის შექმნას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მუსკომედიის თეატრმა „როზ-მარის“ დადგმით დაამტკიცა თავისი შესაძლებლობანი საოპერეტო რეპერტუარის შექმნის საქმეში. თეატრის ამოცანაა განაგრძოს მუშაობა იმავე გზით, უჩვენოს მაყურებელს ევროპული და რუსული ოპერეტები და ამავე დროს იმუშაოს ქართულ ორიგინალურ საოპერეტო რეპერტუარის შექმნაზე.



„როზ-მარი“

I მოქმედება

ან. ლინიაშვილი

## სიხაჟდისა და სისოხსდის სკეჩგაკლი

(ბ. ნახუცრიშვილის „პატარა მიომკაბი“ მოზაად მახუცრემელთა ძარბულ თეატრში)

გ. ნახუცრიშვილმა მცირე ხნის განმავლობაში საკმაო წაყოფიერი შემოქმედებითი გზა გაიარა. მან თავისი ნიჭი და უნარი პირველად პროზაში გამოამჟღავნა. მის პირველ საბავშვო წიგნებს: — „მამამ გამომგზავნა“, „სილვა ვასილევია“ — დღესაც არ დაუკარგავს იდეური და მხატვრული ღირებულება და ბავშვები დღესაც დიდი ინტერესით კითხულობენ.

გ. ნახუცრიშვილის ღირსებას ის შეადგენს, რომ ის კარგად იცნობს ახალ ბავშვის ცხოვრებას, მან იცის ამ ახალი ბავშვის ღირებულება და ადგილი ჩვენს სინამდვილეში.

მისმა პიესებმა („ნაცარქექია“, „ლადო კეცხოველი“, „ცეცხლის ხაზზე“, „კომბლე“) თავიდანვე მიიპყრო როგორც ბავ-

შვი-მამყურებლის, ისე საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება.

პროლეტარიატისა და ახალგაზრდობის თავისუფლებისათვის მებრძოლისადმი სიყვარული, ფოლკლორისა და მისი სიბრძნის შეცნობა და სიყვარული, სიხალისე, ჯანსაღი სიცილის გამოწვევა, საერთოდ ცხოვრების მოვლენებზე ყურადღების გამახვილება და შესაფერისი დასკვნების გამოტანა, მდიდარი ქართული ენა და ენამახვილობა — აი, გ. ნახუცრიშვილის პიესების იდეურობა და ღირსება.

მისმა უკანასკნელმა პიესამ „პატარა მეომრებმა“ („აჩაკუნე“) განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს, როგორც ავტორის შემოქმედებაში, ისე ქართულ საბავშვო დრამატურგიაში. რათა? იმიტომ,



ა. ჭერეკაშვილი

ვასიკო



ვ. არემიძე

ნიკო



ე. ურუშაძე

ზნია

ლიად არ იღებენ მონაწილეობას და ამგვარად ნებულისა ათი ბავშვის (რომელთა წლოვანება 12-14 წელს არ აღემატება) ინტერესთა თამაშზე.

პიესაში ორი მიმდინარეობაა დაპირისპირებული: გმირული რომანტიკა (ნიკო და მისი ჯგუფი) და მაღალი ტექნიკის დაუფლების დიდი ინტერესი (ვასიკო და მისი ჯგუფი). ამ ორი განწყობილების მატარებელი ბავშვები ჩვენი ეპოქის ტიპური შეილებია.

ვასიკოც და ნიკოც დიდ სიყვარულს გრძნობენ სოციალისტურ სამშობლოსადმი, ორივეს ჰსურს მისი ერთგული შეილი იყოს და მის სამსახურს შეალიონ სიცოცხლე. ამ მიზნისაკენ სხვადასხვა გზით მიისწრაფიან: ნიკო გმირული რომანტიკით. ის გაბრუებულია გიორგი ზააკაძის მჭექარე ხმითა და ხმლის ტრიალით, მას ჰბაძავს და პათოსით ეფიცება „მეფეს“: „სააკაძე არასოდეს არ გიღალატებს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს ჩვენი აყვავებული სოციალისტური სამშობლოსათვისო.“ ხოლო ვასიკოს ჰსურს სამშობლოს ემსახუროს მაღალი ტექნიკის დაუფლებით, რადგანაც მან კარგად იცის, რომ „ახლა მანქანების ომია. ყველაფერი უნდა შეგვექმლოს-ტანკის წაყვანაც, ავტომობილის მართვაც, ნავით ცურვაც, ფრენაც!“ ამ ორი გზის გადაჯვარედინება აუცილებელ პირობას წარმოადგენს ავტორისათვის, რადგანაც სამხედრო აღზრდის საქმეში გმირობასა და ტექნიკას თანაბარი ადგილი უკავია. როგორ შესძლო ეს ავტორმა?

პიესა მარტივ ამბავს მოგვითხრობს. ვასიკოს (სოფელში ცხოვრობს) უყვარს ტექნიკა და მუშაობს ავიომოდელზე. ის თავის ფანატურაში ზის და პრიმიტიული იარაღით მუშაობს, უფრო აჩაქუნებს. ვასიკოს შეგნებული აქვს, რომ ადამიანი მიზანს მიაღწევს მონდომებითა და მუყაითი შრომით. მას ჰყავს მეგობრები თედო და ზურციკო, რომელნიც გულისფანქვალთ ელიან მოდელის დასრულებას. მაგრამ ვასიკო დამარცხდება. მოდე-

რომ პიესა ძირითადად გამოხატავს სამხედრო და შრომითი აღზრდის იმ მძლავრ იდეას, რომელსაც პარტიამ და კომკავშირმა ბავშვის აღზრდაში მთავარი ადგილი დაუთმო ამ უკანასკნელ წლებში.

გ. ნახტერიშვილის პიესაც ამ იდეის გამოხატულებაა. პიესა შეიცავს სამხედრო და თავდაცვითი აღზრდას, მისდამი ინტერესის გაცხოველებას, მოცემულს ბავშვების შეგნებულ თამაშში.

აქედან გამომდინარეობს პიესის ხვედრითი წონაც და მისი აღმზრდელითი ღირებულებაც. ჩვენ თვალწინ მომქმედი პატარა ადამიანები, რომელნიც მუდმივ ძიებაში არიან, მუყაით და დაეინებით შრომას ეჩვევიან, შავ სამუშაოს დიდი ხალისით ასრულებენ—თავამოდებით მიიწვევენ წინ, მომავლისაკენ და თეიანთ ცხოვრების ამოცანებს წყვეტენ ძალთა რეალურ შეფარდებით.

ეს რთული და მნიშვნელოვანი საკითხი გ. ნახტერიშვილმა მეტად სადა, დამაჯერებელი და მხატვრულ ფორმაში გახსნა.

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პიესა დამძიმებული არ არის მომქმედ პირთა რიცხვით, მოზრდილები სრულ-

ლიტლანტი ნაკეთები აღმოჩნდება და ვერ გაფრინდება. ვასიკოს ეწყინება, მაგრამ გული არ გაუტყდება და თუ აქამდის არ უნდოდა ქალაქში წასვლა და სწავლა, ახლა გადაწყვეტავს და იმედიც აქვს, რომ იქ მიადწევს თავის ოცნებას.

ნიკო-გატაკებულია სააკაძეზე დაწერილი წიგნით, მისი გმირობით. ის ლონიერია და ამით თავის ამხანაგებს ყარამანს და კაკოს იმორჩილებს. ის აწყობს თამაშს „სააკაძეობას“ და მიზანში ამოიღებს ვასიკოს. რომელმაც შაჰაბაზის როლი უნდა შეასრულოს. მაგრამ ამ ორ ბანაჯს შორის არ არსებობს მეგობრული განწყობილება. პირიქით, ნიკო და მისი ჯგუფი ერთმანეთს დასცილიან აჩაკუნე ვასიკოს და მზად არიან ფანჯატურაც კი დაუნგრინონ. მაგრამ ვასიკო ქალაქში მიდის, ხოლო ნიკო თავისი ამქრით და რომანტიკით რჩება სოფელში. იწყება ნიკოს ჯგუფის სამზადისი „სააკაძეობანას“ თამაშისათვის.

მაგრამ მტერი არავინაა! ამ დროს ჩამოვა ვასიკო თავის დეიდაშვილებით: მზიათი და ოთარით, რომელნიც თბილ ბავშვთა ცენტრ. ტექნიკური სადგურის საუკეთესო წევრები არიან და იციან ყუმბარათმშენის, თვითმფრინავის, საჰაერო გეგმების გაკეთება. ნიკომ რა წამს დაინახა ისინი, მისთვის ეს გულუბრყვილო ბავშვები გადაიქცნენ მტრებად—შაჰაბაზად და მის ამაღად. ვასიკო და სხვები ვერც კი მიხვდებიან რაშია საქმე და როცა გაიგებენ „სააკაძეობანას“ თამაშს, ვასიკო ეტყვის: „გაანებე თავი სისულელებს. რა აზრი აქვს ასეთ თამაშსო“. ნიკო გარკვევით უპასუხებს: „როგორ თუ რა აზრი აქვს? ჩვენი მიზანია დაეცვათ ჩვენი სამშობლო“. ვასიკო ეტყვის: „ძალიან კარგი მიზანია, მაგრამ თუ სამშობლოს დაცვა გინდათ, საშხედრო საქმეს უნდა დაეუფლოთ. იარაღის მოხმარება უნდა იცოდეთ“. ნიკო ხის ხმალს ცხვირთან დაუტრიალებს და რიხით ეტყვის: „მე ძალიან კარგად ვხმარობ იარაღს. გამო გამეჯიბრეო“. ვასიკოს გაეცინება: „ეს რა იარაღია. ეხლანდელ ტანკებს ეგ



გ. დვისაძე

ყარამანი



მ. აღნიაშვილი

კაკო



ლ. კიკინაიძე თედო

გაუმარდდება? თუ სამშობლოს დაცვა გინდა, უნდა ტანკის მოწყობილობაც იცოდე, თვითმფრინავისაც, ზარბაზნისაც.

გაკეთებაც კი უნდა შეგეძლოს. მაგრამ ნიკო დათმობაზე არ მიდის, პირიქით მუშტით შეეტაკება ვასიკოს და აქედან იწყება ინტერესთა თამაში და ომის გამოცხადება. ნიკო თავის ჯგუფით ემზადება საომრად. მისი საომარი იარაღია: ხის ხმლები, შამფური, დაყეილი ქვაბები და მისი სახურავები, ნავთის ჭურჭელი, დაგლეჯილი ნაბადი და ყაბალახი. ხოლო ვასიკოს ჯგუფისა არის თავიანთ ხელით დამზადებული: ტანკი, ზარბაზნები, საჰაერო გველები, პარაშუტი, ფოტოაპარატი, სხვადასხვა ტელეფონი და სხვ. ცხადია, გამარჯვება ვასიკოს ხვდა. დამარცხებული ნიკო უფრო გახელდება: ძირს დაახეთქებს სააკაძის წიგნს, რომელმაც ასე „გაიტაცა და გაასულელა“ და გადაწყვეტავს ტექნიკის დაუფლებას. ხოლო უფრო მეტად აღივზნება და სიხარულით აღტირდება, როდესაც ვასიკო ეტყვის: „ამ წიგნს



„პატარა მეომრები“

I მოკვლედა

ტუდით ნუ მოეჭყვევ. ეს ძალიან კარგი წიგნია! ჩვენ ტანკებიც გვპირდება და გიორგი სააკაძესთანა გმირებიცო“.

პიესაში რამდენიმე შესანიშნავი ადგილებია: ვასიკოს და მისი ჯგუფის მუშაობა ავიამოდლეებზე, ნიკოს-სააკაძის ვარჯიში ხმლით, მეფე ლუარსაბისადმი ერთგულების ფიცის დადება და თვით ბრძოლის მომენტები, რომელიც დიდ ემოციასა და აღფრთოვანებას იწვევს მაყურებლებში. ეს უკანასკნელი მთელი სამი საათის განმავლობაში ჯანსაღად იცინის. იცინის, მაგრამ იმიტომ ხომ არა, რომ ავტორი ბრძოლის საკითხს, ე. ი. პირობითს ბრძოლას პირობითს მტრებთან სასაცილოდ იძლევა? მაშინ გ. ნახტური-შვილის პიესას არავითარი ღირებულება არ ექნებოდა. სიცილი და სიცოცხლე გამოწვეულია იმ დინამიკით, რაც სცენაზე ჩანს, იმ დიდი დაჭიმული საქმიანობით, რასაც ეს ათი პატარა მეომარი აკეთებს ერთმანეთთან შეჯიბრისათვის. სიცილი გამოწვეულია იმ სიტუაციით, რაც ავტორმა შეუქმნა გმირული რომანტიკის მირაჟში მყოფ ბავშვებს, რომლებსაც დონ-კიხოტამდის ერთი ნაბიჯი ღა უკლიათ. მათი ჩაცმულობა, ბრძოლისათვის ვარჯიში, ეს არის თითქმის მარკ ტვენის გმირის ტომ სოიერის რობინ გუდობიანას თამაში. რა გამოაფხიზლებს ამ პატარა რომანტიკოსებს? სინამდვილე. თვალს აუხელს ჩვენი სინამდვილე, ჩვენი ტექნიკა, ჩვენი ავიაციის გმირებისა და წითელი არმიის რაინდობა და სიმამაცე. მათი შეგნება გამოიჭედა დღევანდელით. მაყურებელი ბოროტად არა ხიოხითებს და მისი სიცილი დამკინავი არ არის. მას ახარებს ნიკოს „დაბრუნება“ საბჭოთა მიწაზე, რადგანაც ის მათი ძმია, ახარებს მისი და ვასიკოს ერთი ძლიერი



ე. ძგნძე

ოთარი



ი. ბერიაშვილი

ზურციკო



შ. ჩხიკვაძე

ვასიკო

ფრონტის შეკვრა სოციალისტური სამ-  
შობლოს დასაცავად, მისი მტრების გასა-  
ნადგურებლად.

აი ასე უნდა გარდაიქმნას ნიკოს მსგავ-  
სი ბავშვების ფსიქიკა და მათ უნდა შე-  
სძლონ ჭანსადი რომანტიკის შედუღება  
ტექნიკის დაუფლებასთან ერთად.

პიესის მომქმედი პირები ცოცხალი  
ბავშვებია. არც ერთი ზედმეტი და ნაძა-  
ლადევი ტიპი არ არის. ზოგიერთი ისეთი  
შესანიშნავია, რომ კარგა ხანს ჩარჩება  
აღამიანს მესხიერებაში. თუნდაც ყარამა-  
ნი თავისი გამჭრიახი ჭკუით, ენაშაზვი-  
ლობით, გულწრფელობით, ცოტა „გაი-  
ძვერული“ გულუბრყვილობით.

მაგრამ არ შეიძლება ისიც არ აღვნიშ-  
ნოთ, რომ ვასიკოს ტიპი შედარებით ნი-  
კოსთან ავტორს უფრო სუსტად აქვს  
წარმოდგენილი. ვასიკო სუსტია არა მარ-  
ტო თავისი შინაგანი რაობით, არამედ  
გამბედაობითაც. მისი სიტყვიერი მასალა

მწირია და ტექნიკური, მას ფსიქოლოგია-  
ური განცდებიც კი არა აქვს. ის ავიამო-  
დებების წიგნების იქით არ იყურება.  
ხსნასაც მანქანებისაგან ელის და გა-  
მარჯვებასაც მასზე ამყარებს. ნიკო კი  
გამბედავია, მტკიცე ნებისყოფის და ძალ-  
ლონის პატრონი და მოქმედებაში უფრო  
თავის თავს ემყარება. ამიტომ ნიკო უფ-  
რო ძლიერი ტიპია.

გ. ნახუცრიშვილის პიესის დადგმა  
ეკუთვნის საქ. სახალხო არტისტს, ორდენ-  
ოსან ალ. თაყაიშვილს. თაყაიშვილმა  
ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ის ნიჭიერი  
რეჟისორია, რომელსაც შეუძლია ბავშვე-  
ბისათვის შექმნას ამაღლებელი, გაძა-  
ცოცხლებელი და დიდი ოსტატობით  
გააზრებული სპექტაკლი.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია მსა-  
ხიობთა იშვიათი შერჩევა ტიპაჟისათვის.  
ამასთან ერთად ბავშვების „საკაქობა-  
ნას“ თამაში, ომის სამზადისი ისე სადა  
მხატვრულ და დამაჯერებელ ხერხით  
არის მოცემული, რომ მოზრდილსაც კი  
ავიწყდება, რომ პატარების თეატრშია.  
თვითეულ ნივთს სცენაზე თავისი როლი  
აქვს მიკუთვნილი: ხის ხმლები, ნავთის  
დაქეცილი ჭურჭელი, ყუმბარათომენი,  
ზარბაზანი, პარაშუტი — ყველაფერი ეს  
გამოყენებულია აზრიანად, საქმიანად,  
რაც ჭმენის ბრძოლის სრულ სურათსა.  
რეჟისორის ნამუშევარში საუკეთესო მო-  
მენტებია ნიკო—საკაქობის სამზადისი ცი-  
ხესთან, მეფის წინაშე ფიცის დადება და  
ბრძოლიდან ნიკოს დამარცხებული გამო-  
სვლა.

ვასიკოს როლს ასრულებს ა. ქერეჭე-  
შვილი (ორდენოსანი). მსახიობს როლი  
კარგად აქვს მოთქმებული. პიესით  
სუსტი ტიპი, მის ხელში საყურადღებო



გახდა. ტექნიკით გატაცება, მისი უზომო სიყვარული რაღაც შინაგან წევს და სიცოცხლეს უნდა აძლევდეს ვასიკოს. სამწუხაროდ მსახიობს ეს მხარე არა აქვს სათანადოდ გამომყვანებული. მსახიობი კარგად დაუფლებია სამხედრო ტექნიკას. მისი ტანკში „ჩასრიალება“ მართლაც მოხდენილია.

ნიკოს როლს ასრულებს ვ. არეშიძე. ამ როლით მან დაამტკიცა დიდი ნიჭიც და მრავალფეროვანი შესაძლებლობაც. თვითიერი მისი ქუსტი: ცხვირით შესრუტვა, ფეხის ფხანა, შარვლის აწევა, გულზე ჩამოკიდებული ნავთის ჭურჭელზე ხელის დარტყმა—ყველაფერი ეს გამომდინარეობს ტემპერამენტიანი და რომანტიკის მირაჟში მყოფი ნიკოს შინაგანი სამყაროდან.

გ. დეისაძე—ყარამანი ცოცხალი და მიმზიდველი ტიპია. მშიშარა „გულადობა“, კვენჩა, ენამახვილობა, მეღიური გაპარვა, სენსაციების შექმნა, მდგომარეობით სარგებლობა და მეგობრების სიყვარული—ასეთია ყარამანი და მისი ტიპი შესანიშნავად გახსნა დეისაძემ. მას მხარს უმშვენებს მ. აღნიაშვილი — კაკო, რომელიც უფრო გულმართალია და მშიშარა, მაგრამ პირდაპირობა ახასიათებს. ვასიკოს ამხანაგები თედო—ვლ. ჭიჭინაძე და ზურთიკო — ი. ბერიაშვილი, ორივე ხელს უწყობენ ვასიკოს ტექნიკისადმი გატაცებას, განიცდიან მის გამარჯვება-დამარცხებას. ესენი პირველ ხანებში თუ მხოლოდ შეჭყურებენ ვასიკოს საქმიანობას, ბოლოში ძლიერად განიცდიან „ზორბა თამაშობას“ და „ეხლავე გული უცემთ“ ომის მოლოდინში. ე. ურუშაძე—მზია, ა. ტუსიშვილი—სოფიკო, და ვ. ძაგნიძე—ოთარი ჩვეულებრივი ბავშვების ცოცხალ სახეებს ჭკმნიან.



ა. ტუსიშვილი

სოფიკო

დისონანსი შეაქვს ზენოს იმითი, რომ ის წლოვანებით ყველაზე დიდია. ტიპური სოფლელი გოგო, ნადარეველ გადასული დედაკაცის ასაკში, რომელსაც ვიწრო ინტერესები ასულდგმულებს და ოჯახის ნივთების იქით ვერაფერს ხედავს. ასეთია თ. ლივარდის ზენო.

სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის დ. თავაძეს. მხატვარი და რეჟისორი ამ სპექტაკლში დიდ კონტაქტში იმყოფებიან და ამიტომ აქვთ სპექტაკლი კომპაქტულად შეკრული.

რომანტიკას ბუნებაც უნდა შეეხება ბოდეს. კლდეებში, ხევში, ციხის ნანგრევებზე უკეთ, ლაღად და თავისუფლად გაშლის რომანტიკოსი თავის მოქმედებას, ხოლო ტექნიკური იარაღის შექმნას კი სახლი ესაპირობება, სადაც გონებისა და აზროვნების მობილიზებას გასაქანი ეძლევა. მარტივი და მეტად ეფექტიანი გაფორმება სრულიად ეხამება პიესის იდეურ შინაარსს.

ვეტორის, რევისორისა და მხატვრის  
შეთანხმებულმა მუშაობამ მხიარული და  
ცოცხალი სპექტაკლი შექმნა.

მხოლოდ ვერ ვეთანხმებით პიესის სა-  
ხელის შეცვლას. აჩაყუნე არ არის ვასი-

კოს დამცინავე და დამამცირებელი შერ-  
კმული სახელი. დიად, მან სწორედ  
ჩაყუნით მიაღწია თავის მიზანს და პიესას  
ეს სახელი რომ შერჩენოდა უფრო მი-  
ზანშეწონილი იქნებოდა.



„პატარა მეომრები“

IV მოქმედება

ი. უჩუმაძე


# საქართველოს მხაგვართა საიუზიდაო გამოწენა


საკმაო ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოწენო დარბაზში არ გამართულა ჩვენი მხატვრების შემოქმედებითი ნიმუშების საჯარო ჩვენება. ამიტომაც ბუნებრივია ის ინტერესი, რომელიც აღიძრა ჩვენში ქართველ მხატვრების საიუზიდაო გამოწენის გახსნასთან დაკავშირებით. ჩვენის აზრით ეს გამოწენა მნიშვნელოვან ეტაპად უნდა გამხდარიყო საქართველოს საბჭოთა სახეითი ხელოვნების განვითარების გზაზე. ამის ერთერთ გადამწყვეტ პირობათ ის გვევლინებოდა, რომ მთელ საგამოწენო მასალას საფუძვლად დედო

შინაარსით ღრმა და დიდი ისტორიული მოვლენა ქართველი ხალხის ცხოვრებაში—საბჭოთა საქართველოს ოცი წლის-თავი.

უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ის სასიხარულო მოვლენა, რომ ამ გამოწენაზე, წინა გამოწენების საწინააღმდეგოდ, თანაბრადაა წარმოდგენილი სახეითი ხელოვნების ყველა წამყვანი დარგები—ფერწერა, ქანდაკება და გრაფიკა, — როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლების მხრივ.

არა ნაკლებად მნიშვნელოვანია ისიც, რომ თემატური დავალების სირთულის





უჩა ჯაფარიძე

„ზ. ფალიაშვილის პორტრეტი“

მიუხედავად, გამოფენის მეტწილ ექსპონატებს ახასიათებს სახვითი ამოცანის თავისუფლად და თავისებურად შესრულებისაკენ მისწრაფება, რაც თავიდანვე უარყოფს ყოველგვარ ცდას მათი შემოქმედების ნიველირებისა.

და ბოლოს, ბევრ მხატვარს დაეტყო უღაო ზრდა, უპირველესად ყოვლისა — შემოქმედებითი.

მაგრამ აღნიშნულთან ერთად უნდა იხიცი ითქვას, რომ გამოფენას მთლიანად და მასზე ექსპონირებულ ზოგიერთ ნამუშევარსაც, ბევრი ნაკლიც ახასიათებს. ამ ნაკლზე ჩვენ საკმაოდ შეეჩერდებით, ვინაიდან მათი დაძლევა და მოპოებულ მიღ-

წევების განმტკიცება უნდა შეადგენდეს ქართული სახვითი ხელოვნების შემდგომი შემოქმედებითი ძიების ამოცანას.

ფართოდაა წარმოდგენილი გამოფენაზე ფერწერა. მრავალ გამოფენათა მონაწილეების გვერდით ექსპონირებულია ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრებიც.

ფერწერითი ნაწარმოებთა შორის უღაოდ წამყვანია პორტრეტული ქანრი. გამოირჩევა ის, როგორც წმინდა ფერწერითი ამოცანათა გადაწყვეტის ხარისხით, ისე პორტრეტის ფსიქოლოგიური დახასიათების სიღრმით.

მხატვარ ბუბუეუკ — მელიქოვის „სსრკ სახალხო არტისტის ა. ხორავას პორტრე-

ტი“ ერთერთი ყველაზე უკეთესთაგანი ფერწერითი ნიმუშია მთელ გამოფენაზე. დიდი ფერწერითი კულტურის მქონე მხატვარმა ოსტატური თავისუფლებით და უბრალოებით, ვითომც და სასხვათაშორისოდ, გადასწყვიტა მეტად რთული სახეებითი ამოცანა. მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ თავის ღირსების მიუხედავად, ეს ნაწარმოები არ შეიძლება ჩაითვალოს მხატვრის ქმედლებს მიღწევად, ვინაიდან ის მხატვრის სხვა ნამუშევრებთან შედარებით, მაინც უფრო დაბლა სდგას. საჭიროა, რომ ბავბეუქ-მელიქოვმა უფრო გაბედულათ გამოიყენოს თავისი ნიჭი და უნარი, თავისი გემოვნება და ფერწერის საიდუმლოების ცოდნა იდეურად გამართულ და მდიდარ ნაწარმოების შესაქმნელად.

მხატვარ ბლიოტკინის ~~ამხ. ლ. პ. ზე...~~ პორტრეტიც მაღალი ფერწერითი ღირსე-

ბით არის შესრულებული. ამ ახალგაზრდა მხატვარმა წინა ნამუშევრებითაც დაგვანახა თავისი მდიდარი ფერწერითი საშუალებები და შემოქმედებითი ზრდის პერსპექტივები. აღნიშნული პორტრეტი სერიოზულ მუშაობის შედეგია, მაგრამ მას ოღნავ დაეტყო სახელოსნოში მუშაობის იერი. ჩვენ ვუსურვებდით ბლიოტკინს ბუნებაში გასვლას, რაც მეტად გაამდიდრებს და გაანათებს მის პალიტრას. დიდი სიხარული გამოიწვია ჩვენში ახალგაზრდა მხატვრის ვ. შერპილოვის ნამუშევარმა. ეს მხატვრის პირველი პორტრეტული ნამუშევარია, რომელიც მან გამოიტანა გამოფენაზე. შერპილოვმა კარგად შესძლო აკად. ბერიტაშვილის პორტრეტული დახასიათების გადმოცემა, რაც უპირველესად ყოვლისა მის კარგ ხედვას უნდა მიეწეროს. ამავე დროს პორტრეტი საინტერესოა ფერწერითი ამოცანის გადა-



ი. შარლემანი



ს. მანსაშვილი

„გიორგი სააკაძე“

წყვეტის ხასიათით. თავისუფლად და საკმაოდ ოსტატურად არის დაწერილი მთელი სურათი (განსაკუთრებით ტანსაცმელი). რამდენიმედ საღაოა სახის დამუშავების მანერა, რომელიც ნაწილობრივად ეწინააღმდეგება სხვა ნაწილების გადაწყვეტის ხასიათს, მაგრამ ეს უფრო სურათის დაუმთავრებლობით არის გამოწვეული.

პორტრეტული უნარის უფროსი თაობის წარმომადგენელმა მხატვარმა ქ. მაღალაშვილმა გამოაფინა მსახიობ ვ. ანჯაფარიძის პორტრეტი. საინტერესოა მხატვრის ცდა მსახიობის პორტრეტის გადმოცემისა არა ჩვეულებრივი პორტრეტული და ფსიქოლოგიური დახასიათების გზით, არამედ გამომსახველი ობიექტის გადატანით მისთვის ჩვეულ სასცენო, სამსახიობო პირობებში. ამავე დროს მხატვარმა დასახა მეტად რთული ფერწერითი ამოცანაც. სხეულის თბილი ტონების შეხამება ტანსაცმლის ღრმა მოშავო და ცივ მონაცრისფრო და მოვერცხლო ტონებთან — ეს მაღალკეთილშობილი და ღრმა ესთეტიური მხატვრული ამოცანაა. სამწუხაროდ მხატვარმა ვერ შესძლო სათანადო

სიმაღლეზე ამ ამოცანის გადაწყვეტა. მომხიბლველია თვით პორტრეტი, მართალია ოდნავ მშრალი, მაგრამ მახვილი და დამაჯერებელი. სურათი დაუმუშავებლობის შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ მთლიანად, თავისი მონაფიქრით, ის ახალი სიტყვაა მაღალაშვილის შემოქმედებაში და იმედია, რომ მალე მხატვარი ერთნაირი ოსტატობით მოგვეცემს პორტრეტის, როგორც ფსიქოლოგიურ, ისე ფერწერითი დახასიათებას.

მხატვარი უ. ჯაფარიძე გამოფენაზე წარმოდგენილია ამხანაგ ი. სტალინის და კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის პორტრეტებით.


განსაკუთრებით ბევრი ითქვა ფალიაშვილის პორტრეტის შესახებ — დადებითიც და უარყოფითიც. ზოგი გატაცებული იყო სურათის შესრულების ხასიათით და ზოგი — კი უარყოფდა მხატვრის მიდგომას ფერწერითი და სახვითი ამოცანების გადაწყვეტის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლოა პორტრეტის გადაწყვეტა და შესრულების მანერა საღაო იყოს ერთისათვის და მისაღები მეორესთვის, მაგრამ იმ პლანში, რა პლანშიაც

არის ის მოცემული; პორტრეტი გა-  
წვრთნილი და თავის შემოქმედებაში  
თანმიმდევარი ოსტატის ხელით არის შე-  
სრულებული. უ. ჯაფარიძე მშვიდი  
და აუღვლევებელია თავის შემოქმედე-  
ბაში. მისთვის უფრო ჩვეულია პერე-  
ტიით მდგომარეობა და შეიძლება ამი-  
ტომაც კმაყოფილდება ზოგჯერ ის გა-  
რეგანი ლამაზობით და ეფექტით. ეს არის  
ფალიაშვილის პორტრეტშიაც, რაც მას  
საგანგებო იერს აძლევს. მაგრამ ეს, ვი-  
მეორებით, მხატვრის თავისებურებაა, რაც  
აყენებს მხატვარს იმ მსახიობის მდგომა-  
რეობაში, რომელიც თუნდაც თავისებუ-  
რად და ზოგჯერ ავტორთან შეუთანხმებ-  
ლად ანსახიერებს სასცენო სახეს, მაგრამ  
მისი თამაში მაღალხარისხოვანი და გა-  
მოკვიდილია. ზ. ფალიაშვილის პორტრეტ-  
თან შედარებით უფრო თბილ შთა-  
ბეჭდილებას სტოვებს ამხანაგ ი. სტალინის  
პორტრეტი.

სხვა საპორტრეტო ფერწერითი ნამუ-  
შევართა შორის საყურადღებოა მხატვარ  
ი. ვეფხვაძის ~~პორტრეტი~~ პორტრე-

ტი. ეს ნამუშევარი საგრძნობლად გა-  
ირჩევა ამ მხატვრის მიერ გამოფენაზე  
ექსპონირებულ სხვა სურათებისაგან,  
უპირველესად ყოვლისა თავისი ფერწე-  
რითი ღირსებით. უკანასკნელს აკლიათ  
სწორეთ საღებავების ის ძერწვა და ფორ-  
მების შეგრძნება, რომელიც ამ სურათშია  
მოცემული. დამაჯერებელია პორტრეტი  
სახის გადაწყვეტით და კომპოზიციური  
აგებითაც.

ფერწერითი კომპოზიციათა შორის სა-  
ყურადღებოა ს. ნადარეიშვილის სურათი  
„გმირის დაბრუნება“. თუ თვალს გადა-  
ვაგვლებთ ნადარეიშვილის ყველა წინან-  
დელ ნამუშევარს და გამოფენაზე წარ-  
მოდგენილს შევადარებთ, სიამოვნებით  
შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ უპირატესო-  
ბა მიეკუთვნება უკანასკნელს. მართებუ-  
ლად და დამაჯერებლად გადაწყვიტა  
მხატვარმა თავისი მხატვრული განზრახ-  
ვა. თემასთან შესატყვისი კომპოზიცია,  
კარგი ფერწერითი დახასიათება და ის  
თბილი იერი, რომელიც სურათში იგრ-  
ძნობა, მოწმობენ იმას, რომ ეს ნაწარ-



აბ. ქუთათელაძე

„ს. ორაჯონიძე პარტიზანებთან“



ქ. სანაძე

„ბედნიერი საღამო“

მოები ნამდვილი შემოქმედების შედეგი არის. მხატვრის მომავალ შემოქმედებით ძიებათა წარმართვისათვის ჩვენ ვურჩევდით მას ფერწერითი ამოცანათა ვალრმავებას და პალიტრის სიმდიდრეს და ბგე-რადობას.

რამდენიმედ სადავოდ მიგვარჩნია მხატ-ვარ ს. მისაშვილის სურათი „გიორგი სააკაძე“. უკვე საკმაო ხანია მისაშვილი მონაწილეობს გამოფენებზე ბატალურ ფერწერის დარგში და უნდა ითქვას, რომ დღეს იგი ამ ჟანრის ერთად ერთ წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს. მართალია, ამ უკანასკნელ ნამუშევარში საგრძნობი ზრდა ეტყობა, მაგრამ ზოგ-ჯერ შემთხვევითი ეფექტებით გატაცბულ-ლი ის არღვევს სურათის მთლიანობას. ფერწერითი ხერხების გამომუშავების მხრივაც მას ეტყობა უგულუბელოფა უკანა პლანების დამუშავებისა, რის გა-მა სურათი დაუმთავრებელის შთაბეჭდი-ლებას სტოვებს. გამოფენაზე ექსპონი-რებული სურათის კომპოზიციურ კვანძს

ოტათი განსაზღვრულობა აკლია, რის გამოც მაყურებელში იბადება გაურკვე-ველი შთაბეჭდილება იმის შესახებ, თუ ვის მოუწოდებს სააკაძე საბრძოლველად. ამ შთაბეჭდილებას ხელს უწყობს ისიც, რომ თვით სააკაძის მოძრაობა არ არის გამართლებული. მისაშვილმა თავის შემ-დგომ მუშაობაში უფრო მეტი ყურადღე-ბა უნდა მიაქციოს კომპოზიციურ ამოცა-ნათა გადაწყვეტის ხარისხს, რაც მეტის მეტად რთულია და ამავ დროს აუცი-ლებელიც ბატალური სიუჟეტის დამა-ჯერებლად გადაწყვეტისათვის.

ახალგაზრდა მხატვარმა კიკნაძემ წარ-მოდგინა გამოფენაზე თავისი ცდა ჯგუ-ფური პორტრეტის შექმნის საქმეში. და თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით მიუღდებით სურათს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მხატვარ-მა შესამჩნევ შედეგს მიაღწია. სურათი „ამხ. ლ. პ. ბერია მხატვრებს შორის“ თემატურადაც რთულ ამოცანას წარმო-ადგენდა. ჩანს, რომ ახალგაზრდა მხატ-ვარმა დიდი და სერიოზული მუშაობა



ჩაატარა. საინტერესოდ გადაწყვეტილი, ის მოისუსტებს პორტრეტულ დახასიათებათა გადმოცემაში. კარგ ფერწერითი განზრახვაშიაც მხატვარმა ვერ შესძლო სათანადო ოსტატობით მისი დაგვირგვინება, განსაკუთრებით ეს ითქმის სურათის წინა და უკანა პლანზე.


აქვე უნდა აღვნიშნოთ მხატვარ ვოლგინის სურათიც „მიტინგი ბერიას სახელობის მოედანზე“. ვოლგინს აკლია გაბედულობა ფერწერითი გადაწყვეტაში და სწორედ ამ გარემოებამ დაამდაბლა მისი სურათის ღირსება, მიუხედავად იმისა, რომ მან მეტად უბრალოდ, მაგრამ ამავე დროს მართებულად და რამაჯერებლად მოგვცა მიტინგის მონაწილეთა

პორტრეტული დახასიათება. საინტერესოა იქნებოდა დაგვენახა ვოლგინის შემდეგი ცლა ჯგუფური პორტრეტის შექმნის დარგში, მაგრამ იმ პირობით, რომ ის სათანადოდ გადასწყვეტს ფერწერითი ამოცანებსაც.

მხატვარმა კ. სანაძემ გამოფენაზე წარმოადგინა სურათი „ბედნიერი საღამო“. ამ სურათის გადაწყვეტაში სანაძე მიმართავს იმავე ფერწერითი ხერხებს, რომელნიც ჩვეული არიან მისი შემოქმედებისათვის. თემის განსახიერებაში სანაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ფერწერით გადაწყვეტას აქცევს. და ამით გატაცებული ზოგჯერ კარავს ფორმისა და ნახატის გრძნობას. უთუოდ ეს ქმნის არა



შ. შეტრეველი



ელ. ახვლედიანი

„კალიაევის დაღმართის მშენებლობა“

დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას მის სურათისაგან; მაგალითად ოსტატურად დაწერილი ძალი სურათის მარჯვენა მხარეს, მოკლებულია ხორცეულობას, ქალიშვილი არ არის გამომეტყველი და ყველაფერი ეს მაშინ, როდესაც სურათში ბევრია კარგი გემოვნებით გაკეთებული ფერწერითი ადგილები.

შემდგომ შემოქმედებით ძიებებში სანაძეს უსათუოდ დასჭირდება მეტი ყურადღების მიქცევა ფორმისა და ნახატისადმი და მათი აყვანა ფერის გრძნობის დონემდე.

დანარჩენ ფერწერითი კომპოზიციათა შორის აღსანიშნავი არიან: ა. ქუთათელაძის „ს. ორჯონიკიძე პარტიზანებს შორის“, თუმცა ამ სურათს აკლია კომპოზიციური მთლიანობა და ფერწერითი

სიმდიდრე, მეტრეველის „ფრიადოსანი“, კარგად გადაწყვეტილი თემატურად, ვ. სიღამონ-ერისთავის „ჯირითი“ შესრულებული დეკორატიული მიდგომით, კ. გებელშვილის „ეკალიპტების ხეივანი“, შარლემანის „დოლი“ და „აწყური“, მაყაშვილის „სასოფლო სამეურნეო გამოფენა“, ელ. ახვლედიანის „კალიაევის დაღმართის მშენებლობა“, გ. მესხის პორტრეტი, ა. ციმაკურიძის, ი. მამალაძის და ქ. გიორგაძის პეიზაჟები და სხვა.


განსაკუთრებით უნდა შეგვჩერდეთ ორი მხატვრის— ლ. გუდიაშვილის და დ. კაკაბაძის — ნამუშევრებზე.

ლ. გუდიაშვილს აქვს წარმოდგენილი სურათი თემაზე „წითელ არმიის შესვლა თბილისში“. გუდიაშვილს ჩვენ ვიცნობთ, როგორც ფერწერისა და ხატის დიდ

ოსტატს და მეტად თავისებურ მხატვარს, რომელმაც საკმაოდ დიდი შემოქმედებითი გზა განვლო. ამ ბოლო წლებში მან მთელი რიგი საინტერესო ნამუშევარი შექმნა, განსაკუთრებით პორტრეტული ფერწერისა და გრაფიკის დარგებში და ბუნებრივი იყო ლოდინი მისგან მაღალხარისხოვანი და გამართული ნაწარმოებისა, რომელიც მისი შემდგომი ზრდის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო.

წარმოდგენილ სურათში არაფერი არ არის თემასთან შესატყვისი. ეს ისევ ის ძველი თბილისია, რომელსაც გულღამიანი ასე კარგად ხატავდა ყოველთვის, მაგრამ ნაკლები ოსტატობით შესრულებული, ვინაიდან ჩვენ უწინ ამ ქანრში მისი უკეთესი ნამუშევრები გვიჩვენებს. საკვირველია, რატომ დასჭირდა გულღამიანს პირობითი და სრულყოფილი არა დამაჯერებელი ხერხების გამოყენება, დაწყებული ჯარის სიბრტყობრივი აგებით და დამთავრებული წითელარმიელების გამოსახვით, რომლებიც უფრო შინელებში გადაცმულ კინტოებს მოგვაგონებენ? თუ გულღამიანი წმინდა ესთეტურ მიზნებს ისახავდა, მაინც არც ეს აქვს მას ბოლომდე დაეულო. საკმარისია მოვიგონოთ ბავშვი ყვავილის კონით, რომელიც სრულიად არ ბადებს ესთეტურ გრძნობას. რატომ აკეთებს გულღამიანი ასეთ ნამუშევარს, როდესაც მეტად უკეთესის შექმნის შემძლეა ის? აი რა კითხვა იბადება ჩვენში როდესაც ამ სურათს ვუყურებთ.

დ. კაკაბაძის „მიტინგი“—ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, ვითომ დ. კაკაბაძემ აიღო თავისი ძველი ნამუშევარი, განაახლა ის და ქვემოთ დაუმატა მწვანე მინდორს ხალხითა და პორტრეტებით, ასე ეწინააღმდეგებინა სურათის ზემო და ქვემო ნაწილები ერთი მეორეს. ჰქონდა თუ არა კაკაბაძეს უწინ ამავე სახის უკეთესი ნამუშევრები? უდაოდ. მაგრამ შეიძლება თემატის და მოქმედების შეტანით მან გაამდიდრა ნამუშევარი? სამწუხაროთ არა, ვინაიდან ეს შეერთება



ს. კაკაბაძე „სტალინი ბავშვობაში“

იმდენად ხელოვნური და არა დამაჯერებელია, რომ ავადმყოფურ შთაბეჭდილებასაც კი ჰქმნის. მართალია ამ სურათში ფერები გემოვნებითაა შეხამებული, მაგრამ ამას კაკაბაძე უწინ უკეთ აკეთებდა. ასეთი კულტურის მქონე მხატვრისაგან კი, როგორც არის კაკაბაძე, მეტი იყო მოსალოდნელი. ამ უარყოფით შთაბეჭდილებას ვერც სვანეთის



ი. ნიკოლაძე

„დიადი ქაბუჯი“

უფერული ჩანახატები არღვევენ. ვიმედოვნებთ, რომ გუდიაშვილისა და კაკაბაძის შემოქმედებაში ეს დროებითი მოვლენა და ახლო მომავალში ჩვენ ნამდვილი შემოქმედებითი გამარჯვებების მოწმენი ვიქნებით.

ქარგადაა წარმოდგენილი გამოფენაზე ქანდაკება.

დიდ შთაბეჭდილებას სტოვეს სახალხო მოქანდაკის ი. ნიკოლაძის მიერ მადალი ოსტატობითა და გემოვნებით შესრულებული ქანდაკება—„დიადი ქაბუჯი“. ეს უდაოდ საუკეთესო ქანდაკება

მთელს გამოფენაზე. სიანს, რომ მოქანდაკემ მის შესაქმნელად გამოიყენა მთელი თავისი მრავალწლიანი გამოცდილება და პრაქტიკული დახელოვნება.

ქარგია რ. თავაძის ქანდაკება — „ამხ. ლ. პ. ბერია ტრიბუნაზე“. ეს ყველაზე ახალი და დამაჯერებელი განსახიერება ქართულ ბოლშევიკთა გამობრძმედილ ხელმძღვანელისა. თავაძემ უბრალო და მარტივი ხერხებით კომპოზიციური ამოცანის გაურთულებლივ, ქანდაკებისათვის გაბედული და მტკიცე მოძრაობის მიცემით სრულქმნილი სახე შექმნა.



საინტერესოა ნ. კანდელაკის და სიხარულიძის ცლა მასალაში ქანდაკების შესრულებისა.

ნ. კანდელაკმა წარმოადგინა ამხანაგო, სტალინის პორტრეტული განსახიერება ქვაში. ფორმისა და ნახატის მისთვის ჩვეულ გრძნობით აღწევს მოქანდაკე დიდ გამომეტყველებას და სიმტკიცეს, განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვებს პროფილის მკაფიო და მტკიცე ნახატი.

ქვაშივე შეასრულა თავისი ნამუშევარი მოქანდაკე სიხარულიძემ, მის „წითელ არმიელს“ ბიუსტში იგრძნობა მეღვრობა და სიმამაცე.

ამ ორმა მოქანდაკემ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს მასალაში ქანდაკებათა შესრულების უპირატესობა.

კარგია მაჩაბელის წითელარქილის ფიგურაც.

შედარებით სუსტი ნამუშევრებით არიან წარმოდგენილი გამოფენაზე მოქანდაკეები ს. კაკაბაძე და კ. მერაბიშვილი.

ს. კაკაბაძის „სტალინი ბავშვობაში“ საქანდაკო ეტიუდს მოგვაგონებს.

კ. მერაბიშვილის „გიორგი სააკაძე“ ბუტაფორულია. იმავე მოქანდაკის ლ. პ. ბერიას ფიგურულ პორტრეტში ვერ არის მონახული დამაჯერებელი საშუალებები სახის გადაწყვეტისათვის. ქანდაკების აგების მხრივაც მას ბევრი ნაკლი აქვს.

შ. მიქატაძე და ვ. თოფურაძე წარმოდგენილი არიან თავისი ძველი ნამუშევ-



შ. მამალაძე

ესკიზების და ეტიუდების გამოფენა

„ბატარა ფოთი“

რებიტ—„ალბინისტი“ და „შოთა რუსთა-  
ველი“.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ  
გრაფიკა გამოფენაზე მეტ ნაწილად მასა-  
ლაშია წარმოდგენილი. ამ მხრივ საინტე-  
რესოა ვ. კეშელავას ოფორტები და ლი-  
ტოგრაფია, მხატვრის შემოქმედების  
ნაირნაირობისა და ზრდის მაჩვენებელი,  
დ. ქუთათელაძის ლიტოგრაფიები, კოჯო-  
იანის ესილოგრაფიები და სხვ.

თ. აბაკელიას წარმოდგენილი აქვს

ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნის“  
და „დავით სასუნელი“-დან. ამ ნამუშევ-  
რებში მელანდებია მხატვრის კარგი გე-  
მოვნება და ნახატისა და ფორმის გრძნო-  
ბა. საინტერესოა მისი მუშაობის ტექნი-  
კა, რომელიც დიდად უწყობს ხელს სა-  
ერთო შთაბეჭდილებას და ამდიდრებს  
მას.

გარდა ამისა ექსპონირებულია აგრეთ-  
ვე ვ. ქუთათელაძის და ლ. გულიაშვი-  
ლის გრაფიკული ნამუშევრები.



გ. ჯორჯიანი

ესკიზების და ეტიუდების გამოფენა

„კახეთი“

# ნორჩ მხაგვართა ჩისკუბდიკუჩი გამოფენა

საქ. სსრ განსახკომის მხატვრული აღზრდის და სკოლის გარეშე მუშაობის ცენტრალურ კაბინეტმა გასული წლის 1 დეკემბერს გამოაცხადა კონკურსი ნორჩ მხატვართა საუკეთესო ნამუშევრებზე. თემა: „საბჭოთა საქართველოს 20 წელი“.


კონკურსმა დიდი გამომხატურება ჰპოვა ნორჩ მხატვართა შორის და საკონკურსოდ წარმოდგენილი იყო აუარებელი ნამუშევრები, როგორც თბილისის, ისე რაიონების სკოლათა მოწაფეების მიერ. ნორჩ მხატვართა საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გამოფენა ყოველმხრივ საყურადღებო და მეტად საინტერესო აღმოჩნდა. აქ წარმოდგენილი იყო, როგორც მცირეწლოვანი მხატვრების გულბრყვილო, მართლაც ბავშვური ნამუშევრები, რომლებიც სწორედ იმიტომ არიან საინტერესო რომ ეკუთვნიან 10—12 წლის ბავშვებს (მაგალ. თ. ასიტაშვილი, 3 კლასის მოწაფე), აგრეთვე ისეთი ნამუშევრები, რომლებიც გოცებენ თავის „მომწიფებულობით“, დამთავრებულობით, თითქოს უკვე ნამდვილ მხატვრის მიერ ყოფილიყვნენ დახატული.

აი, გოგის თოთიბაძის ნამუშევრები. იგი 18 სკოლის მეხუთე კლასის მოწაფეა. უთუოდ ნიჭიერია. მისი ნამუშევრები „აგარაკი ნემფი“, „ავტობორტრეტი“, „გიორგი სააკაძე“, „პიონერები ზღვის პირას ზაფხულში“ და „პიონერის პორტრეტი“ საერთო ყურადღებას იპყრობენ. აგარაკ ნემფის პეიზაჟი სიმართლით გადმოგვცემს მთიანი ადგილის დამახასიათებელ ნატურას თავის ამაღლებულ ჰორიზონტით და წიწვიან ხეების სიმწვანით.

სურათი „პიონერები ზღვის პირას ზაფხულში“, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი პიონერების ფიგურები ვერ არის ანატომიურად სწორად დახატული, მეტადრე პირველ პლანზე მწოლიარეს ფიგურა, ყურადღებას იპყრობს სივრცის და ზღვის ატმოსფეროს შესანიშნავი გადმოცემით. სურათი „გიორგი სააკაძე“ გოცებთცხენების ანატომიურად სწორი დახატვით, ბრძოლის მომენტის დინამიურობით და დედამიწაზე მწვანე ბალახის სიმკვრივით.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გ. თოთიბაძეს უფრო ემარჯება ნახატი, ფანქრით მუშაობა. მისი ხაზები არა მარტო კონტურს და ფორმას აძლევენ საგნებს და ფიგურებს, არამედ სიცოცხლეს ანიჭებენ მათ. სამაგიეროდ გ. თოთიბაძის ფერწერა მშრალია, ცივი და მოკლებული ემოციურ მომენტებს. საჭიროა მან



8. თოთიბაძე „პიონერის პორტრეტი“ (18 სკოლა, 5 კლასი)



მიაქციოს ყურადღება ფერწერის ტონალობას და უფრო მეტად დაეუფლოს ფერების გადმოცემის ტექნიკას.

ბ. ნონიკაშვილის (36 სკოლა, VI კლასი) სამი პეიზაჟი გამოირჩევა ფერების გრძნობით, პლასტიკურობით და ფერადულობით. მისი ნამუშევრები გვაძლევს საბაბს ვერჩივით ახალგაზრდას წარმატებით განაგრძოს მუშაობა პეიზაჟურ ფერწერის დარგში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნორჩი მხატვრების გამოფენა უფრო მეტ დადებით შედეგებს გვაძლევს პეიზაჟის დარგში. ამ მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე ო. სეხნიაშვილის (36 სკოლა, VI კლასი) ორი პეიზაჟი, ი. მოსიგევის (107 სკოლა, VI კლასი) სამი პეიზაჟი, გ. გელაშვილის (16 სკოლა, X კლასი) პეიზაჟი „შემოდგომა სოფელში“.

მარო ლოლაძე (27 სკოლა, IX კლასი) მუშაობს ისტორიულ კომპოზიციაზე. მისი „გიორგი სააკაძე შვილის თავით“ ამტკიცებს, რომ იგი გრძნობს ფერებს, მხოლოდ ინტერიორზე მუშაობის დროს საჭიროა პერსპექტივის და სიღრმის დაუფლებაზე იფიქროს, აგრეთვე, რომ თავი დააღწიოს სიბრტყეობას. კარგი ნატურ-მორტი აქვს წარმოდგენილი ა. ვარაზიშვილის (18 სკოლა, VII კლასი). იგრძნობა საგნების ფაქტურა, მეტადრე ეს ითქმის საფერფლის და ბოთლის შესახებ.

წიგნის ილუსტრაციის დარგში წარმატება ეტყობათ გ. გელაშვილს („აღუდა ქეთელაურის“ სამი ილუსტრაცია), ელგუჯა ბერძენიშვილს („ცხრა ძმა ხერხეულიძენი“), რ. მინდაძეს („აკო ყაჩაღი“). სამივე 16 სკოლის მოწაფეები არიან და სასიხარულო იმედებს იძლევიან წიგნის ილუსტრაციის დარგში მუშაობის მხრივ.

საინტერესო სურათია ვ. ლეჟავას (18 სკოლა, IX კლასი) „ქეიფი ძველ თბილისში“. მოწაფეს ეტყობა მრავალფეროვანი კომპოზიციის შექმნის უნარი (ფიგურების განლაგება, კომპოზიციის ცენტრის გამონახვა და სხვ.). საყურადღებოა აგრეთვე მისივე ფანქრით შესრულებული მოხუცების ტიპები.

ცალკე აღნიშვნის ღირსი არიან მ. ბერაძის (ოჩამჩირის საშუალო სკოლა, 10 კლასი) და რ. თურქიას (I სკოლა, 8 კლასი) ნამუშევრები.

მ. ბერაძე მუშაობს დიდი ზომის ისტორიულ კომპოზიციებზე: ცხადია, ეს ადვილი არ უნდა იყოს მოწაფისათვის, მრავალი სიძნელეები წინ აღუდგებოდა მას. და ამ სიძნელეებს შორის ყველაზე მთავარი, რაზედაც უნდა მიეუთითოთ ახალგაზრდას, ეს არის ფიგურების სისუსტე. მ. ბერაძეს თუ სურს ისტორიულ კომპოზიციების შექმნა, უნდა მეტი იმუშაოს ადამიანის ფიგურებზე. სამაგიეროდ მ. ბერაძე გვახარებს მით, რომ მასში იგრძნობა უტყუარი პეიზაჟისტი: ბუნებას იგი გადმოგვცემს დიდის სიბოთით, ტემპერამენტით და სიყვარულით. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მისი ბუნება არარეალურ, უფრო მხატვრის მიერ გამოგონილის შთაბეჭდილებას ახდენს, უფრო მხატვრის გამოუღვევლ ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. ასეთ შთაბეჭდილებას უფრო აღრმავებს მ. ბერაძის ფერწერა: ნაზი, გამჭვივრავ ტონები, მისი საყვარელი, ყველა სურათებში ინახარი, ღია-ყვითელი, ვარდისფერი და ნარიჩვი ფერები. ამას ადასტურებენ მისი სურათები, მაგალ., „გიორგი სააკაძე“, სადაც მარცხნივ ამართული ციხე-კოშკი, მარჯვნივ განმარტოებული ტოტებიანი ხე და დაისის გამჭვივრავ ცა იძლევიან რომანტიულ განწყობილებას. ასეთივე განწყობილებას ქმნიან „ბრძოლა ასპინძაში“, „ერეკლე მეორის წასვლა ლაშქრობაში“ და სხვ.

რ. თურქია ბუნებით ფერმწერია. მისი პეიზაჟები ყურადღებას იპყრობენ ნამდვილი ფერწერითი კოლორიტის გადმოცემის ცდით. და ეს ცდა უმთავრესად წარმატებით მთავრდება. რ. თურქიას ფერწერა თბილი და ცვრიანი, მას აწუხებს ტონალობის ძიება. ამ მხრივ საინტერესოა მისი ორი პეიზაჟი: ერთი მწვანე ხეების ჭგუფით და მეორე წყლის ფაქტურის გადმოცემით, სადაც ძველ-



ბუჩქი კომპის ანარეკლი მოსჩანს, აქ გა-  
ოცებთ წყლის გამკვირვალობა, მიუხედა-  
ვით მისი არაბუნებრივი სილურჯისა. რ.  
თურქია ბუნებით პეიზაჟისტია. მისი  
პეიზაჟები ძალიან გვახარებს, ამიტომ  
ვუსურვებთ მას ნატურაზე მეტ გასვლას  
და პეიზაჟურ ეტიუდებზე გაბედულ მუ-  
შაობას. არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ  
ნიჭის ფართო და ღრმა გაშლისათვის მე-  
ტი სწავლა და დიდი შრომა არის საჭირო.  
ქანდაკების დარგში გამოფენაზე ყუ-  
რადღებებს იპყრობენ ლ. ცომიას (3 სკო-  
ლა, X კლასი) მარმარილოს ბარელიეფი  
„შოთა რუსთაველი“ და მერაბიშვილის  
ბიუსტი „ი. ბ. სტალინი“.

მთავარი, რაზედაც უნდა მივუთითოთ  
ახალგაზრდა მხატვრებს, ეს არის რეალური  
სინამდვილის მუდმივი და გულმოდგინე  
შესწავლა. თავიდანვე, თვალი უნდა შე-  
ეჩვიოს და გაიწვრთნეს სინამდვილის სუ-  
რათების ასახვაზე. ამიტომ საჭიროა მრავ-  
ალი ჩანახატების წარმოება ნატურიდან  
მოწაფის ალბომში, იქნება ეს სკოლის  
მეგობრის სახე, ეზოში ნახული ცხოვე-  
ლი, ფრინველი, ქუჩის რომელიმე დამა-  
ხასიათებელი სცენა ან რეალურად ნახუ-  
ლი მთა, ხეები, ცა, მდინარე და სხვა ასე-  
თი. ახალგაზრდა მხატვარმა უნდა ეცა-  
დოს, რაც შეიძლება ნაკლებად ვადმოხა-  
ტოს წიგნებიდან, ჟურნალებიდან ან ფო-  
ტოდან. მოწაფე თუ მიეჩვია ასეთ ვად-  
მოხატვას, მერე ძნელი იქნება მისი გადა-  
ჩვევა უკიდურეს შემთხვევაშია მხოლოდ  
დასაშვები რომელიმე კლასიკოსი—მხატ-  
ვრის კარგი რეპროდუქციის ვადმოხატვა.  
ვადმოხატვა იმითომ არის ცუდი, რომ  
ახალგაზრდა მხატვარი ამით მოსწყდება  
რეალურ სინამდვილეს და არაბუნებრივი,  
არარეალური, ფანტასტიური სურათებს  
მოგვეცემს. ფანტაზია მაშინ არის კარგი,  
თუ კი იგი რეალობას ეყრდნობა, წინაღ-  
მდეგ შემთხვევაში ფანტაზია მისტიკაში  
გადადის.

მეტად ძნელია ადამიანის ფიგურის  
სწორი დახატვა, ამიტომ საჭიროა მოწა-  
ფემ, სანამ ადამიანის მთლიანი ფიგურის



ი. მოსიყვი - პეიზაჟი“  
(107 სკოლა, 6 კლასი)

დახატვას შეუდგებოდეს, ივარჯიშოს ადა-  
მიანის ტანის ცალკეული ნაწილების (ხე-  
ლი, ფეხი, თავი და სხვა) დახატვაში.  
ისიც ნატურიდან და არავითარ შემთხვე-  
ვაში არ უნდა იყოს ანატომიურ ალბო-  
მებიდან ვადმოხატული. სინამდვილეში  
ყველა ადამიანი როდი ჰგავს ერთმანეთს,  
ამიტომ საჭიროა ინდივიდუალურის და-  
ჭერა და ალბომში ამის ჩახატვა.


პეიზაჟის დახატვა არ შეიძლება გამო-  
ვინებით. მოწაფემ უნდა გამოიყენოს  
ზაფხული, როდესაც იგი ან აგარაკზე, ან  
სოფელშია და ბუნების მრავალი ჩანახა-  
ტები გააკეთოს. ან და უკიდურეს შემთ-  
ხვევაში ქალაქ-გარეთ გავიდეს, თუ შორს  
წასვლის საშვალეება არა აქვს.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიხსო-  
ვოს ახალგაზრდა მხატვარმა, რომ უნატუ-  
როდ იგი შორს ვერ წავა, და რაც ბუნე-  
ბით მოცემული მხატვრული უნარი და  
ნიჭი აქვს ამასაც კი დაკარგავს, თუ არ

შეეცადა რეალური სინამდვილის შესწავლას.

ამიტომ არის, რომ აღნიშნულ გამოფენაზე მხოლოდ ის სურათები ახდენენ მათ ყურებელზე საუკეთესო შთაბეჭდილებას, რომელიც გამოსახვენ ნატურიდან, რეალობიდან, ბუნებიდან აღებულ ტიპებს, სახეებს, ან საგნებს. მაგალ. გ. თოთიბაძის ზოგიერთი სურათები. სულ სხვაა, რასაკვირველია, ისტორიული ხასიათის სურათები. აქ დიდი მუშაობის ჩატარება არის საჭირო. გარდა იმისა, რომ საჭიროა ისტორიის შესწავლა, მოწაფეს უნდა ჰქონდეს იმდროინდელი მატერიალური კულტურის ნიმუშების კარგი ცოდნა, ურომლისოდაც ისტორიული სურათი გამოგონილ, არარეალურ ნამუშევრის შთაბეჭდილებას დასტოვებს, რაც ეს მაგალ. მ. ბერაძის ზოგიერთ ისტორიულ ხასიათის სურათების შესახებ ითქმის.

დასასრულს, რამდენიმე სიტყვა გამოფენის მოწყობის ორგანიზაციულ მხარის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხარე ძალიან მოისუსტებდა. გამოფენა მოთავსებული იყო ერთ პატარა ოთახში, ექსპონატები ზედიზედ მიყრილი კედლებზე, ძნელია მათი გარჩევა ერთი მეორისაგან. თვითონ გამოფენა არ იყო ფართოდ რეკლამირებული, ზოგ სკოლებმა არც კი იცოდნენ ამ გამოფენის არსებობის შესახებ. მოწაფეების ექსპურსიები და მასიური დათვალიერებანი სულაც არ სწარმოებდა, მაშინ როდესაც შეიძლებოდა ამის უკეთესად მოწყობა. მოწაფეებმა პირველ რიგში უნდა ნახონ თავიანთ ტოლების მხატვრული ნამუშევრები, რომ მხატვრობის სტიმული გაღვივდეს სხვებშიაც. ამას კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა გამოფენის მოწყობთაგან.



მ. ბერაძე

(თამარის საშ. სკოლა, 10 კლასი)

„გიორგი სააკაძე“

### 3. პორტრეტული

## ჯეიულები ქართულ მუსიკაზე\*

„მუსიკა—ის ნამდვილი სტიქიონია, რომლიდანაც წარმოიშობა და რომელსაც უბრუნდება ყოველგვარი პოეზია“. ჩვენ გვაგონდებოდა გოეთეს ეს სიტყვები, როდესაც ვისხედით ქართული ფილარმონიის პატარა საკონცერტო დარბაზში და მთელის არსებით ვეძლეოდით მუსიკის მღელვარე და მგზნებარე ნაკადს. პოეზიის აღმაფრთოვანებელი გრძნობა მეტის მეტად მიმადლებული აქვთ ქართველ კომპოზიტორებს. და იქ, სადაც ხელოვანი განუყრელად ეძლევა ამ გრძნობას, იგი ჰქმნის ნაწარმოებს, რომელიც უნარმოხილია ავადღელვოს და გაგახაროს.

აი, ორი სიმფონიური ნაწარმოები შ. მშველიძისა: „ფშაური“ (სიმფონიური ელეგია) და „აზარ“ (სიმფონიური ოდა). ორივე ეს ნაწარმოები გიტაცებთ სწორედ თავისი აღძრულებით, წრფელი მღელვარებით, თუმცა ფშაურ ელეგიაში ყველაფერი ფეთქავს კუშტი სიღინჯით, ხოლო აფხაზური „აზარ“, პირიქით, გავარვარებულია ვით ცეცხლი, და უახლოვდება ექსტატიკური სიმღერის ზღვარს—ჰიმნს. მე არასოდეს სიცოცხლეში არც ერთი ფშავი არ მინახავს და, რამდენადაც მახსოვს, ვიცნობ მხოლოდ ორიოდ აფხაზს. მაგრამ, მგონია, ზოგი რამ გავიგეთ მათზე, მოვისმინეთ რა „ფშაური“ და „აზარ“. ქართული ფილარმონიის მიერ გამოცემულ მოკლე განმარტებაში „ფშაურზე“ ნათქვამია: „კავკასიის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე საქართველოში არის ერთი რაიონი—ფშავეთი. ფშაური

სიმღერის განსხვავებული ბგერათწყება უაღრესად თავისებურია და თითქმის სხვაგან არსად გვხვდება. თავისი ყაიდით ფშავთა ბგერათწყება ახლოა აგრეთვე დებულ ფრიგიულ წყობილებაზე, რომელიც ყველაზე უფრო „მინორული“ წყობილებაა, მხოლოდ განსხვავება მას ტონალური ელფერით, რომელშიაც უფრო მეტი სიმტიცეა და მოღუშულობა“.

საქმე, რასაკვირველია, ის კი არ არის, რომ შ. მშველიძემ მოახერხა და გამოამყლავნა მოცულობით პატარა სიმფონიური ნაწარმოებში ფშაური სიმღერის წყობილებისა და ტონალობის თავისებურებანი—ისე, რომ ფშაური ჰანგების ციტატებისათვის არ მიუპართავს. იმიტომაცა—იგი კომპოზიტორი. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ „ფშაურში“ სწორედ და ბუნებრივად განვითარებულია ხალხური მუსიკალური ენის პოეზია, მისი ცოცხალი არსით, და იმავე დროს სისასვით დაცულია—და თვის გადიდებულია კიდევ—მუსიკალური აზრის სიმდიდრე. შ. მშველიძემ აიცილა აქ თავიდან ცთუნება ინსტრუმენტალური აფერადებისა, გამაღიზიანებელი და მკვეთრი ელფერიანობისა და პოლიფონიური სანელებელთა სურნელებისა, და შექმნა ნაღვლიან—მკაცრი პოემა, ვით ბუნება ფშავეთისა, რომელიც სიამით მოგვეგონებს თუშების ქვეყანას, როგორც იგი დახატულია ანტონოვსკაიას გიგანტურ ტილოზე „ღიდ-მოურავში“.

და თუმცა მშველიძის მეორე პოემა „აზარ“ კაშკაშაა, როგორც სახალხო დღესასწაული, რომლის სახელსაც იგი ატარებს, მაინც „ფშაურმა“ ჩვენზე უფრო მეტი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ „აზარ“-იც ჩინებულია. მართლაც: ჩვენში რამოდენიმე ხანია შემოღებულა

\* რედაქცია ბეჭდავს მოსკოვის გაზ. „სოვეტსკოე ისკუსტელოში“ (1941 წ. 26/1 და 2/11) მოთავსებულ კორტიკოსის და მუსიკათმცოდნის ვ. გოროდინსკის წერილს დისკუსიის წესით და სთხოვს კომპოზიტორებს და მუსიკათმცოდნეებს გამოსთქვან თავიანთი აზრი.



კომპოზიტორების დიდ ქება იმისათვის, რომ ხალხური სიმღერის ყაიდაზე ნაწარმოების შექმნისას მათ თვით ხალხური სიმღერა ციტატად არ მოჰყავთ. ეს არსებითად, უცნაური ქებაა. ამისათვის არც ქება, არც ძაგება არ შეიძლება. იმიტომ, რომ თუ ციტატის მოყვანა საქებარი არ არის, მაშინ გვმართებს ყირამალა დავაყენოთ კლასიკოსების თითქმის მთელი პრაქტიკა და ძირ-ფესვიანად ავიკლოთ ყველა ისინი, დაწყებული ბახით და გათავებული ჩაიკოვსკით. ვინაიდან ბახს „ციტატა მოჰყავდა“ თვით დიდებულ **h — moll** — ის მესაში, ზოლო ჩაიკოვსკი ამასვე აკეთებდა სიმფონიურ ნაწარმოებებშიც და ოპერებშიც. და თავში არავის არ გაუტყანებს აზრად ჰეიციხოს ისინი ამისათვის. მთელი საქმე ის არის, თუ რა, რისთვის და განსაკუთრებით კი როგორ იქნეს ციტირებული.

შ. მშველიძის „აზარ“ ში არის ციტატა, რომელიც გადმოგვცემს სიმღერის ნამდვილ მელოდიას, მოჯირითეთა დღესასწაულში რომ მღერიან. მაგრამ სწორედ ეს თემა, რომელიც ოსტატურად არის გამოყენებული ბუკთა ხმოვანებაში, ნაწარმოების ბრწყინვალე დინამიკურ განვითარებაში, აძლევს კიდევ ნაწარმოებს განსაკუთრებით მგზნებარე გმირულ ხასიათს. ყოველ შემთხვევაში, შ. მშველიძის „ფშაური“ და „აზარ“ ეკუთვნიან ქართული საბჭოთა მუსიკის უაღრესად საინტერესო ნაწარმოებთა რიცხვს. სამწუხაროდ, არ მოგვიხდა მოსმენა მშველიძის სიმფონიური პოემის „ზვიადური“-სა, რომელიც დაწერილია 1940 წელს. მასზედაც აღტაცებას გამოსთქვამენ ის აზნაულები, რომელთაც მოასწრეს და მოისმინეს იგი. უნდა ვადვიაროთ, რომ საბჭოთა ქართული მუსიკის დეკადა, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა (მათ შორის საორგანიზაციოსი), ნამდვილი მუსიკალური დღესასწაული იყო. ქართულ მელოდიაში დაფარული განსაკვირვებელი სიმღერე, მუსიკოსების საუცხოო ნიჭი (თანაბრად კომპოზიტორებისაც და შემ-

სრულებლებისაც) — ყოველივე ეს ნამდვილი საჩუქარი იყო მსმენელებისათვის.

მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, საკმარისია ერთმანეთს სამი მუსიკოსი შეხედეს, რათა წარმოიშვას, სულ ცოტა, ოთხი თვალსაზრისი მაინც, ურთიერთის უარყოფელი.

რაც ამის მსგავსს, მართალი რომ ეთქვათ, შენიშნავდით იმ კონფერენციანდაც, რომლითაც დასრულდა საბჭოთა მუსიკის დეკადა თბილისში (კონფერენციაზე მაინც უაღრესად მნიშვნელოვანსა და საინტერესოზე, თუ უკუვადებთ გემოვნებათა სიჭრელეს და დაუსაბუთებელ აზრთა შეუთანხმებლობას). მაგრამ არც ცოტა იყო ძსეთი რამ, რაზედაც თვით გახლებული მოდავენიც კი მორიდდნენ, თითქმის არავინ დავობდა გრ. კილაძის ნაწარმოებების ღირსებაზე, რომლებიც შესრულებულ იქნენ დეკადის დროს, ოპერების ნაწყვეტებზე: ა. ბალანჩივაძისა „ბედნიერება“, ვანო გოკიელისა „გელა“, ი. ტუსკიასი — „სამშობლო“, ოღლა ბარამიშვილის რომანსებზე ორკესტრითურთ, თამარ შავერზაშვილისა და დამარა სლიანოვას სიმღერებზე, შ. თაქთაქიშვილის საინტერესო ნაწარმოებზე... მართლაც, ყველა ეს ნაწარმოები უცილებლად კარგია და რაც უფრო ადრე აუღერდებიან ისინი მოსკოვში, მით უფრო კარგი.

ჩვენ შესაძლებლობა არა გვაქს დაწვრილებით გავჩერდეთ ყველა აქ მოხსენებულ ნაწარმოებზე და შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს.

უაღრესად გულდასმითი და სერიოზული ყურადღების ღირსია, ჩვენის აზრით, გრ. კილაძის სიმფონიური პოემა „განდევილი“, დაწერილი ილია ჭავჭავაძის ამავე სახელწოდების პოემის თემაზე. ეს ნაწარმოები თვალსაჩინო მხატვრული ღირსებისაა. ჩვენ უკვე ზევით აღვნიშნეთ „პოემურობის“ (გზმარობთ ი. გლეზოვის მეტად ზუსტ გამოთქმას) ქარბობა ქართულ სიმფონიურ მუსიკაში. ამ „პოემურობით“ გამსჭვალულია ქართ-



ველი კომპოზიტორების თითქმის ყველა სიმფონიური ნაწარმოები, რაც კი ჩვენ მოგვისმენია, მათ რიცხვში ა. კერესელიძის სიმფონიაც „g — dur“ და ი. ტუსკიას და შ. აზმაიფარაშვილის ნაწარმოებნი და თვით კოტე მელდინეიშვიტის „სვანური სიმფონია“, მიუხედავად ამ უკანასკნელის სტიტური წყობისა და ხასიათისა. ქვევით ჩვენ კვლავ დაუბრუნდებით ამ საკითხს, ვინაიდან, მიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რასაც შეიცავს ეს გაუპირატესებული პროგრამულ-ლიტერატურული პრინციბი, ჩვენ მაინც გვგონია, რომ მართალია ქართველი მუსიკათმცოდნე ხუჭუა, რომელიც საჭიროდ სთვლის, რომ ქართველ კომპოზიტორებს მართებთ იმუშაონ არაპროგრამულ მუსიკაზედაც, რაც თავისთავად სიმფონიურია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მაგრამ დაუბრუნდეთ გრ. კილაძის „განდეგის“.

იგი მომწიფებული, ოსტატური ნაწარმოებია—ნამდვილი სიმფონიური პოემა, თუმცა თითქმის სრულიად არ შეიცავს „ბგერითი ფერწერის“ ელემენტებს, მესამე ეპიზოდის გარდა—მთებში ქუქა-ქუხილის და ქართველის დრამატული სურათისა. მაგრამ სწორედ ეს სურათი ჩინებული აღსრულების მხრით. კონტრასტირებული თემებისა, მძიმედ მოძრავ და ტრაგიკულად ახმოვანებულ სპილენძის საკრავთა თემისა და განდეგის ფიქრთა ნაღვლიანი თემის თამაშს ანაზღვეულად ანათებს ელვის აფეთქება. ეს თითქმის მრისხანე ხმა ბუნებისა, ხმა თვით ცოცხალი ცხოვრებისა, რომელიც აღსდგა თავზედი ასკეტის წინააღმდეგ, მის კანონებს რომ თრგუნავს. ილ. ჭავჭავაძის პოემის იდეა სწორედ ცხოვრების დამკვიდრებისა და ბუნების გამარჯვების იდეაა. ფუჭი, მოჩვენებითი იდეა, ასკეტური ქიშკია, ცხოვრებისაგან განრინებულიმა განდეგილმა რომ აღავო, ინგრევა, ჰქრება, როგორც სიზმარეული ლანდი, იმ წამიდან, როდესაც მისი სენაკის

დირუზე გამოჩნდება ქუქა-ქუხილისაგან თავმესაფარის მძებნელი ქალიშვილი.

მას მოაქვს თან სიახლის ნიაგი, ვნებათა დღილი, ყოვლისმძლე და გამარჯვებული სიცოცხლის მხურვალე ფეთქება. ქორალურ ხმათა უღრავც, ბიზანტიური ღვთაების გამოსახულებაც ხატზე—ყველაფერი ითვისებს ცოდვიანობა-ვნებიანობის იერს. მშვიდი, უმფოთველი მყუდროება სულისა საუკუნოდ დაკარგულია განდეგისათვის პოემის andante-ში. სიცოცხლისაკენ მოწოდების თემა, ან, რაც, შეიძლება, უფრო სწორე იყოს, სიცოცხლის მოწოდება უღერს პოემის ფინალში, ვით უფლებამოსილი მბრძანებელი, თითქოს იგი შლიდეს მსმენელის წინაშე თვალუწყედ სივრცეს დედამიწისას, რომელიც გამბაზრია მზით, აკმევს ათასეულ ყვაილთა კეთილსურნელებას, წკრიალებს მილიონიან ხმებად და რომელიც მუდამ ცოცხალია და მუდამ მშვენიერი.

ძალიან კარგია, რომ ხელოვანმა პოემა ფერადები ასეთი სურათისათვის. გრ. კილაძის ორკესტრი უაღრესად მდიდარია და ნატიფად მოხდენილი. იგი ფართოდ იყენებს ხის ჩასაბერ საკრავთა რბილ ხმოვანებს და სპილენძის საკრავთა მეტალურ ხმებს. ჩინებულად ბერავდობს სიმიან საკრავთა გაშლილი კანტილენის ხის ჩასაბერ საკრავთა მკვირცხლ მოძრაობასთან შეთავსებით. მართლაც: გრ. კილაძე გამოდგა საორკესტრო წერის ჩინებული ოსტატი ოპერა „ბასტიონის“ მე-III აქტის მეტად მკვეთრ კოლორიტიან შესავალშია და ძალიან ვნანობთ, რომ ეს ოპერა მთლად ვერ მოვისმინეთ... უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა აგრეთვე გრ. კილაძის ოპერის „ლადო კეცხიველი“-ს ნაწყვეტები.

ზოგიერთი ამხანაგი უსაყვედურებდა გრ. კილაძეს „სიტყვამარაღობას“ თვით „განდეგის“შიაც“ კი. ამაზე იმ ამხანაგებს ვერასგზით ვერ დავეთანხმებით. თემატიკური სიუხვე, ხერხთა მრავალსახეობა, თუნდა ერთგვარი განმეორებაც გვხვდ-



ბოდეს, „სიტყვაშირავლობად“ არ ჩაითვლება. გრ. კილაძეს გააჩნია სათქმელი. და იგი ამბობს კიდევ. ეს ხელოვანის უფლებაა.

სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ მუსიკაში ანდრია ბალანჩივაძის შემოქმედებას. ახალგაზრდა კომპოზიტორის (იგი შეილია ძველი თაობის კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძისა, რომელმაც შექმნა ოპერა „ღარეჯან ცხიერი“, დადგმული მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის (დროს) აქვს საკუთარი ხელი, მარტო მისი კუთვნილი მანერა წერისა. მისი ბალეტი „მთების გული“ ჩვენ ვიცით ჭაბუკიანის საუცხოო დადგმით ლენინგრადში. იგი თბილისშიაც იდგმის, სადაც, სამწუხაროდ, უხეიროდ არის დადგმული. მაგრამ ამ ბალეტის მუსიკაზე კრიტიკას არაერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი და ამიტომ მასზე აღარ ვილაპარაკებთ. აქ შევეხებით მხოლოდ ა. ბალანჩივაძის ახალი კომიკური ოპერის „ბედნიერების“ ნაწყვეტებს. ეს ოპერა დაწერილია მ. ლაკერბაიას ტექსტზე. ამ ოპერის მთელი რიგი ნაწყვეტები, გაერთიანებული თავისებურ მონტაჟად, შესრულებული იყო დეკადის დროს თბილისში. რამდენადაც შეგვიძლიან ვიმსჯელოთ ბალეტი „მთების გულისა“, ოპერა „ბედნიერებისა“ და, შეიძლება კიდევ, საფორტეპიანო კონცერტის მიხედვით, ა. ბალანჩივაძის მუსიკალური მეტყველება შეიცავს არც თუ ბევრ ტრადიციულ ელემენტს ქართული მუსიკისას. მაგრამ მეტყველებითაც და მთელი ინტონაციური კოლორიტითაც ა. ბალანჩივაძის მუსიკა—მანც ქართული მუსიკაა, თუმცა სწორედ ამაზე დავობენ ცალკეული ამხანაგები. აქ ჩვენ უნდა შევეხებოთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ფიცხელი მსჯელობის საგანი იყო.

საქმე ის არის, რომ მთელი რიგი ქართველი კომპოზიტორები და მუსიკათმცოდნეები, იცავენ რა ფოლკლორულ ტრადიციას, ფიქრობენ, რომ ქართულმა

მუსიკამ უნდა დააკონსერვოს თავისი ინტონაციური ტრადიციული დამკვიდრებული წყობილებითი სტრუქტურა, უუმტკიცესი დიატონიზმი, დამახასიათებელი კვარტულ-კვინტური ჰარმონიები (ტრიჟორდი კვინტაში, კვარტა ქვევით, სექუნდა ზევით). ტრადიციის ყველაზე უფრო რადიკალურად დამცველნი ხელალებით უარყოფენ ქართული მუსიკისათვის ქრომატიზმის შეფარდებას, მაჟორ-მინორულ წყობას, ევროპულ ტერციულ ჰარმონიებს და ევროპული ტერციის მოვლენას ქართულ ხალხურ მუსიკაში ნამდვილ უბედურებად სთვლიან.

დიდი კომპოზიტორი და მუსიკათმცოდნე დ. ი. არაყიშვილი პირდაპირ ამტკიცებს, რომ „...მთლად ის უამრავი სიმღერა, რაც ჩაწერილია და რასაც ახლა ასრულებენ სხვადასხვა გუნდები, წარმოდგენს ევროპული ტერციით სრულიად გაფუჭებულ წყაროს“. დ. ი. არაყიშვილი დასძენს, რომ „ქართულ ჰარმონიას არაფერი საერთო არა აქვს რა უძველეს ბერძნულ წყობილებასთან ან საეკლესიო გამებთან, ან მით უფრო თანადროულ მაჟორთან თუ მინორთან“ (ხაზგასმულია ჩვენ მიერ—ვ. გ.). ჩვენ ახლა ვაზნე ვტოვებთ საკითხს იმის თაობაზე, თუ რამდენად მართალია ისტორიულად ეს მტკიცება. გაცილებით უფრო საყურადღებოა საკითხი ასეთი გაორკეცებულ ტრადიციონალიზმის პრაქტიკულ, შემოქმედ მნიშვნელობაზე მუსიკაში. თუნდაც ყოველივე ეს მართალი იყოს, მიზანშეწონილი და მართებულია თუ არა, რომ იგი შენარჩუნებულ იქნეს სამარადქამოდ და გავექციეთ ყოველგვარ ახლებურს.

ჩვენ მიუტყვებელ კონსერვატიზმად მიგვაჩნია საერთო-ევროპული მაჟორისა და მინორის უარყოფა, ქრომატიზმის უარყოფა, ერთის სიტყვით, უარყოფა ყოველივე იმისა, რაც ათეულ საუკუნეების მანძილზე მუსიკალური ხელოვნების განვითარების ჯამია. შეუძლებელია ევროპული ტერციული ჰარმონიების საწი-

ნალმდეგო დებულების სერიოზული დასაბუთება იმ მოსაზრებით, რომ ეს ჰარმონიები გაუგებარი იქნება საქართველოს ცალკეული რაიონების მცხოვრებთათვის. და ხომ სწორედ ამას ამტკიცებდა კომპოზიტორი ი. ტუსკია, აღნიშნავდა რა, რომ, მაგალითად, სვანეთში დღემდე გაშვებულია არქაული სასიმღერო ინტონაციები და რომ ქრომატიზმი ეუცხოება სვანების სმენას.

ყოველივე ეს სრულიადაც ახალი რამ არ არის, და ჯერ კიდევ გაცილებით ადრე დ. ი. არაყიშვილამდე სწორედ ამასვე სწერდა ა. სეროვი, ხოლო უკვე რუსული ხალხურ სიმღერისათვის შეფარდებით. სტატიაში „რუსული ხალხური სიმღერა, როგორც მეცნიერების საგანი“ ა. სეროვი პირდაპირ ამტკიცებდა, რომ „რუსულმა სიმღერამ არ იცის არც მყოფი, არც მინორი და არასოდეს იგი არ მოდულირებს“, რომ იგი „მისდევს მარტოოდენ ერთ ბუნებრივ-დიატონიკურ წყობილებას“. და რუსული ხალხური სიმღერის თაობაზე ა. სეროვი-სწორედ და ზუსტად ისეთსავე დასკვნას აკეთებდა, როგორსაც აკეთებს დ. ი. არაყიშვილი ქართული ხალხური სიმღერის თაობაზე. დასკვნა მცდარია, რადგანაც შეუძლებელია ამათიმი ხალხის მუსიკალური ხელოვნების განვითარების პროგნოზში ვეშყარბოდეთ იმ ცრუ სუწინასწარო დებულებას, რომ ხალხური მუსიკის სტრუქტურა და პრინციპები უცვლელია. ა. სეროვს რუსული მუსიკის მიმართ შეეძლო ეთქვა, რომ მან არ იცოდა არც მყოფი, არც მინორი და რომ იგი იყო ბუნებრივ დიატონიკური, მაგრამ იგი სასტიკად სცდებოდა, ჰგონებდა რა, რომ რუსულმა მუსიკამ არ იცის მყოფი და მინორი და იგი არის ბუნებრივ დიატონიკური.

გლინკას „ივან სუსანიის“ და ლანის „შემდეგ, მისივე „კამარინსკიას“ შემდეგ, დარგომიესკის შემდეგ რუსული ხალხური მუსიკა იყო უკვე სხვანაირი და ის, რაც სეროვს დამახინჯებდა და გაფუჭებდა მიაჩნდა, იყო გრძელ მანძილზე განვითარების კანონზომიერი ჯამი. რასაკვირველია, დიდად სცდებიან ამხანაგები, ქართულ მუსიკაში რომ ქრომატიზმისა და ევროპული ტერციის წინააღმდეგ დევნას აღძრავენ. ისინი ვერ ამჩნევენ ახალი ელემენტების გამოჩენას თვით ხალხურ მუსიკაშივე, — იმ ელემენტებისა, რომელთაც განამზადეს ნაციონალური მუსიკის შემდგომი განვითარება ახალსაფუძველზე. რამდენად შორს მიდის ხოლმე ხანდახან საქმე, შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ თუნდაც იქიდან, რომ ზოგიერთი ამხანაგი მზად არის განდევნოს მშვენიერი სიმღერა „სულიკო“ მისი უცხო შთამომავლობის გამო (ალბათ, ნეპოლურისა). ისინი კვლავ სცდებიან. „სულიკომ“ განიცადა გადამუშავება ქართული ხალხური სიმღერის ყაიდაზე და იგი თვით გადაიქცა ქართულ ხალხურ სიმღერად. მუსიკალური პურიზმი ისევე უცხოა ხალხური მასისათვის, როგორც სალიტერატურო-სამეტყველო პურიზმი, და ისევე კარიკატურულია.

ექვევარეშეა ის, რასაც აქ ვამბობთ ქართულ მუსიკაზე, ეხება აგრეთვე ყოველგვარ მუსიკას საერთოდ. თითქოს დასავლეთ ევროპის ხალხთა მუსიკაში ტერიციული ჰარმონიები მათი შინაგანი ამაფეთქებელი ენერგიით (ერნსტ კურტი) თავისთავად გაჩენილან ან ოდითვე არსებულან? რაც შეეხება ტრიხორდს კვინტაში, იგი ცნობილია დასავლეთ-ევროპული მუსიკის პრაქტიკაში ისე, როგორც კვარტული და კვინტური პარალელზიმები (Organum და სხვ.). მეგრე, რა გამოდის აქედან? ძალიან ბევრი რამ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ს. ბაკრაძე

# ეფემია მესხი

აწ. 28 თებერვალს გარდაიცვალა გასული საუკუნის ქართული სცენის ერთ ერთი მშვენიერა ეფემია (ფეფიკო) სიმონის ასული მესხი.

ე. მესხი იყო მესხთა იმ სახელოვან ოჯახის წევრი, რომელმაც ქართველ ხალხს გაუზარდა მთელი რიგი საზოგადო მოღვაწეები: სერგეი მესხი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი და შესანიშნავი პუბლიცისტი, კოტე მესხი, ქუთაისის თეატრის სულის ჩამდგმელი და ნიჭიერი მსახიობ-რეჟისორი, დავითი—დრამატურგი, მსახიობი, და ჟურნალისტი, ივანე—ჟურნალისტი და მუნიციპალური მოღვაწე, ბათუმის დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე და სხვები. ეფემია, რომელმაც ქართულ თეატრს თავდადებით ემსახურა მთელი 40 წლის მანძილზე, ამათი და იყო.

ეფემია მეათე შვილი იყო სიმონ მესხისა. იგი ქუთაისში დაიბადა 1862 წ. 11 ივლისს. მისი დედა მაგდანი იყო



ეფემია მესხი

მარჯანიშვილის ქალი, მამიდა სახელგანთქმულ რეჟისორის კოტე მარჯანიშვილისა. პატარა ფეფიკოს წერა-კითხვა, როგორც სხვა შვილებს, მან ასწავლა, ამას გარდა უკითხავდა ქართულ წიგნებს და ადრეებს „ეფეზის ტყაოსნიდან“. შემდეგ როცა წამოიზარდა სასწავლებლად ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში მიიბარეს. სწავლაში ფეფიკო დიდს გულსყურს და ნიჭს იჩენდა. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მას გარდაეცვალა მამა და უფროსმა ძმამ სერგიმ თავის პატარა და თბილისში გადმოიყვანა, დააბინავა თავის ოჯახში და მიიბარა სასწავლებელში. ბავშვის პატარაობიდანვე აღმოაჩნდა თეატრისა და მუსიკის სიყვარული. ქუთაისში ყოფნის დროს ხშირად შეიკრიბებოდნენ ბავშვები და ოჯახში შინაურ წარმოდგენებს მართავდნენ.

თბილისში ეფ. მესხი ხშირად დადიოდა როგორც ქართულ, ისე რუსულ წარმოდგენებზე და ოპერაში. მას თანდათანობით უღვივებოდა თეატრისადმი მისწრაფება და სცენაზე მუშაობის სურვილი.

სერგეის ოჯახი და რედაქცია ერთ ბინაზე ჰქონდა მოთავსებული. იქ ხშირად თავს იყრიდნენ ჩვენი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, ისინი მუდამ მსჯელობდნენ მწერლობაზე, საზოგადო საქმეებზე. ეფემია ყურს უგდებდა მათ კამათს, შეეჩვია საზოგადო საქმეებზე ფიქრს, შეუყვარდა წიგნების კითხვა და ხარბად დაეწაფა თვითგანვითარებას, რაშიაც დიდ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწყევდა თვით სერგეი. „კვითხულობდი სხვა და სხვა წიგნებს, რუსულს, უცხოელებისაგან ნათარგმნს, ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც სერგეის ბლომად ჰქონდა, — გვიამბობს ეფემია: — „წაკვითხე რომანი „ქალი კამელოებით“ და ტირილით თვალები დავისიე. კვითხუ-



ლობდი ბევრს და ჩქარა, რისთვისაც სერგეი მიჯავრდებოდა“.

სერგეი ასეთი რჩევა-დარიგებითაც არ კმაყოფილდებოდა, და თავის უნცროს დას წერაშიც ავარჯიშებდა. მაგრამ ეფემიას მოწოდება მწერლობა არ იყო, მას იზიდავდა სცენა...

1882 წ. 13 იანვარს მ. საფაროვ-აბაშიძის ბენეფისში, პიესა „პარიზელ ბიჭში“ ეფ. მესხი პირველად გამოვიდა სცენაზე. მისი გამოსვლა შემთხვევით მოხდა, რის შესახებაც თვით ეფემია მოგონებებში შემდეგს გადმოგვცემს:

„...ჩემი ძმა კოტე შემოვიდა როგორც ადელევებული. სერგეის სამუშაო ოთახში შევიდა და კარები მიიხურა. კარგა ხანს ლაპარაკობდნენ ისინი წყნარი ხმით, მხოლოდ სერგეის ორიოდ სიტყვას მოვკარი ყური: „თითონაც შერცხვენა და თქვენც შეგარცხვენს“. ცოტა ხანს შემდეგ კოტე გამოვიდა ღიმილით და მითხრა:

— აბა, ჩაიციე ჩქარა და წამოდი თეატრში რეპეტიციაზე, შენ ამაღამ უნდა ითამაშო!...

კინლამ გული შემიღონდა ამ სიტყვების გაგონებაზე.

— როგორ? რას ამბობ, კოტე? ამაღამ?

— დაუჩქარე! ეხლა ლაპარაკის დრო არ არის... იქ გაივებ.

საჩქაროდ ჩავიციე პალტო, კალოშები, ქული თავზე ჩამოვიფხატე და გაცყევი კოტეს. ფეხები უკან მრჩება...“

„...გზაში კოტემ მოკლედ მიაბმო, რომ კორინთლის ქალს (მსახიობი ბაბო კორინთელი—ყიფშიძისა. ს. გ.) უნდა ეთამაშუნა ახალგაზრდა ქალის როლი, მაგრამ არ ვიცო რა მიზეზით, დღეს დილით როლი უკან დააბრუნა. ეს როლი უნდა ითამაშო შენ ამ საღამოს. ნუ გეშინია! ოღონდ ზეპირად ისწავლე და ყველაფერი რიგისად ჩაივლის“.

შემდეგ ქვევით განაგრძობს: „მივედი თეატრში, კოტემ ხმაბლულა დაიძახა:— „აბა, მოვიყვანე ლეიზა“. ყველანი გახა-



ეფემია მესხი მარგარიტა ვოტიე

რებული წამოდგნენ ზეზე, მომეგებნენ; ყველაზე მეტად გახარებული მაკო მომვარდა, მაკოცა. მამხნეებდა, მასწავლიდა როგორ უნდა დამეჭირა თავი; მე არაფერი არ მესმოდა, სრულიად უცხო იყო ჩემთვის ეს პიესა, როლი; ვის, რას წარმოვადგენდი არ ვიცოდი. კოტე ყიფიანი მხარზე ხელსა მცემდა: — „აბა ქალო, ყოჩაღად, არ შედრკე, ნუ გეშინია“, ვილაც ბებუთაშვილი რეჟისორი („ემბე“— მ. ბებუთოვი, ს. ვ.) გარს დამტრიალებდა: „Ничего, детка, все будет хорошо, только не волнуйтесь.“—ავქსენტი ცაგარელი იყო იმ დროს მოკარნახედი. ისიც მეტად მამხნეებდა. დაიწყო რეპეტიცია, ვიმეორებდი მოკარნახის სიტყვებს, რომელიც ჩემს სათქმელს ფანქრით იტაცებე კაკუნით მანიშნებდა— „მე არ შემომხედო!“ მითხრა მან. დიდის განსაცდელით ჩავატარე რეპეტიცია. იანვრის ყინვაში მე ოფლით გავიწურე. როლი გადმომცეს.

— ოღონდ ზეპირად ისწავლე და სხვა



ნურაფრისა გეშინია, — მითხრა მაკომ.

წამოვედით შინ კოტემ მითხრა, რომ საღამოს შემოივლის და წამიყვანს თეატრში. იმ დღეს არაფერი გამხსენებია ვარდა ჩემი როლის დაზეპირებისა...“<sup>\*)</sup>.

პირველი მოქმედების შემდეგ იგი სცენაზე გამოიძახეს და მხურვალე ტაშით და ვაშას ძახილით დააჯილდოეს... ასეთმა გულთბილმა შეხვედრამ ახალგაზრდა ქალს აღფრთოვანების ფრთები შეასხა და მეორე მოქმედებაში უფრო თამამად გამოვიდა... დასრულდა მოქმედება. იგივე ამბავი გამეორდა. ყოველივე კარგი ახალი ამბავის ენტუზიასტი დრამატურგი დავით ერისთავი შეიჭრა კულისებში და ხმა მაღლა დაიძახა:

— Где Мехси? Где она? Какой чудный голос, какая замечательная дикция... შემდეგ გამოსძებნა ეფემია-მესხი, მხურვალედ მიესალმა და მიულოცა გამარჯვება. წარმოდგენის შემდეგ ახალგაზრდა მსახიობი ქალი რეჟისორმა მ. ბებუთოვმა და კ. მესხმა შინ მიაცილეს. მ. ბებუთოვი გზადაგზა სულ გაიძახოდა: — „Это талант. Будущая звезда...“

ეფ. მესხი იმავე წელს კიდევ რამდენიმეჯერ გამოვიდა სცენაზე. სხვათა შორის კ. ყიფიანის თხოვნით გამოვიდა ფრანგულიდან ნათარგმნ პიესა „ჟან ბოდრში“, სადაც ასრულებდა ჟან ბოდრის ქალის როლს. პიესა დადგმული იყო კ. ყიფიანის საბენეფისოდ. ეფემია, ბენეფიციანტი რომ არ შეერცხვინა, კარგად მოემზადა და როლიც ჩინებულად შეასრულა. მის თამაშს მაყურებლები კვლავ ელტაცებით შეხვდნენ. მან აგრეთვე თავის ნიჭი გამოსცადა კომიკურ როლებში. სამჯერ მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა კომედიაში, მათ შორის აკაკის „ბუტიანობაში“, და კომიკური როლები შეასრულა. აქაც საკმაოდ გამოამჟღავნა თავისი ბრწყინვალე ნიჭი, მაგრამ ამჟამადვე გამოამჟღავნა ისიც, რომ კომიკური როლები მას ისე არ სწყალობს, როგორც დრამატიული, რომ იგი პირწმინდად

მატიული მსახიობია და თავისი არტისტიული შემოქმედებაც ამ მიმართულებით უნდა აამოძრაოს.

1885 წ. კოტე მესხმა ჩამოაყალიბა ქუთაისის თეატრი. დასი ახალგაზრდა სცენის მოყვარეთაგან იყო შედგენილი, სადაც თავის და ეფემიაც მიიწვია და თვიური ხელფასი დაუნიშნა 40 მანეთის რაოდენობით. ამ ფულით მას უნდა ეცხოვრა და თეატრისათვის საჭირო ტანისამოსი თუ სხვა ნივთებიც შეეძინა.

ქუთაისში საცემბით იფურჩქნება ეფემია მესხის არტისტიული შემოქმედება, და იგი დგება ჩვენი თეატრის საუკეთესო მსახიობთა პირველ რიგებში.

ქუთაისის თეატრი კ. მესხის მეოხებით იმ ხანად სრულიად ახალ გზას დაადგაროგორც ვიცით, ქუთაისში თეატრის დაარსებამდე და შემდეგაც კოტემ იმოგზაურა პარიზში. აქ იგი გაეცნო პარიზის თეატრებს, მათ მუშაობას, დრამატურგიას და დაბრუნდა თუ არა სამშობლოში, დაიწყო ნახელისა და გაგონილის გადმონერგვა. დ. მესხი გვიამბობს: — „პარიზიდან რომ დაბრუნდა კოტე, თან რამდენიმე პიესაც ჩამოიტანა. ეს პიესები მას ენაზე იქაურ სცენაზე. ხელად გადაითარგმნა ეს პიესები.“<sup>\*)</sup>

ეს პიესები იყო: „მარგარიტა გოტიე“, „ადრიენა ლეკუვრერ“ და „მადამ სანჟენ“. ამ პიესების ქუთაისის სცენაზე დადგმა ენტუზიასტ რეჟისორს გაუჭირდებოდა, რომ გვერდში არ ყოლოდა თავისი და ეფემია.

1893 წ. დადგეს ალ. დიუმ-შვილის ცნობილი დრამა „მარგარიტა გოტიე“. კოტემ ეფემიას მთავარი როლის — მარგარიტას ასრულება მიანდო. დაიწყო რეპეტიციები. „დიდი ხნის წვრთნა დასჭირდა კოტეს ამ უცხო პიესის მომზადებისათვის“, — გვიამბობს დ. მესხი და განაგრძობს: — „მეტი წვალება ფეფიკოს ხედა წილად, როგორც მთავარი როლის —

\* ეფ. მესხი — „ქართული თეატრი“, გვ. 34-35. საქ. სათ. მუხ. არქ.

\* დ. მესხი — „მოგონებანი“, გვ. 47-48.

მარგარიტას ამსრულებელს. ეს კოტეს დაუინებელი ჩიჩინი ზშირად ფეფიკოს ცრემლებს გვრიდა“...\*)

ბოლოს პიესა მომზადდა და წარმოადგინეს. მან როლი ისე კარგად შეასრულა, რომ მაყურებლები აღტაცებაში მოიყვანა.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ორდენოსანი ნინო ჩხეიძე, თავის დროზე ერთი საუკეთესო ამსრულებელი მარგარიტას როლისა, იგონებს რა ამ პიესის პირველ დადგმას ქუთაისის სცენაზე, თავის შთაბეჭდილებას ასე გადმოგვცემს:

„...თამაშობდნენ მარგარიტა გოტიეს; განა შემიძლიან გამოვთქვა, რაც მე მაშინ ვიგრძენი? ყოველი მისი სცენაზე გამოსვლა და წასვლა იწვევდა აღტაცებულ ტაშის ცემას. მე კი მობუზული ვიჯექი ერთ ადგილას გაუნძრევლად. თვალტრემლიანი და მანამ ვერ გამოვრკვეულიყავ, სანამ ჩემმა დამ, რომელიც ნანინს თამაშობდა იმ დამეს, ხელი არ წამერა— „აღე, სახლში წავიდეთო“. მხოლოდ მაშინ შევაჩინე, რომ თეატრი უკვე დატოვებულიყო და მხოლოდ მეკი ვიჯექი მარტო. სწორედ იმ დღიდან ჩაიბეჭდა ჩემში სურვილი სცენაზე ყოფნისა, და-არა მარტო მე, ბევრს სხვასაც აღუძრა სურვილი სამშობლოს სცენაზე მუშაობისა“\*\*).

მსახიობი ნატო მესხი—კოტეს მეუღლე, საერთოდ ახასიათებს ეფემია მესხის მიერ შექმნილ მარგარიტა გოტიეს სცენიურ სახეს და შემდეგს გადმოგვცემს:

— „მარგარიტას თამაშობდა ფეფიკო, არმანს კოტე, ნანინს—მე. ისე მომზიბლა და გამიტაცა ფეფიკოს გაპიროვნებულმა მარგარიტას ბედმა, რომ მეგონა ჩემს წინ ნამდვილი მარგარიტა იწვა და იტანჯებოდა. ვტიროდი გულით ისე, როგორც ნამდვილი ქირისუფალი. როდესაც ფარდა დაეშვა, ერთხანს დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს თეატრში არავინ არისო,



ეფემია მესხი

მაგრამ უტბად საშინელი ტაშის გრილი შეიქნა. აიხადა ფარდა. თეატრი გაშედილია. ერთსაც არ უფიქრია წასვლა. დავინახე მთელი საზოგადოება—ქალები თუ კაცები ცხვირსახოცებით ხელში,—ტიროდნენ და თან ტაშს უკრავდნენ“\*).

ასეთი იყო ეფ. მესხის არტისტული შემოქმედების ზეგავლენა მაყურებლებზე... მარგარიტას ასეთი შესრულების შესახებ ხმები თბილისამდეც მოვიდა და დრამატ. საზოგადოებამ ეფემია გასტროლებზე გაიწვია. აქ შთაბეჭდილება გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ქუთაისში, რადგან ეფ. მესხს ეს როლი უკვე რამდენიმეჯერ ჰქონდა შესრულებული და უფრო გააფუფულა თამაშობდა.

გ. წერეთელი, რომელიც წარმოდგენას დაესწრო და „კვალში“ რეცენზია მოათავსა, შემდეგს წერს:

„ქართულ თეატრში ნამდვილი დღესასწაული იყო ქართული სცენის წარმატებისა...

აიხადა ფარდა. ცოტა ხანს უკან სცენაზე გამოჩნდა ეფ. მესხი... მაყურებელთ

\* იქვე, გვ. 48.

\*\* საიუბილეო კრებული — „ეფემია მესხი“ 1922 წ. გვ. 33-34.

\* იქვე, გვ. 31-32.



გაკმინდეს ხმა. ქართული სცენა უცებ გამოცოცხლდა. სასიამოვნო ხმამ, ლაზარიაშვილის მიხვრა-მოხვრამ ერთბაშად აღძრა საზოგადოებაში სიმპატიკა, გულის სურვილი. ჩვენ გვესმოდა მთიდან გადმოვარდნილი წყაროს ნაკადულის ტკბილი ჩუხ-ჩუხი, გრძნობით სავესე გულიდან ამონახეთქი მშვენიერი ქართული სიტყვები. ასეთ ლაპარაკს და მოქმედებას ჩვენ ჯერ არ ვყოფილვართ შეჩვეული. გაისმა საზოგადოებაში ჩუმი შრიალი გაკვირვებისა: „სად იყო აქამდის ეს ქალი? ნეტა სად უსწავლია ასეთი ხელოვნური თამაში? ეს რაღაც სულ ახალი მოვლენაა ჩვენს სცენისათვის“. დაეშვა ფარდა. საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა ეფ. მესხის თამაშმა. რაც უფრო წინ მიდიოდა მოქმედება დრამისა, საზოგადოებას თანდათან უფრო ემატებოდა და ბოლოს, დრამის გათავებისას მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. „ვაშას“ ძახილმა და ტაშის კვრამ მთელი თეატრი შესძრა. ქართულ თეატრს ამისთანა არა უნახავს რა და საზოგადოებასაც ჯერ ამისთანა სიამოვნება ქართული სცენიდან არ გამოუტყდა. ეფ. მესხმა დახატა მარგარიტა კობიძის ცხოვრების სურათი და მან ღრმად შეარყია მთელი მაყურებელი. ნამდვილი ნიჭისა და უმანკო ქალის მეტი ამისთანა შთაბეჭდილებას სხვა ვერვინ მოახდენდა...“\*)

1904 წ. პირველად დადგეს თბილისში ალ. სუმბათაშვილის „დალატი“. ეფ. მესხი ზეინაბის როლს ასრულებდა და ეს როლი მის მიერ შექმნილ სცენიურ სახეთა გალერეაში საუკეთესო ქმნილებად ითვლებოდა.

ცნობილი მწერალი ილ. ხონელი—ბახტაძე ეფ. მესხის არტისტულ გაქანებას ასეთ შეფასებას აძლევს:

„ქ—ნი მესხი ბევრ რამეში გვაგონებს სავენას, რომელიც დიდად დახელოვნებულია ყველაფერში და აქვს საზღვრები და გრძნობათა ზომიერება. როგორც იმას,

ისე ამასაც შეიძლება ექნეთ ზოგან მეტად ზოგან ნაკლებად მოხერხებული აღმართები, მაგრამ ცუდი ადგილები კი არასდროს არა აქვთ. ეს რამდენიმედ დაკავშირებულია როლის შექმნის უნარზე, როლის თავის გემოვნების მიხედვით გადაკეთებულზე. ქ—ნი მესხის ერთი თვისებაა ის, რომ იგი არ ემორჩილება ავტორს, და ზოგიერთ შემთხვევაში ავტორათაც კი გვევლინება. ასეა მაგალითად—„ლანგთემური“\*, სადაც იგი ბაგრატიანე ცოლს თამაშობს, ეს როლი უფერულია და ცუდად გამოკვეთილი, მაგრამ მან შესძლო ყოფილიყო ბუნებრივი და ამით სულ მთლად თუ არა, საკმაოდ მაინც იხსნა ავტორი. ჩვენ აღარ ვილაპარაკებთ ისეთ როლებზე, როგორც არის მარგარიტა გოტიე და დალილა, აქ ქ—ნი მესხს, რომელიც ვგონებ თავის სამშობლო ქალაქ ქუთაისის არც კი ვასცილებია, უხდებოდა თვითონ შეექმნა პარიზის ტიპები და ისიც ისეთები, რომლებიც ახასიათებენ თანამედროვე ბაბილონს... და სწორედ ამ როლებში იყო იგი განსაკუთრებით კარგი და ამ როლებმა მოუპოვეს მას სახელი. ეს გარემოება სხვათა შორის გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ ქ—ნი მესხის ნიჭი უნდა ჩაითვალოს იმ განსაკუთრებულ ნიჭთა რიცხვში, რომელთაც შესწევთ უნარი გამოავლინონ სხვადასხვა ფორმის ხასიათები და რომელნიც არ იყინებიან ერთ წერტილზე, ორი სპიტი ტიპის შექმნის შემდეგ...“

შემდეგ ავტორი ეხება რა ამ მსახიობის გარეგნობის დახასიათებას, ამბობს:— „მაგრამ არიან სხვა და სხვა ღირსებებიც, რომელთაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ. ასეთია მაგალითად გარეგნობა, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სცენისათვის. ამ მხრივაც ქუთაისელი გასტროლოგი ქალი ღვთის მიერ მაინც და მაინც არ არის დასჯილი. რუსეთის დრამატიულ მსახიობების მსგავსად, ეგვეც ძალიან ლამაზი არ არის, სახის მოხაზულობა არა აქვს სწორი, მაგრამ მის ნერვიულ და მოძრავ ფიგურიდან გამოკრთის

\* გახ. „კვალი“ 1899 წ. 14 მარტის № 11.



ქუა და ძლიერება. ამას დაუმატოთ კარგი სიმძლვე, შესანიშნავად ჩამოქანდაკებული სხეული, გრაციოზული პოზები და მოძრაობა. ამას კიდევ დაუმატეთ კარგი დიქცია და თქვენთვის აშკარა შეიქნება ის მიზეზები, თუ რისთვის ახდენს მათურებლებზე იგი წარუხოცელ შთაბეჭდვლებას... ხმა ქ— მესხს დიდი არა აქვს, მაგრამ მელოდიურია და ინტონაციებში მრავალფეროვანი, გამოთქმა აქვს წმინდა და გარკვეული“...\*)

ასეთი დახასიათება ავტორიტეტულ პირებისა საკმაო საბუთს იძლევა დავასკვნად, რომ ეფ. მესხი დიდი დიპლომატის მსახიობი იყო და მან ქართული სასცენო ხელოვნების განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა.

ეფ. მესხს თავის ხანგრძლივ სასცენო მოღვაწეობის განმავლობაში მრავალ სხვადასხვა ქანრის პიესაში მიუღია მონაწილეობა და მრავალი სხვადასხვა როლი შეუსრულებია. მის მიერ განსახიერებულ როლთა რაოდენობა ორასამდე აღწევს.

დავასახელებთ რამდენიმე პიესას და როლს: ალ. ყაზბეგის „ქეთევან წამებულ“—ქეთევანი, დ. ერისთავის—„სამშობლო“—ქეთევანი, აკაკის—„თამარ ცბიერი“—თამარი, მისივე—„პატარა კახი“—ტურფა, ილ. ჭავჭავაძის — „დედა და შვილი“—დედა, დავ. კლდიაშვილის — „მარინე ბედნიერება“—ეკა, ვ. ირეთელის—„ქრისტიანე“ — მაკრინე, ტრ. რამიშვილის—„მეზობლები“—ტასო, ავქ. ცაგარლის „ხანუმა“—ხანუმა, ვ. გუნიას—„ღამა“ — მარინე, გ. სუნდუკიანის—„პეპო“—„მუშანა, შექსპირის — „ამლეტი“—ოფელია, „ოტელო“ — დეზდემონა, „მეფე ლირი“—კორდელია, სუვორინისა და ბურენინის—„მედეა“—მედეა, ა. გრიბოედოვის—„ვია ჭკუისაგან“ — სოფიო,

ზუდერმანის—„პატიოსნება“ — ელენორა, სენეკეიჩიდან გადმოკეთებული—„ვიღრე ხვალ უფალო“—პოპეა, ა. ოსტროვსკის—„შემოსავლიანი ადგილი“—პოლინა და სხვ.

ამ ჩამოთვლილი პიესები და როლები ზოგიერთ შემთხვევაში თავის ხასიათის მიხედვით ერთი მეორეს დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან და ამთავან მკვეთრი და მონუმენტალური არტისტული ნიღბების შექმნა მხოლოდ დიდ ბუნებოვან აქტიორს შეუძლიან. ეფ. მესხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგიც ამ დიდბუნებოვან არტისტთა სახელოვანი წრის ერთი საპატიო წევრი იყო.

ეფ. მესხი მარტო თბილისისა და ქუთაისის თეატრებში მუშაობით არ კმაყოფილდებოდა. იგი ხალისით მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებშიც, როგორც მაგ. ბათუმში, სოხუმში, ფოთში, გაგრაში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ხონში, ხაშურში, გორში, სამტრედიასში და ყველგან რაზმავდა მსაყურებელს თეატრის გარშემო და ახალი კადრების შექმნას უწყობდა ხელს.

იგი ხშირად გამოდიოდა თბილისის მუშათა თეატრებშიც ნაძალადეგში, ავღაბარში, სახალხო სახლში და მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებას უწყობდა ხელს.

ამას გარდა იგი ხანგრძლივად მუშაობდა ბაქოს ქართველ სცენის მოყვარეთა წრეში და იქაურ ქართულ თეატრის ერთერთ ფუძემდებლად ითვლებოდა.

1922 წ. ქართველმა მშრომელმა ხალხმა და მისმა ხელისუფლებამ ამ ფრიად ნიჭიერ მსახიობის ამაგი გაიხსენა და გადაუხადა სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე როგორც თბილისში, ისე ქუთაისში და ბათუმში და მიანიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სახელწოდება...

ეფ. მესხი გარდაიცვალა ღრმად მოხუცებულში—79 წლის ასაკში.

\* საიუბილეო კრებული „ეფემია მესხი“ 1922 წ. გვ. 39-45.

ბ. შაპიაშვილი

## სკდნიდ სქქიტვიდოს ვოქადუჩი კონფერენცია

ამას წინათ ხელოვნების საქმეთა სამმართველომ მოაწყო პირველი რესპუბლიკური ვოკალური კონფერენცია.

ეს ფაქტი ფრიად მნიშვნელოვანია იმით, რომ პირველად, დღიდან ჩვენს სისტემაში სასწავლო დაწესებულებების არსებობისა, ჩვენს ვოკალისტ-პედაგოგებს საშუალება მიეცათ გაეზიარებიათ ერთმანეთისთვის თავიანთი მუშაობის მეთოდები და ამავე დროს საფუძვლიანად შეესწავლათ კონსერვატორიის წამყვანი პროფესორების გამოცდილება, რათა გამოეყენებიათ თავის შემდგომ მუშაობაში.

კონფერენცია საინტერესო იყო აგრეთვე იმით, რომ გარდა მთელი რიგი მოხსენებებისა სამეცნიერო-მეთოდური თემებზე, დღის წესრიგში იდგა პედაგოგების მოხსენებები თავიანთი სწავლების მეთოდების შესახებ მოწაფეთა პრაქტიკული ჩვენებით.

მუსიკალურ განათლებას ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა. პარტია და ხელისუფლება ყოველდღიურად ზრუნავენ საბჭოთა ხელოვნების განვითარებისათვის. ახალგაზრდა მომღერალთა კადრებს სრული საშუალება აქვთ თავიანთი ნიჭის ყოველმხრივი განვითარებისა.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ეძლევა ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის მიერ ჩატარებულ ვოკალისტთა საკავშირო კონკურსს და ვოკალურ საკავშირო კონფერენციას, როგორც ძირითად და მნიშვნელოვან ღონისძიებებს, რომლებმაც მიზნით დაისახეს მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტა მომავალი მომღერლის ვოკალური აღზრდის დარგში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს

მომღერალთა კადრების მომზადების საქმეში ჩატარებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებმაც საგრძნობლად გააუმჯობესეს აღზრდის ხარისხი. კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის კათედრებზე მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, კათედრების წევრების მიერ დაწერილია სამეცნიერო შრომები, რომლებიც ეხმარებიან პრაქტიკულ მუშაობაში, როგორც პედაგოგებს, ისე სტუდენტებს. თბილისის კონსერვატორიაში ჩამოყალიბებულია ფონატორის და ხმის ჩამწერი კაბინეტები, პერიოდულად იკრებება ვოკალური სესიები, სადაც ჩამოშლნი არიან მუსიკალური სასწავლებლების პედაგოგებიც, და, რაც მთავარია, აღზრდილია მთელი რიგი ახალგაზრდა მომღერლები, რომლებიც მუშაობენ ამჟამად როგორც თბილისში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

მაგრამ კონფერენციამ გვიჩვენა, რომ ამავე დროს ვოკალური განათლების დარგში ჩვენ გვმართებს კიდევ დიდი და სერიოზული მუშაობა, რათა სავსებით აღმოვფხვრათ დეფექტები, რომელიც ჯერ კიდევ გვაქვს.

ერთერთ დეფექტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენ თითქმის არავითარ მეთოდურ დახმარებას არ ვუწევთ პერიფერიის მუსიკალურ სასწავლებლებს. ზოგჯერ კარგად არც კი ვიცით,—თუ როგორ მუშაობენ პერიფერიის პედაგოგები და ვის აქვს მინდობილი ახალგაზრდობის აღზრდა.

კონფერენციაზე აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი პედაგოგი-ვოკალისტი ვერა სდგას სათანადო სიმაღლეზე და ვერ აკმაყოფილებს მის წინაშე წამოყენებულ მოთხოვ-



ნილებას. ცალკეული პედაგოგების გამო-  
სვლამ კონფერენციაზე ნათლად გვიჩვენ-  
ა, რომ იმ დროს, როდესაც თეორიულად  
პედაგოგი საეხებით იზიარებს ვოკალური  
სწავლების საქმეში მიღებულ დებულებ-  
ებს, პრაქტიკულად ის სულ სხვას აკე-  
თებს, ვინაიდან მას ამისათვის ძალა ვერ  
შესწევს. ეს ნათლად გამოაშკარავდა მო-  
წაფეების ჩვენების დროს, როგორც შე-  
სრულებულ რეპერტუარის შერჩევაში,  
ისე ხმის დახარისხებაში და სხვა.

იყო შემთხვევა, როდესაც პედაგოგები,  
აღბათ იაფი ეფექტის მოხდენის მიზნით,  
1 და მე-2 კურსის სტუდენტებს ამღე-  
რებდნენ მე-5 კურსის პროგრამის ნაწარ-  
მოებებს, ზოგი კი, როგორც ჩანს, ვერ  
სვამს ხმის სწორე დიაგნოზს, და აშკარა  
ლირიული სოპრანო მიჰყავს როგორც  
მეტო—სოპრანო, ან და როგორც კოლო-  
რატორა.

სუსტი შთაბეჭდილება დასტოვეს კონ-  
ფერენციაზე ხაშურის მუს. სასწავლებ-  
ლის პედაგოგმა დობრეანსკიმ, ფოთის  
სასწავლებლის პედაგოგმა კასაცკაიამ და  
ქუთაისის სასწავლებლის პედაგოგმა გე-  
დევანიშვილმა. ზოგიერთ ახალგაზრდა  
პედაგოგს აღმოაჩნდა სათანადო უნარი,  
მაგრამ საკმარისად გამოცდილების უქონლო-  
ბის გამო, მათ მუშაობას ჯერ დადებითი  
შედეგი არ მოუტანია. მაგალითისათვის  
შეიძლება დავასახელოთ სამტრედიის  
სასწავლებლის პედაგოგი—გიორგობიანი,  
ზესტაფონის სასწავლებლის პედაგოგი  
მუმლაძე და თბილისის მუსიკალური  
სტუდიის პედაგოგი ზაკაიძე.

ამავე დროს თავი გამოიჩინეს, რო-  
გორც კვალიფიციურმა, გამოცდილმა პე-  
დაგოგებმა, თბილისის I მუს. სასწავლებ-  
ლის პედაგოგმა კირილოვამ, თბილისის  
მე-3 სასწავლებლის პედაგოგმა კავარო-

ვამ, ბათუმის მუს. სასწავლებლის პედაგოგმა  
გოგმა დონენგო-დრაგოშმა და სხვებმა,  
კონფერენციის მასალის საფუძველზე  
ხელოვნების საქმეთა სამმართველო მოკ-  
ლე დროში გადასინჯავს ვოკალურ-პედა-  
გოგების მთელ შემადგენლობას და მი-  
იღებს ზომებს, რათა დაბალი კვალიფიკა-  
ციის პედაგოგები მოშორდნენ სასწავ-  
ლებლებს.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს პედაგოგთა  
შორის ჯერ კიდევ არ არის ჩანერგილი  
მუშაობის კოლექტიური მეთოდები და  
ჩვევები. გვყავს კიდევ ისეთი პედაგოგე-  
ბი, რომლებსაც ეშინიათ მუშაობის მასა-  
ში გამოტანისა და თავისი გამოცდილე-  
ბის სხვისთვის გაზიარებისა. დამახასიათე-  
ბელია ის ფაქტი, რომ რამდენიმე პედა-  
გოგმა არამც თუ არ მიიღო აქტიური  
მონაწილეობა კონფერენციის მუშაობა-  
ში, არამედ სრულებით არ დაესწრო კრე-  
ბებს.

მაგალითისათვის დავასახელოთ 1 მუს.  
სასწავლებლის პედაგოგები. საენოვა და  
სპასკაია, 2 მუს. სასწავლებლის პედაგო-  
გი რომანოვსკაია, 4 მუს. სასწავლებლის  
პედაგოგი დობრეანსკაია და სხვა. ამაში  
აუცილებლად ბრალი ედება სასწავლებ-  
ლის დირექტორებს, რომლებმაც ვერ შე-  
სძლიეს კონფერენციისათვის მოსამზადე-  
ბელი მუშაობის სათანადოდ ჩატარება და  
ვერ უზრუნველყვეს ყველა პედაგოგე-  
ბის მონაწილეობა კონფერენციის მუშა-  
ობაში.

კონფერენციამ დასახა მთელი რიგი  
პრაქტიკული ღონისძიებანი. მათი ცხოვ-  
რებაში გატარება და პედაგოგების სის-  
ტემატიური შემოქმედებითი შეხვედრები  
უფრო ამაღლებენ ვოკალური სწავლე-  
ბის ხარისხს საქართველოში და მეტ სტი-  
მულს მოგვცემს შემდგომი ნაყოფიერი  
მუშაობისათვის.

მ. ლალიანი

## ქ. ცხაკაიას სახელმწიფო თეატრი

პერიფერიის თეატრებს შორის ერთი მოწინავე ადგილთაგანი უჭირავს ქ. ცხაკაიას სახელმწიფო თეატრს.

მის ხელმძღვანელმა და მთავარ რეჟისორმა ამხ. შალვა მყავანაძემ თეატრის ხელმძღვანელობის საქმეში გამოიჩინა ორგანიზატორული ნიჭი, საკმაო უნარი და გემოვნება, რომ თეატრის საქმე იყვეს დისციპლინებული და სპექტაკლები სათანადო სიმაღლეზე მდგომი.

აღსანიშნავია, რომ არც ერთი წარმოდგენა აქ არ ჩაფარდნილა არც თავისი მხატვრული დონით და არც მაყურებლის ნაკულევენებით.

ქ. ცხაკაიას აუდიტორიას უყვარს თავისი თეატრი და წარმოდგენების დროს დარბაზი მუდამ ხალხით გაჭედილია, რაიც იმის მომასწავებელია, რომ ენერგიული ხელმძღვანელის მეოხებით აქაური კოლექტივი სიყვარულითა და ხალისიანად მუშაობს.

ცხაკაიას თეატრი არსებობს 1938 წლიდან და მართალია, რომ თვით შენობა არც თუ ისეთი მოხერხებულია თეატრალური მუშაობისათვის, მაგ. სივითროვე სცენაზე, სივითროვე პარტერში, მაგრამ რემონტის შემდეგ შენობა ისეა გამოყენებული, რომ მას უკვე თანდათანობით თეატრის სახე ეძლევა.

აქ ნახავთ თქვენ ქალთა და ვაჟთა საპირფარეშო ოთახებს, გარდერობს, სამკერვალოს, სავარსიშო — საპარკიმახერო საამქროს, სარეკვიზიტოს და სხვ. ყველა ცეხებს თავისი შინაგანაწესი აქვს ხელმძღვანელობისაგან მიჩენილი.

თეატრს აქვს აგრეთვე პაწია მუზეუმიც, სადაც თეატრის განვლილი მუშაობის ნიმუშებია შენახული.

დაარსებიდან ამ თეატრში სცენისათვის გამოიწვრთნენ: არჩაია ბ., გაბისკირია შ., გაჩეჩილაძე ქ., ლალიანი ნ., ლალიანი კ.,




მ. მოსიაშვილი




ა. გაბუნია





გ. თევზაია



ა. შუბლაძე

კალანდაძე კ., კობიძე ილ., ტერტერა-  
შვილი ყ., შარვაძე შ. და სხვ.  
თეატრში მუშაობენ აგრეთვე სტაჟიანი,  
გამოცდილი მსახიობები: ალექსანდრა  
გაბუნია, მარგო მოსიაშვილი, აკაკი შუბ-  
ლაძე და ძველი სცენის მუშაკები — გრ.  
თევზაია, ანტ. ნადარეიშვილი და სხვ.  
დღიდან დაარსებისა ამ თეატრის რე-  
პერტუარს შეადგენდა: ერთაწმინდელის  
„უკანასკნელი ვაზნა“, ქოჩარაიანის „ბრმა  
მუსიკოსი“, ცაგარლის „ხანუმა“, „რაც

გინახავს ვეღარ ნახავ“, ქურდიანის „ქა-  
რიშხლის მოლოდინში“, კაკაბაძის „კოლ-  
მეურნის ქორწინება“, კარასევის „შუქუ-  
რა“, თაქთაქიშვილის „ხალხის რჩეული“,  
გაბესკირიას „მათი ამბავი“, აკაკის „ბა-  
ტარა კახი“ და „კინტო“, მოვარაძის  
„აღმოჩენა“, ჰაჯიბეგოვის „არშინ მალ-  
ალან“, ისაკოვის „იავნანა“, დადიანის „გე-  
გეჰჰკორი“, მიქავა და აბაშიძის „ბედნიე-  
რება“.  
თეატრმა 1938 წლიდან 1941 წლის



მ. გაბისკირია



ბ. არაკია



ნ. დადიანი



ქ. გახილაძე


პირველ იანვრამდე სულ ჩაატარა 250 წარმოდგენა, აქედან 47 წარმოდგენა კოლმეურნეობებში.

1941 წლის პირველ ნახევარში თეატრს განზრახული აქვს დასდგას: „აყვავებული ბალი“, „ჩვენი მიწა“, „კრაზანა“, „უკანასკნელი ლობე“ და სხვ.

როგორც ზევითაც ითქვა, მუშაობა ხმა შეწყობილი, დისციპლინირებული და, ცხადია, ეს კოლექტივი მომავალში ასეთი დაკვირვებული და შეთანხმებული შრომით, მიაღწევს კიდევ უფრო მაღალ დონეს და ექნება კიდევ უკეთესი მანვენებლები.



ა. ნადარეიშვილი



ტ. ტერტერაშვილი

ქ. ჩავაიშვილი

## ზემო-სვანეთის სახელმწიფო თეატრი

თეატრი სვანეთში! განა სულ ახლო წარსულში სვანმა გლუხმა იცოდა, რა არის თეატრი?

თითო-ოროლა სვანს, რომელიც იძულებული იყო ორიოდ გროშის საშოვნელად ბარში წასულიყო, რომ შემდეგ მარილი, ასანთი და ნავთი ეყიდა, ჰქონდა ბედნიერება ენახა „თეატრი“, სადაც „ლორი კიბეზე აღის“ ან „კაცი დანას ყლაპავს“, ენახა იაფფასიანი ცირკი. ამ საკვირველი ამბების თხრობით აკვირებდა იგი თავის თანამომძიებს, მეზობლებს, მოხუცებს და ქალებს.

მიუვალ მთებში მობინადრე ხალხს, უგზოობის გამო დანარჩენი სამყაროსგან თითქმის მოწყვეტილს, არ ჰქონდა ადამიანური ცხოვრების საშუალება.

იშვიათად თუ ვინმემ იცოდა წერა-კითხვა. ანკი ვის უნდა ესწავლებინა? ან რით ესწავლა?

დღეს კი სვანეთი წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის კუთხვა: სკოლები, კლუბები, სამკითხველოები ამშვენებენ ამ მშვენიერ მხარეს. ავტომანქანები დაჰქრიან მესტიამდე და ხშირად, ძალიან ხშირად ფოლადის ფრინველი გუგუნით დაფრინდება მესტიის აეროდრომზე.

სვან კოლმეურნეს, სვან მუშას და მოსამსახურეს, სვან სტუდენტს ხშირად ნახავთ თვითმფრინავში შემავალს: ისინი ქალაქებში მოფრინავენ სამუშაოდ, სასწავლად, საქმეზე, საექსკურსიოდ.


საბჭოთა სვანეთში შეიჭრა სოციალისტური კულტურა და ერთერთ კერად თეატრი გაიჩინა.

ზემო-სვანეთის ცენტრს—მესტიას აქვს თავისი სახელმწიფო თეატრი. იგი დაარ-

სდა ხუთი წლის წინათ—1936 წელს. ამ ხნის განმავლობაში თეატრმა მრავალი სვანი — მსახიობი აღზარდა. მისი დადგმები ათასობით მაყურებელმა ნახა.

გაოცებული შესცქეროდა სვანი მონადირე გლუხი დრამატულ სპექტაკლს და თვალებს არ უჭერებდა. ხანდისხან, როცა რომელიმე ეპიზოდი „ნათესავად მოხვდებოდა“ მის სტიქიას, ისიც თითქოს მონაწილეობდა მსახიობთა თამაშში. ზოგიერთი პრინციპულად არ მიდიოდა „რალაჟ ცადოსნობის“ სანახავად.

ახლა კი, იგივე მონადირე, წაიკითხავს რა აფიშას, შეღამებისთანავე ჩაიცვამს უკეთეს ტანსამოსს, წაიყვანს მეუღლეს ან ოჯახის სხვა წევრს, მიდის თეატრის სალონოსთან, იძენს ბილეთებს და ისე შედის თეატრში, თითქოს თეატრალური



თეატრის დირექტორი და სამხ. ხელმძღვანელი ვ. მარგინი

ისტორია მესტიაში იწყებოდა ამის პა-  
პის სიყმაწვილიდან...

მესტიის თეატრმა 1940 წლის სეზონში  
ოთხი პრემიერა დადგა. ესენია: „მზის  
დაბნელება საქართველოში“ ანტონოვისა,  
„პარტიზანები“ კაჭკაჭიშვილისა, „ბატონი  
და ყმა“ ორდენოსანის დრამატურგის  
შ. დადიანისა (ილია ჭავჭავაძის ნაწარ-  
მოებთა მიხედვით), „დარისპანის გასა-  
ჭირი“ დ. კლდიაშვილისა.

აღდგენილ იქნა პ. კაკაბაძის „კოლ-  
მეურნის ქორწინება“, კარასევის „შუქუ-  
რა“, ცაგარლის „ხანუმა“.

თეატრს ხელმძღვანელობს ახალგაზრდა  
რეჟისორი ვარლამ მარგიანი, რეჟისორის  
თანაშემწე და ეთნოგრაფიული გუნდის  
ხელმძღვანელია პლატონ დადვანი.

მესტიის თეატრის კოლექტივი თითქმის  
მთლიანად ადგილობრივი ძალებისაგან  
შესდგება:

პლატონ დადვანი, გერონტი ჭაფარიძე,  
შუშანა ხერგიანი, ნესტორ ნიგურიანი,  
დათიკო ფალიანი, შალვა ბაქრაძე, ლოლა  
დავითილიანი, გერმან ხოჯელანი, ნეს-  
ტორ ჭაფარიძე—ესენი თეატრის წამყვა-  
ნი მსახიობები არიან.

საყოველთაო მოწონებას იწვევს პლა-  
ტონ დადვანის თამაში სიმონიკას („მზის


დაბნელება საქართველოში“), პეპიას, და  
რისპანის და სხვა როლებში. ასევე უნდა  
ითქვას გერონტი ჭაფარიძის მანუჩარის,  
შუშანა ხერგიანის კაროენას, ხანუმას და  
სხვათა შესახებ.

თეატრის კოლექტივი ახალგაზრდები-  
საგან შესდგება, ისინი თეატრში წარმო-  
ებისაგან მოუწყვეტლად მუშაობენ. რა  
თქმა უნდა, ეს ერთგვარ გავლენას ახ-  
დენს თეატრის საქმიანობაზე.

მომავალ სეზონში თეატრს განზრახუ-  
ლი აქვს დადგას „ბედნიერება“ მიქავესი  
და აბაშიძისა, „მზე შინა და მზე გარეთა“  
შიუქაშვილისა, „კომბლე“ ნახტერიშვი-  
ლისა და სხ.

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს  
დახმარებით თეატრმა თბილისში მოაე-  
ლინა მხატვარი ვ. ღარიბაშვილი და მსა-  
ხიობი შუშანა ხერგიანი. ისინი დაწერი-  
ლებით გაეცნენ რუსთაველის სახელო-  
ბის თეატრის მუშაობას და გამოცდილე-  
ბით გამდიდრებულნი დაუბრუნდნენ  
საყვარელ თეატრს სვანეთის მთებში.


უნდა აღინიშნოს აგრეთვე საქართვე-  
ლოს კინოსტუდიის მოქმედება, რომელ-  
მაც რამდენიმე ათასი მანეთის ღირებუ-  
ლების კოსტუმები მიუძღვნა მესტიის  
თეატრს.




მხატვარი ვ. ღარიბაშვილი



შ. ხერგიანი



პ. დადიანი



გ. ჯაფარიძე

მუშაობის შემდგომი გაშლისათვის თეატრს მრავალი ღონისძიება აქვს დასახული. გადაწყვეტილია გასვლა მახლობელ სოფლებში და იქ წარმოადგენების გამართვა. ასეთ ობიექტებად მიჩნეულია ბეჩო—ოქროს სარეწაოთა ადგილი და ხაიში—სვანეთის ხე-ტყის მრეწველობის ცენტრი. უეჭველია, პარტიის რაიკომი და ადგილობრივი ორგანიზაციები თეატრს საჭირო დახმარებას გაუწევენ ტრანსპორტით და სხვა საშუალებებით.

თეატრს შენობა ესაჭიროება. ახლანდელ შენობაში მოთავსებულია კინო-თეატრი, კლუბი, და სამკითხველო, ასე რომ თვითონ თეატრისათვის სამუშაო

ადგილი აღარ რჩება. საჭიროა აგრეთვე შენობის კაპიტალური რემონტი და კეთილმოწყობა.

მესტიის თეატრს განვითარებისა და წინსვლის ყველა პირობა აქვს. სვანი ახალგაზრდობა უდიდესი ხალისით მუშაობს თეატრში, სვანეთის ბედნიერი მშრომელნი სიხარულით მიდიან სპექტაკლებზე. ამიტომ, როგორც სვანეთის ორგანიზაციების, ისე ხელოვნების საქმეთა სამმართველოს წინაშე დგას საპატიო ამოცანა—დაეხმარონ ახალგაზრდა თეატრს მაღალჯარისხოვანი სპექტაკლების შექმნაში.

### წერილი ჩედაძეის მიხარით

პატივც. რედაქტორო!

„საბჭოთა ხელოვნების“ ა/წ. საიუბილეო № 1—2-ში მოთავსებულია პროფ. გ. ჩუბინაშვილის წერილი „საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა“, სადაც სხვათა შორის მოხსენებულია, რომ ა/კ. არქიტექტორთა კონფერენციის მიერ „სუსტად იქნა მიჩნეული... ქ. გორის ზოგიერთი შენობის, კერძოდ თეატრის არქიტექტურული გაფორმება...“

პატივცემული პროფესორის ეს მტკიცება სინამდვილეს არ შეეფერება.

გორის თეატრის არქიტექტურული გაფორმება მთავრობის კომისიის მიერ შეფასებულ იქნა ფრიადზე, ამასთანავე—საქ. კ. პ. (ბ) მე- XIII ყრილობაზე გორის თეატრი აღინიშნა, როგორც მშვენიერი ნაგებობა.

არქიტექტორები: [ შ. თავაძე  
გ. ჩხიკვაძე

## 5 მარტს 1921 წელს

ქალ. თბილისში ჩამოყალიბდა ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის პირველი გამგეობა, რომელშიაც შედიოდნენ ქართული თეატრის დამსახურებელი არტისტი ვალ. გუნია (თავმჯდომარე), ა. პოკროვსკი (თავმჯდომარის მოადგილე) და წევრები: ლ. ისეკვი, სევერნი, პ. ჩოჩივი, სუხოტოვი, ი. ხარდალიშვილი, მაკარენკო და სხვ.

## 15 მარტს 1861 წელს

ქალ. ქუთაისში ეგრედწოდებულ „საზოგადო საკრებულოში“ ისტორიკოს დიმიტრი ზაქარიას-ძე ბაქრაძის ხელმძღვანელობით გაიმართა პირველი ქართული წარმოდგენა. დაიდგა გიორგი ერისთავის კომედია „გურჯა“.

მთელი შენოსავალი ამ წარმოდგენის მოხმარდა „კალმასობის“ გამოცემის საქმეს.

## 24 მარტს 1903 წელს

გარდაიცვალა რუსეთის გამოჩენილი მწერალი და დრამატურგი სუხოვო-კობლინი, რომლის ცნობილი პიესა „კრეჩინსკის ქორწინება“ იღვმებოდა ქართულ სცენაზედაც.

პირველად ეს პიესა დაიდგა ქართულ სცენაზე ა. ს. ლუღაძის თარგმანით ქ. თბილისში არწრუხის თეატრში, ქართული დრამის მსახიობ ქალის ვ. მ. მელიქიშვილის საბუნებისოდა 1883 წ. 2 ნომერს.

მთავარ როლებს აღნიშნულ პიესაში ასრულებდნენ ქართული დრამის საუკეთესო მსახიობები: ვ. აბაშიძე—კრეჩინსკი, ლიდას დედა—ნ. გაბუნია—ცაგარლისა, ლიდა—ბენედიციანტი ვ. მელიქიშვილი—რასპლიუფი—თომასვილი და ნელინი—მიწაროვი.

ეს პიესა დიდხანს ამშვენებდა ქართულ თეატრის სუხოვნებს და დიდი წარმატებითაც მიდიოდა. მთავარ როლებს ასრულებდნენ ისეთი ბუმბერაზნი, როგორც: ვ. ალექსიშვილი—რასპლიუფი; ვ. აბაშიძე და ვ. ყიფიანი—კრეჩინსკი; ლიდას დედა—ნ. გაბუნია—ცაგარლისა და სხვ.



## 12 მარტს 1925 წელს გარდაიცვალა კომპოზიტორი ანდრია ყარაშვილი

კომპოზიტორი ანდრია ნიკოლოზის ძე ყარაშვილი დაიბადა ქ. თბილისში, სადაც დაამთავრა საშუალო სასწავლებელი, რის შემდეგ ანდრია მეცადინეობდა ქ. პეტერბურგში კონსერვატორიაში. პეტერბურგში არეულობის გამო ანდრია იტალიაში შეიქნა დეტოვებინა კონსერვატორია და 1882 წ. გაემგზავრა ქ. ვარშავაში უმაღლესი მუსიკალური ცოდნის დასამთავრებლად. სწავლის დამთავრების შემდეგ ანდრია მიწვეული იყო მუსიკალურ სკოლაში მასწავლებლად და კარგა ხანს დაჰყო ვარშავაში.

1896 წ. ანდრია ყარაშვილი დაბრუნდა თავის სამშობლოში და დიდის ენერგიით და სიყვარულით შეუდგა მუსიკალურ განათლების საქმეს თბილისში. მას ვნებდნენ როგორც აქტიურ წევრს ქართ. ფილარმონიულ საზოგადოების დაარსების პერიოდში, რის შემდეგ გამუდმებით მუშაობდა აღნიშნულ საზოგადოებაში, როგორც მუსიკის მასწავლებელი, არა ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მოწვეუ ახალგაზრდა ანდრია ყარაშვილმა ქართულ გიმნაზიაში მისი მასწავლებლობის დროს. დაწერილი აქვს მრავალი მუსიკალური ნაწარმოები, რომელნიც

ფართოდ არიან ცნობილი როგორც საქართველოში, აგრეთვე მოძვე რესპუბლიკებში. მის კალამს ეკუთვნის: „სამშობლო“, „დავლური“, „მითხარ-მიხარ“, „ისევ შენ“, „დავრადილი სნული“, „გული მიწებს“, „ნათია“, „სახანდარი“, „შენ ვარხარ“ „მზურკა“, „ფუტკარი“ და სხვა.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ანდრია ნიკოლოზის ძე ყარაშვილი გარდაიცვალა ქ. თბილისში და დაკრძალულია დიფუხის პანთეონში.

## 16 მარტს 1928 წელს

თბილისის სახელმწიფო თეატრის და ბალეტის თეატრში პირველად დაიდგა ზაქ. ფალიაშვილის ოპერა „ლატარა“. დირიჟორობდა ივანე პეტრეს-ძე ფალიაშვილი. მონაწილეობდნენ: ა. დანელიანის ქალი, ლ. ისეკვი, ნ. ქუმისაშვილი, გ. ვენაძე და სხვა.

## 29 მარტს 1912 წელს

ქ. თბილისში გარდაიცვალა ცნობილი სომეხი დრამატურგი გაბრიელ სუნდუკიანი, რომლის პიესები დიდხანს ამშვენებდა ქართული თეატრის რეპერტუარს.

მისი „პეპო“, „ხათაბალა“, „სალამის ერთი ცვირი“, „დაქველული ოჯახი“ განუწყვეტილად იღვმებოდა ქართულ სცენაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პიესა „პეპო“, რომელიც დიდის წარმატებით მიდიოდა ქართულ სცენაზე. ეს პიესა დაწერილია სომხურად, ბოლო თვით ავტორმა სთარგნმა ქართულად რაფ. ერისთავის და ი. ბაქრაძის დახმარებით.

პირველად „პეპო“ დაიდგა ქართულ სცენაზე ქ. თბილისში 1875 წ. სცენის მოყვართა მიერ, რის შემდეგ „პეპო“ დიდხანს დარჩა ქართულ თეატრის რეპერტუარში.

პეპოს დაუყოყნარი ტიპები შექმნეს ქართულ თეატრის მსახიობებმა: ვ. ყიფიანი, ა. ყაზბეგმა, ვ. გამყრელიძემ და სხვ. მშვენივრად ასრულებდნენ ამავე პიესაში ზინზიშვილის როლს: ვ. აბაშიძე, ა. აყურელი და ნ. გოცირიძე.

ნან. ღონისა  
ტექსტი კუკურისა

**პირველი მოქმედება**

დარბაზი საესეა, მიწუნარდა ხმაური  
დაიწყო პიესა, გაისნა ფარდა,  
გაისმის სცენაზე მსურვალე სიტყვები  
(და კელისებში თოფიც გავარდა).

**უკანასკნელი მოქმედება**



პარტერში დამსხდარა სულ ათი კაცი  
სცენაზე მსახიობი თესა გრძნობს მართო  
გამორბის ხალხი და გაისმის ყვირილი:  
—არიქა ვარლამა, ამიღე პალტო.

**ფინალი**

იწყება პალტოსთვის „ბრძოლები მემდგარი“  
— გეიწი, ვერიჩქა! ვაიმე, ფეხი!... —  
პალტოსთვის სუყველა ყალყნება შემდგარი  
— ვაიმე, მახოლი!... დაგეცეს მეხი!...

**ეპილოგი**

ჰაერში ირგვა ქუდი და ბოტები  
(და აქ დამნაშავე ხომ იცით ვინ არი)  
თქვენ, თეატრებისა მზნე ღირებტორებო  
როდის მოგწორდებათ ასეთი ფინალი?!



# ს ა რ ჩ ე ჯ ი

მ ო წ ი ნ ა ვ ე	—ახალი გამარჯვებებისაყენი . . . . .	83-3
მილოცვა-	საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სს რეს-	
ბი ხაბჭო-	პუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სს რესპუბლიკის	6
თა ხაქარ-	საზალზო კომისართა საბჭოს . . . . .	8
თველოს	საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს . . . . .	9
20 წლის-	საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს . . . . .	10
თავზე	საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს . . . . .	11
კ. ნ. ჩარკვიანი	—ქართველი ხალხის დღესასწაული . . . . .	19
საქართველოს	რესპუბლიკის ხელოვნების დარგის მოწინავე მუშაკთა დაჯილდოება . . . . .	28
საქართველოს	სსრ კულტურული მშენებლობის მოწინავეთა დაჯილდოება . . . . .	33
ი. თავაძე	—ქართველი ხალხის ხელოვნება . . . . .	36
სტალინური	პრემიის ლაურეატები . . . . .	39
შ. აღმაშენებელი	—„დიდი მოურავი“ გრიბოედოვის თეატრში . . . . .	47
შ. ზუაზიძე	—„ლაღო კეცხოველი“ . . . . .	53
ა. თბილელი	—„როზ-მარი“ მუსიკალური კომედიის თეატრში . . . . .	59
ან. დვინაშვილი	—სიხარულისა და სიცოცხლის სპექტაკლი . . . . .	67
ი. ჟურშაძე	—საქართველოს მხატვართა საიუბილეო გამოფენა . . . . .	79
შ. ა-ლი	—ნორჩ მხატვართა რესპუბლიკური გამოფენა . . . . .	83
ვ. გოროდინსკი	—ეტიუდები ქართულ მუსიკაზე . . . . .	88
ს. გერსამია	—ეფემია მე ს ხ ი . . . . .	94
ბ. ვაზარაშვილი	—სრულიად საქართველოს ეკალური კონფერენცია . . . . .	96
შ. დადიანი	—ქ. ცხაკაიას სახელმწიფო თეატრი . . . . .	99
კ. რევაზიშვილი	—ზემო-სვანეთის სახელმწიფო თეატრი . . . . .	101
წერილი	რედაქციის მიმართ . . . . .	102
ლირსშესანიშნავი	თარიღები . . . . .	103
იუმორი	—ჩვეულებრივი მოვლენა თბილისის თეატრებში . . . . .	
ჟღაჭე	—ბიესა „დიდი მოურავის“ დეკორაციის ესკიზი შხატ. ირ. შტენბერგი	

## შეცდომის გასწორება

მე-78 გვერდზე სურათ „ახეთი“-ს ქვეშ წარწერა:  
„ბ. ჯაფარიძე“ უნდა იკითხებოდეს „ბ. ჯორჯაძე“.



3/83. რედაქტორი — ბ. ბო. გ. შ. ბ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 23. ტელეფონი 3-07-56  
მიღება ყოველდღე, გარდა კვირა დღეებისა, 9-დან 5 1/2 საათამდე

რედაქცია ხელნაწერებს ავტორებს არ უბრუნებს

გამოცემის მეშვიდე წელი. 6 1/2 ნაბეჭდი ფორმა. გადაეცა წარმოებას 21/III—41 წ. ხელმოწერილია  
დასაბეჭდათ 17/V—41 წ. შეკ. № 968 შე20056. ტირაჟი 3000

თბილისი, სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპექტი № 36



3360 3 836.

945 / 468

29 САБЧ ХЕЛОВ  
გორასა, 9 რედაქციანი  
საბჭო კავ, ტ. ბ. კე  
1. 17



**„САБЧОТА ХЕЛОВНЕБА“** Ежемесячный журнал, орган Управления по делам искусств при СНР Грузинской ССР

Седьмой год издания. Заказ № 968, УЭ 20056 Тираж 3000  
Тбилиси, типография „Заря Востока“, проспект Руставели № 36